მაია ბურჭულაძე

მერვე დეტექტური რომანი ციკლიდან `დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში~

თევზთა დუმილი

მოხუცთა თავშესაფრის ბინადარი დონარა ასათიანი ჩაიში დამბალ ორცხობილას მიირთმევდა, როცა ოთახში სიხარულისგან და სირბილისგან აქოშინებული ექთანი შემოვარდა:

_ ქალბატონო დონარა, მოემზადეთ!

დონარამ ღეჭვა შეწყვიტა და გახუნებული თვალები ექთანს მიაპყრო. რისთვის უნდა მოემზადოს? ცოცხალი თავით არ გადავა იმ უბადრუკ კორპუსში, სადაც წყალწაღებულ პაციენტებს ერეკებიან. კარში გაწვება და არ გადავა. რა სჭირს სასიკვდილო?! წნევა ვის არ ჰქონია? დალევს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ადელფანს, და ეს გაწყალებული სისხლი როგორ ამოვარდა კალაპოტიდან ისე ჩადგება. სხვა მხრივ ისეთს არაფერს უჩივის, დიდი ამბავი თუ ხანდახან სახსრები სტკივა, სირცხვილიცაა მის ასაკში ასეთ წვრილმანზე წუწუნი. 70 წელს მიღწეულ დედაბერს რაღაც ასტკივდება, აბა, საღსალამათი ხომ არ აიტუზება საიქიოს კართან?

თავშესაფარი რომ სანატორიუმი არ არის, დონარამ სხვაზე უკეთ იცის (უამრავჯერ დაუსვენია), მაგრამ არც საკონცენტრაციო ბანაკია! მართალია გაზით არავის გუდავენ, მაგრამ იმ საშინელი კორპუსიდან ცოცხალი ჯერაც არავინ გამოსულა. დონარა ქვეყანას შეყრის და არ დანებდება! ნახონ, როგორია დამსახურებული არტისტის აბუჩად აგდება!

_ რამ შეგაშინათ, ქალბატონო დონარა, სამტროდ კი არ მოვსულვარ?! _ ხელები აასავსავა ნორამ, ბრტელსახიანმა ექთანმა წერტილოვანი ნაკვთებით.

_ მაშ, რისთვის მოხვედი? _ კაცის ხმით დაიბუბუნა დონარამ. თვითონაც კაცს ჩამოჰგავდა. აინშტაინი ულვაშის გარეშე. კაცმა

რომ თქვას, დონარას მთლად უულვაშოც არ ეთქმოდა. ზედა ტუჩს უმშვენებდა ბებრული ღინღლი, რომელიც ეშმაკმა უწყის რატომ ამოდის ცხოვრების მიწურულს, თითქოს ასაკის შესახსენებლად ნაოჭი არ კმარა.

_ დირექტორი გიბარებთ, დირექტორი!

_ რა ჯანდაბა უნდა?

_ ვაიმე, ნუ ხართ რა ასეთი ბრაზიანი, რااა... სიურპრიზი აქვს თქვენთვის!

_ გააჩნია, სიურპრიზს! სიურპრიზი შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ეგ თუ იმ უბადრუკ კორპუსში გადასავლელად მიბარებს...

_ არა, დონარა, არა! _ გააწყვეტინა ნორამ და მოუთმენლად დააბაკუნა ფეხი.

_ დონარა მიხაილოვნა! სახელით შენს დედამთილს მიმართე, ეგ დასაწვავი ფეხები კი ქმარ-შვილს უბაკუნე რამდენიც გენებოს. ბჯოს! _ შეუტია დონარამ და კრიახით წამოდგა. _ ცეკას მდივნებს არ უკადრებიათ, დონარა... ფეხზე დგებოდნენ ჩემ დანახვაზე, ხელებს მიკოცნიდნენ, საჩუქრებით მანებივრებდნენ... ნორიკო,

ხალათი მომაწოდე შენს გაზრდას... ეგ არა. ბამბაზიის ხალათი ცხოვრებაში არ მცმია, წაუღე შენს დედამთილს, ვენახში გამოადგება.

_ რას გადაეკიდეთ ამ ჩემს დედამთილს, ქალბატონო დონარა, მოკვდა შარშან.

_ რას მეუბნები? მე რატომ არაფერი ვიცოდი?

_ უცებ არ წამოსულიყავით? _ ნორამ კარადიდან აბრეშუმის ფირუზისფერი ხალათი გამოიღო და მოხუცს ჩაცმაში დაეხმარა.

_ მოგისამძიმრებდი მაინც... შალიც მომაწოდე, თორემ ეს ხალათი ძალიან მასუქებს. მაინც, რაზე მიბარებს, ბოლო-ბოლო არ იტყვი?

_ სიურპრიზია მეთქი.

_ ღმერთო, შენ მიშველე, სახლ-კარი მე არ მაქვს, ახლობელი მე არ მყავს, ერთი კატა მყავდა და ისიც არ გამიჩერეთ. თუ ასე გენატრება, სურათი გადაუღე და საწოლთან გაიკარიო. და ამას მეუბნებიან შვილივით გაზრდილ კატაზე! _ დონარა ქოთქოთით გამოვიდა პალატიდან. _ მარტოკინა ვარ, უდაბნოს ხვლიკივით.

_ სამაგიეროდ ღმერთს უყვარხართ. _ ნორამ ფრთხილად გამოსდო ხელმკლავი კაპრიზულ მოხუცს. დერეფანში დაწინაურდნენ.

_ თუ ვუყვარვარ, დროზე წამიყვანოს თავისთან, ნამეტანი გამიგრძელდა ყოფნა ამ ცოდვილ მიწაზე.

_ ვაიმე, რა დროს სიკვდილია, ქალბატონო დონარა, წინ ისეთი თავგადასავლები გელით, ისეთი, აი ვერც წარმოიდგენთ!

_ რა ქარაგმებით მელაპარაკები, ნორა ჩემო, მითხარი, რა არის ჩემ თავს?

_ ნწუ.

ასე იწილო-ბიწილოთი მიადგნენ დირექტორის კაბინეტს.

მცხოვანი ქალბატონის დანახვაზე ბატონი გივი ბუკია ფეხზე წამოიჭრა, ღიმილად დაიღვარა, სკამი გამოსწია:

_ ო, დონარა მიხაილოვნა, მობრძანდით, მობრძანდით, დაბრძანდით...

_ დავბრძანდები კი არა, ფეხებს გავჭიმავ ახლავე თუ არ მეტყვით რაშია საქმე!

გივიმ მაგიდის უჯრიდან ფერადი-ფერადი ბუკლეტის დასტა ამოიღო და შემპარავად გაინიავა.

_ გეტყვით, გეტყვით, მაგრამ იქამდე ერთი კითხვა მაქვს და უმორჩილესად გთხოვთ მიპასუხოთ: ეგვიპტეში მოგზაურობაზე ოდესმე გიოცნებიათ?

_ არ მესმის თქვენი დაინტერესება ჩემი ოცნებების არეალით. _ მკვახედ უპასუხა დონარამ.

_ ჰმ, თქვენი გულის მოგება ძნელია, დონარა მიხაილოვმა, ძალიან ძნელი. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ: იცით, რა მიჭირავს ხელში? _ ბატონმა გივიმ სეირის საყურებლად შეყოვნებულ ექთანს თვალი ჩაუკრა.

_ თვითმფრინავის ბილეთს ჰგავს. _ თქვა დონარამ.

_ თბილა, თბილა...

_ მე კი მცხელა. ისე მცხელა, დროზე თუ არ ამოღერღავთ, გადავიწვები. _ თქვენ მოიგეთ ეგვიპტის საგზური! _ საზეიმოდ გამოაცხდა ბატონმა გივიმ, მაგრამ ქალბატონი დონარა ეტყობა არც შერხეულა. ეტყობა ვერ ჩახვდა საკუთარი ბედნიერების ხარისხს. _ თქვენ, მოხუცთა თავშესაფრის მოკრძალებულ ბინადარს დონარა ასათიანს საშუალება გეძლევათ იმოგზაუროთ ფარაონების სამშობლოში, იქ, სადაც ყოველი ქვა, ყოველი კენჭი სუნთქავს უძველესი ცივილიზაციით. იმოგზაურებთ სპეციალურად თქვენთვის გამოყოფილი იახტით წითელი ზღვის აკვატორიაში...

ბატონი გივი ისევ განაგრძობდა მოგზაურობის გაპიარებას, მაგრამ დონარა აღარ უსმენდა. მისმა ორგანიზმმა ამდენ ემოციას ვერ გაუძლო და წნევის ცვალებადობით უპასუხა.

_ ნიტროგლიცერინი! _ იყვირა ნორამ.

გივიმ ახლაღა შეამჩნია, მისი ადრესატი მოხარშულ კიბორჩხალას დამსგავსებოდა და დროულად თუ არ მიაშველიდნენ წამალს, ეგვიპტის მაგივრად მარადიულ მოგზაურობაში გაემგზავრებოდა.

_ _ _

სერგი ლეჟავას უყვარდა თავისი პროფესია, მაგრამ
დღეში რამდენჯერმე ხვანჯარჩახსნილი მამაკაცის ყურება რბილად რომ ვთქვათ, ყელში ამოუვიდა. აფრთხილებდა ცხონებული მამამისი, სპეციალობაზე თუ მიდგა საქმე, ვენეროლოგობას, გინეკოლოგობა სჯობსო. არ დაუჯერა. კაცმა რომ თქვას, არც უნანია. ეს ისე, სიტყვის მასალად თუ დაიწუწუნებდა. მის მისაღებში ყოველთვის იდგა პაციენტების რიგი. ალბათ იმიტომ, რომ სერგი კარგი ფსიქოლოგიც გახლდათ. დელიკატურ საკითხზე მოსული პაციენტები ხშირ შემთხვევაში მორცხვობდნენ, ათას აბდა-უბდა ისტორიებს იგონებდნენ თავის გასასამართლებლად, ერიდებოდათ თავიანთი დეფექტიანი გენიტალიების დემონსტრირება... სერგი ექიმი მათ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური ტრამვის დაძლევაში ეხმარებოდა. მართალია, დღის ბოლოს თავს გაწურული ლიმონივით გრძნობდა, სამაგიეროდ, საკანდიდატოს დაწერა არ გასჭირვებია. მისმა დისერტაციამ, სადაც აქცენტი გაკეთებული იყო დასნებოვნებულთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე დიდი მოწონება გამოიწვია მედიკოსებში და სამედიცინო ჟურნალშიც დაიბეჭდა.

დღე, როდესაც სერგი ლეჟავას მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა, არაფრის გამოირჩეოდა სხვებისგან. წინ ეჯდა ახალგაზრდა პაციენტი ისარივით წამახული ადამის ვაშლით და ოფლში გაწურული ყვებოდა თავის გაჭირვებას. ლაპარაკისას `ვაშლი~ ყელზე ვერტიკალურად ადი-ჩამოდიოდა და სერგის ყურადებას უფანტავდა. ადამიანის ანატომიური სტრუქტურის დასახასიათებლად ხატოვანი ტერმინოლიგიის გამოყენება მედიცინაში ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რატომ ვაშლი და არა მაგალითად, კიტრი. ალბათ იმიტომ, რომ კიტრი თავისთვისაა. არავისი. ვაშლი კი ადამთან ასოცირდება. ბიბლიურია.

ტელეფონი რეკდა. სერგიმ პაციენტს თვალით ანიშნა შარვალი აეწია და ყურმილი აიღო. ცოლი იყო.

_ არ მცალია. _ ესროლა სერგომ, მაგრამ ცოლმა, რომელიც სხვა დროს ტაქტით გამოირჩეოდა, ამჯერად უყურადღებობა დასწამა და ინფანტილიზმში დაადანაშაულა.

სერგიმ არ აცალა ტირადის დამთვრება, ყურმილი დაუკიდა და პაციენტს მიუბრუნდა:

_ თქვენ ჩემი ავადმყოფი არ ხართ. ურولოგთან მიბრძანდით.

_ ურولოგი და ვენეროლოგი ერთი და იგივე არ არის?

სერგომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და ვიდრე პაციენტი თვალს მიეფარებოდა, ცოლთან დარეკა. რაღაც ძალიან აჟიტირებული ჩანდა მისი მეორე ნახევარი, ეგვიპტე ახსენა, მოგზაურობა...

_ _ _

ალი ამოევი თბილისის აეროპორტში სიძემ საკუთარი ტაქსით მიიყვანა. თან ახლდა ქალიშვილი ზინა და შვილიშვილები: 15 წლის ტყუპი _ ზიტა და გიტა. უფროს შვილიშვილს, კიაზოსაც ბაბუის უნდოდა გაცილება, მაგრამ რეპეტიციას ვერ გააცდენდა. ძლივს კარგი სამსახური იშოვა ბიჭმა! 20 წლის კიაზო, რესტორანში, დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა, ალი კი მისი 57 წლის ბაბუა ეგვიპტეში მიემგზავრებოდა.

ხუმრობა საქმეა? ქურთი ალი, რომელიც მთელი ცხოვრება დასუფთავების სამსახურში მუშაობდა დასასვენებლად მიემგზავრებოდა. თანაც სად? ეგვიპტეში! პირველად არც დაიჯერა, მაგრამ გალსტუკიანმა კურიერმა უთხრა, გათამაშებაში გაიმარჯვეო და ალისაც რა ექნა, უარს ხო არ იტყოდა?

რა გათამაშება იყო, საიდან მოხვდა იქ მისი გვარი კომპიუტერში, მიუხედავად ახსნა-განმარტებისა, ალიმ ვერ გაიგო. მეორედ შეკითხვის დასმა კი მოერიდა. მაინც ვერ გაიგებდა, კურიერი ისეთ გაუგებარ ტერმინებს აბრახუნებდა, ალის ყურები დაუხუჭუჭდა. რაც მთავარია, მარტო ალი არ ყოფილა ბედნიერი საგზურის მფლობელი. 7 კაცი ამოუგდია იმ ჯადოსნურ კომპიუტერს.

ჯადოქრობაა, აბა, რა, როცა ალისთანა საწყალ კაცს ეგრე გაუმართლებს! ცხოვრებაში ერთხელ მოუწია თბილისის დატოვება, ხრამოი ალბერტი რომ მოკვდა, მაშინ. ბიძაშვილთან ერთად მატარებლით იმგზავრეს თბილისიდან ვიდრე ბათუმამდე. ზღვის დანახვაზე ალიმ პირი დააღო და სადგურამდე არც მოუმუწავს. ჯერ ერთი ამოდენა წყლის დანახვამ დაამუნჯა, მეორეც, სულაც არ იყო შავი. არც შორიდან, არც ახლოს. კურიერმა, ეგვიპტეშიც არისო ზღვა, ოღონდ შავი კი არა, წითელიო. ეეე, მამაძალობენ რაღაცას...

ეგვიპტეში გასამგზავრებელი ჯგუფის დანახვაზე ზინას სუნთქვა შეეკრა. არა, კარგად ჩაცმული ხალხის მეტი რა უნახავს, სილამაზის სალონში, სადაც ის პედიკიურშად მუშაობდა, ასეთებიც ბლომად შემოდიოდნენ და ამათზე უკეთესებიც. მუდმივი კლიენტიც ჰყავდა _ ცნობილი მსახიობი საზოგადოებისთვის უცნობი პოდაგრიანი ფეხებით. უბრალოდ მამა შეეცოდა. საწყალ ალის ერთი საცვლები ეცვა თავისი, თორემ კოსტიუმიც და სპორტული ჩანთაც სიძემ ათხოვა. ის საცვლებიც ზინამ უყიდა ბაზრობაზე. შლოპანცებიც ზედ მიაყოლა, რაც არ უნდა იყოს ზღვაზე მიდიოდა კაცი. იქამდე კი აბაზანაში შეაგდო, ვიდრე ყროლის სუნი არ გაგივა, ფეხი არ გამოდგა მაქედანო. საწყალ ალის ცხოვრებაში ამდენი არ უბანავია. ლამის ერთი ფლაკონი შამპუნი დაიცალა თავზე.

_ ვაიმე, მამაჩემო, რა ხალხთან გექნება საქმე, შენ კი დანა-ჩანგლის ხმარებაც არ იცი?! _ შეიცხადა ზინამ და თანაგრძნობით შეხედა ნათხოვარ პიჯაკში ჩაკარგულ მშობელს.

_ ვაააა, იქნებ შენ წახვიდე, ჰა? _ ალიმ რეგისტაციისთვის დარაზმული ქართველებისკენ გააპარა დამფრთხალი მზერა.

თვალში მოხვდა ნატურალური ტყავის ჩემოდანი. ორი. თავი გარიყულად იგრძნო. აღარც ეგვიპტე უნდოდა, აღარც აქლემები, არც წითელი ზღვა და არც ყვითელი მთა, საცა ბიბლეისკი მოსე შეხვდა მზის ამოსვლას (კურიერმა თქვა). სუეცკი კანალი კი ალის სკოლიდან ახსოვდა. სხვათა შორის, ოთხიანი ჰყავდა გეოგრაფიაში. ისეთი კარქი ქალი ასწავლიდა როო... ალა არონოვნა. ებრაელი. ახლაც ახსოვს იმისი ცხრაკეცი ღაბაბი, რამე რო მოსწონდა, თავს აქნევდა ხოლმე, ის დალოცვილი ღაბაბიც თავთან ერთად ერხეოდა, ბებიას რახათ-ლუხუმივით.

_ ნუ გეშინია, სიმამრო! _ მხარზე ხელი დაჰკრა სიძემ. _ წადი, თვალს წყალი დაალევინე, ქვეყანა ნახე, მერე ჩვენც გაგვანათლე. შენ კი ენა გააჩერე, _ მიუბრუნდა ცოლს. _ უნდა ხელით შეჭამს, უნდა ფეხსაც მიახმარს. ვისი რა საქმეა?

_ შენიშვნა რო მომცენ? _ ალი წინასწარ გაწითლდა.
_ მაშინ შეაგინე. _ დააკვალიანა სიძემ.
_ ვა, ეგ როგორ შეიძლება, კაცო? ხალხმა პატივი დამდო, მე კი ვაგინო?
_ თუ ცუდად გითხრეს, მაშინ შეაგინე, თორემ ისე რა, გიჟი ხარ?
_ თუ რამეა, ქურთულად შევაგინებ. _ დაპირდა ალი და შვილს შეხედა.
ზინამ გამამხნევებლად გაუღიმა, პიჯაკის ბორტიდან არარსებული მტვერი გადაუფერთხა და მღელვარე ქოშინის დაიძრა ჯგუფისკენ.

_ _ _

ორიოდე საათში ალი ამოევი თვითმფრინავში იჯდა და გულისფანცქალით აკვირდებოდა აფრენის პროცესს. არც ისეთი საშიში ყოფილა, როგორც ღამღამობით ეფიქრებოდა. აი, უკვე ცაშია. უკან დარჩა ზინა თავისი ბადრიჯნისფრად შეღებილი თმით, ჯიგარი სიძე, აჟიტირებული ტყუპები... ახლა შეუძლია დამშვიდებულ გულზე დაათვალიეროს მგზავრები. იქნებ ვინმესთან შეიძლება ენის დასველება.
მარცხნივ პროფესორივით კაცი ზის. სოლიდური მრგვალშუშიანი სათვალე, მოკლე თეთრი წვერი, მოვლილი ფრჩხილები, ოქროს ბეჭედი... ნაღდი ბაჯაღლო. ვის-ვის და ქურთებს არ ეშლებათ ოქროს ცნობა. მით უფრო, ალის, რომლის დიდი წინაპრები თავის დროზე საოქრომჭედლო საქმეს მისდევდნენ. მაღაზიაც კი ჰქონდათ ავლაბარში. მერე კომუნისტებმა ჩამოართვეს, დაიწვა იმათი ჯიგარი! სხვათა შორის, არც ალი დაბადებულა ნაგვის მზიდავად, ადრე ქარხანაში მუშაობდა, ვიდრე ორი თითი დაზგაში არ დატოვა. ზინამ კი, დანა-ჩანგალიო. კიო კი არ არის?!
თეთრწვერიანი ზედაც არ უყურებს. არ მოუვიდა თვალში ალის ყორნისფერი ულვაში. ჩვენ ბოდიში, ყველა პროფესორი ვერ იქნება?! ალისნაირი რომ არა, მა ვინ გაიტანს ნაგავს ქალაქიდან? ასე იციან ქართველებმა, თვითონაც არ კადრულობენ, სხვასაც ზემოდან უყურებენ. ფეხსაცმლის მკერავი აიღე... რაც თბილისში კარგი საპოჟნიკია, ყველა სომეხია. ხმები დაირხა, თითქო ქართველმა ქალებმაც დაიწყეს ფეხსაცმელების კერვაო, მაგრამ იმისთანა ფასს ადებენ, უბრალო ხალხი ვერ შესწვდებაო. ტყუილი იქნება. ქართველი ქალი საპოჟნიკობას არ იკადრებს.
ალის ხელმარჯვნივ გაზეთში თავჩარგული ახალგაზრდა კაცი იჯდა. გაზეთი ქართული იყო, აი მკითხველი კი არც ქართველს ჰგავდა, არც რუსს. გრძელი ხორბლისფერი თმა, გასაპარსი ლოყები, თაფლისფერი თვალები... ალბათ ქალებში პოულარობით სარგებლობს, დაასკვნა ალიმ და გაზეთი ინატრა. ის, რომელშიც ქურთულ დიასპორაზე ეწერა, თორემ ისე რომელი მკითხველი ალი იყო? ტელევიზორსაც იშვიათად უყურებდა. ასე იცის დილაუთენია ადგომამ. სხვები რო დასაძინებლად წვებიან, ალის მაშინ ეწყება სამსახური.
მეზობლის გაზეთში ალიმ ახალარჩეული პრეზიდენტის ფოტოსურათს მოჰკრა თვალი. კარგი ჯეელი ჩანდა, ალალი გამოხედვით. ალის მოსწონდა ასეთები _ მეტროთი სიარულს რო კადრულობს, უბრალო ხალხს რო ხელს ართმევს, პენსიებს რო ჰპირდება... ალბათ ესეც ღარიბი ოჯახიდან იქნება. იცის შრომის ფასი.
_ მოგწონს, არა? _ წამოცდა ალის და მსუყედ გაწითლდა.
აი, რას ნიშნავს გაუთლელობა! აი, რას ნიშნავს, როცა ენა უსწრებს ტვინა! რამდენჯერ გააფრთხილა ზინამ, ვიდრე კითხვას დასვამ, ნებართვა აიღეო, წინასწარ ბოდიში მოიხადეო, უცნობ ადამიანს თქვენობით ელაპარაკეო... ესეც თავს უქნებდა, მაგრამ როგორც კიაზოს ძმაკაცი იტყოდა ხოლმე: შეაყარე კედელს

ცერცვი. ვინ იცის, ამ ნახევრადგაპარსულს სულ არ ეხატება გულზე ალის მოწონებული პრეზიდენტი, ეს კი პოლიტიკური კითხვით დაეტაკა. ნეტა არ უპასუხოს.

მართლაც, უცნობს პასუხით თავი არ შეუწუხებია, მაგრამ არ გაბრაზებულა, პირიქით, გაეცნო:

_ დიმიტრი.

_ ალი, გენაცვალე. ალიხან ამოევი.

ახალგაზრდა კაცმა სახელად დიმიტრიმ, გაზეთი დაკეცა და ალის ხელი ჩამოართვა. ალიმ შემცბარმა დაიხედა თითებზე. არაფერი ისეთი, მენაგვის შესაფერისი. გაიხაროს ზინაჩკამ, ყოველდღე სოდიან წყალში ულბობდა დაკოჟრილ ხელებს, ვიდრე კანში ჩამკვდარი ჭუჭყი არ გააცალა. უჰ, ქალიშვილის ფასი არაფერია. ნეტავ რა უხარიათ ამ ქართველებს თოფებს რო აჭექებენ ბიჭის დაბადებაზე?!

_ მსახიობი ხართ? _ დაინტერესდა ალი.

_ არა, ჟურნალისტი.

_ ვაა... ჩემი შვილიშვილი მუზიკანტია.

_ ძალიან კარგი. ეგვიპტეში პირველად მიდიხართ? _

_ ეგვიპტე კი არა, თვითმფრინავშიც პირველად ვზივარ! _ ალალად უპასუხა ალიმ და ისევ გაწითლდა. ვითომ მოსაწონი ამბავია, რო ამ ხნის კაცი თვითმფრინავში არ მჯდარა? მოსკოვში მაინც წათრეულიყო თავის დროზე, ბილეთი რო 37 მანეთი ღირდა, მაშინ. კაი დროსია...

_ როგორია? _ ჰკითხა ჟურნალისტმა.

_ ?

_ თვითმფრინავით მგზავრობა მოგწონთ?

ალიმ ამოიოხრა. მიდი და ნუ უპასუხებ, როცა გეკითხებიან. მთავარია სისულელე არ დააყრანტალოს:

_ მომწონთ, რათ არ მომწონს?! მაგრამ ცოტა ყურები მტკივა. შენ... თქვენი ყურები როგორ არი?

_ ჩემი ყურები კარგად არი. _ უპასუხა დიმიტრიმ და რატომღაც პროფესორისმაგვარს გაუღიმა.

დასცინიან? რაღაც ვერ თქვა ისე? ისევ შეეშალა?

_ იცით, მე ქურთი ვარ და... _ დაიწყო ალიმ და მორიდებულად ჩაახველა, რეაქციას დაელოდა.

_ ქურთი ხარ, შე კაცო, უცხოპლანეტელი ხომ არა? _ ხმა ამოიღო აქამდე გაჩუმებულმა სათვალიანმა. _ მთელი ბავშვობა სოლოლაკში გავატარე, ქურთებთან ერთად ვიზრდებოდი, რაც ჩვენ დრო გვიტარებია...

_ ვა, მართლა? _ ალი გაიბადრა. _ და თქვენ ვინ ბრძანდებით?

_ ფრიდონ კენჭაძე. ხელოვნებათმცოდნე.

_ მე პროფესორი მეგონე. თ. _ დაამატა კომპეტენტურად.

_ პროფესორიც გახლავარ. _ ხელოვნებათმცოდნე ფრიდონმა ილუმინატორს შეაფარა თავშეკავებული ღიმილი.

ალი კმაყოფილი გადაწვა სავარძელზე. თბილისში რომ ჩავა, მაგარ სუფრას იკისრებს. მეზობლებს დაუძახებს, ნათესავებს... ყველამ გაიგოს, როგორ იჯდა ის პროფესორსა და ჟურნალიტს შორის. იმ მომენტში ალიმ არ იცოდა, რომ წინ ისეთი თავგადასავლები ელის, მთელი ცხოვრება ეყოფა გასახსენებლად.

_ _ _

დროის გასაყვანად დიმიტრიმ მგზავრების მგზავრების შესწავლას შეუდგა.
რა შეიძლება ითქვას აგერ, იმ მხარბეჭიან მამაკაცზე, რომლის აპარსული კეფა დიმიტრის აგერ უკვე მერამდენედ ხვდება თვალში. შეძლებულია. სატინის საფირმო პერანგი აცვია. საკმაოდ ძვირადღირებული. ურჩი, სხვადასხვა მიმართულებით აპრეხილი თმა, რომლის სიღრმეში ზიგზაგისებრი ფერმკრთალი ღარი იკვეთება, სხვა არაფერია, თუ არა იმპულსური ხასიათის მაჩვენებელი. სავარაუდოდ, ღარიანი მამაკაცი ორმაგ ცხოვრებას ეწევა და სავსეა კომპლექსებით, რომელთა გადაფარვას ექსტრავაგანტული საქციელით ცდილობს. ასეთი საქციელის მაგალითად გამოდგება მის გვერდით მჯდარი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც არც ცოლს ჰგავს, არც შვილს. ცოლის პირობაზე მეტისმეტად ნორჩია, ქალიშვილის პირობაზე მეტისმეტად გამომწვევად აცვია, რომ არაფერი ვთქვათ დრაკულას შესაშურ ხელოვნურ ფრჩხილებზე. რჩება მესამე _ საყვარელი.
განაპირა სავარძელში ჩაფუშული შინდისფერშლიაპიანი მანდილოსანი არც საყვარლებში ეწერება, არც ცოლებში, არც ბებიებში... ჩამოწერილ პრიმადონას ჰგავს. უცებ მანდილოსანმა მოიხედა, პომადიანი ტუჩების პრეტენზიურად აპრეხილი კუთხეები შეარხია და დიმიტრიმ ის იცნო _ რუსული რომანსების უბადლო შემსრულებელი დონარა ასათიანი. უთავმოყვარეოდ გასუქებული და მაინც ღირსების აპლომბით ბებრულ, ფერ-უმარილით მოთხუპნილ სახეზე.
მადამ დონარას გასწვრივ წყვილი იჯდა. 34-36 წლის. იმის მიხედვით, თუ როგორ თვლემდა გოლიათური აღნაგობის კაცი და როგორ ნეიტრალურად დაჰყურებდ ქალი, სტაჟიანი ცოლ-ქმარი უნდა ყოფილიყო. ქალს მომრგვალებული ფორმები, სპილოსძვლისფერი კანი და საყვარლად გაბაფთული ტუჩები ჰქონდა. ასეთი ტიპის ქალებზე დიდი მოთხოვნაა. ახლაც და მომავალშიც. სახეზე აწერია, რომ კარგი დედა და ერთგული ცოლი იქნება. მოულოდნელად ქალმა დააცემინა და დანაშაულზე წასწრებულივით გაწითლდა. გოლიათი შეირხა, მთვლემარე ალიგატორივით გაახილა ცალი თვალი და ტკბილად გაიღიმა. ბედნიერებაც ეგ არის, როცა გაიღვიძებ და საყვარელი ადამიანის სითბოს გრძნობ. და სულაც არა აქვს მნიშვნელობა ალიგატორს გავხარ თუ გალაპაგოსის კუს.
რიგებს შორის იმპოზანტურმა მამაკაცმა ჩაიარა. ეცვა სალათისფერი პიჯაკი ვერცხლისფერი ღილებით. მოკლე, წაკვეთილი ნიკაპის შესანიღბად ბლანჟე მოეშვა, სამაგიეროდ თმა ჰქონდა გრძელი, ცელქად აპრეხილი ბოლოებით. ბლანჟიანმა ილუმინატორთან დაიკავა ადგილი, რისთვისაც ადგომა მოუწიათ არანაკლებ იმპოზანტურ ორ სუბიექტს: ანაფორაინ მღვდელსა და ხოტორა მამაკაცს საოცრად ცისფერი, თითქმის გამჭვირვალე თვალებით.
დიმიტრის ფიზიონომისტიკური კვლევები ბორტგამცილებელმა შეაწყვეტინა:
_ ძვირფასო მგზავრებო, _ დაიწყო სარკეში ნასწავლი ღიმილით, _ კურორტი შარმ ელ შეიხი, სადაც მალე ჩვენი ლაინერი დაეშვება, სინას ნახევარკუნძულზეა. ტურისტული სეზონი აქ მთელი წელი გრძელდება, ზამთრის თვეებშიც კი, წყლის ტემპერატურა 20 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის. რაც შეეხება ფულს... ეგვიპტის ნაციონალური ვალუტა ეგვიპტური ფუნტია. ერთი ფუნტი 100 პიასტრია, ერთი დოლარი _ 5,65 ეგვიპტური ფუნტის ექვივალენტი...
ფულის გაგონებზე ალი ყური გაიმახვილა, მაგრამ ვერაფერი გაიგო და დიმიტრის ეცა:
_ რა ფუნტიო, რის პიასტრიო?! ერთი საწყალი ასდოლარიანი მაქ, სუვენირები თუ ვერ ვიყიდე, ჩემი ქალები სახლში არ შემიშვებენ!
_ ნუ ღელავთ, _ დაამშვიდა დიმიტრიმ. _ ფულის დახურდავება ნებისმიერ სასტუმროში შეიძლება.
_ სუვენირების ყიდვა?

_ ნებისმიერ მაღაზიაში.
_ აკი, იახტაზე ვიქნებით?
_ სულ ხომ არ ვიქნებით? ხანდახან გადმოვალთ კიდეც ნაპირზე.
_ ვაა... პირამიდებსაც ვნახავთ?
_ არა, პირამიდები არ შედის ჩვენს პროგრამაში. მაგრამ ვისაც საშუალებს აქვს გადაფრინდება კაიროში.
_ სადა?
_ პირამიდები კაიროშია. კაირო ეგვიპტის დედაქალაქია. _ მოთმინებით აუხსნა დიმიტრიმ.
_ სადღა არიან ეგვიპტელები, მოსახლეობის 98 პროცენტი არაბია. _ ლაპარაკში ჩაერთო ბატონი ფრიდონი.
_ ვაა, ეგ როგორ? _ გაუკვირდა ალის, _ მაშ კარენოი ეგვიპტელები სად არიან?
_ ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობაში აითქვიფა, ნაწილი სარკოფაგებში განისვენებს.
_ აი, საცა მუმიებია?
_ ჰო.
_ მაიცა, ამოდენა ნაცია სარკოფაგებში როგორ ჩაეტია?
ჟურნალისტმა და პროფესორმა გაიცინეს. ალი მიხვდა, რაღაც სისულელე წამოროშა და თვითმფრინავის დაშვებამდე კრინტი არ დაუძრავს.

_ _ _

`მენკაურა~ _ ასე ერქვა იახტას, სადაც ქართველები დაბინავდნენ. საკმაოდ ტევადი, კრეისერული ტიპის ხომალდი გათვლილი იყო გაშლილ ზღვაში მარულისთვის. მარცხენა ფრთას თავად მენკაურას მინიატურა ამშვენებდა: წელს ზევით შიშველი ფარაონი კეგლისებური მიტრით თავზე; მარჯვენას, ეგვიპტური სიმბოლო _ გიგანტური ზომის თვალი-თილისმა; გემბანს _ ფერადზოლიანი შეზლონგები და ადგილობრივი ბალახეულით გადახურული ქოლგები. იახტა ითვლიდა 7 კაიუტას და სასადილო ოთახს მომიჯნავე ჩილიმ-ბარითურთ. სამზარეულო იახტაზე იყო, მაგრამ მას მსუბუქი დატვირთვა ჰქონდა. მგზავრებსა და მომსახურე პერსონალს ნაპირიდან მიეწოდებოდა მზა საკვები, თუ არ ჩავთვლით გამაგრილებელ სასმელებს, რომლითაც გამოტენილი იყო მოზრდილი დახლ-მაცივარი.
ქართველო ტურისტები კაიუტებში განთავსდნენ შემდეგი თანმიმდევრობით:
მარჯვენა ფრთა:
#1 _ ექიმი სერგი ლეჟავა და მისი მეუღლე რუსუდან ლეჟავა, პედაგოგი.
#2 _ ხელოვნებათმცოდნე ფრიდონ კენჭაძე, მოძღვარი ზაქარია სეხნიაშვილი.
#3 _ დონარა ასათიანი. წარსულში მომღერალი, დღეის მდგომარეობით მოხუცთა თავშესაფრის ბინადარი.
#4 _ გამგებელი დემურ ამაღლობელი და მისი საყვარელი დიანა (დიკო) კაკაბაძე.

მარცხენა ფრთა:
#5 _ ჟურნალისტი დიმიტრი ძნელაძე, პროდიუსერი ელდარ მეფარიშვილი.
#6 _ ქ. თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი ალიხან (ალი) ამოევი, საიუველირო სალონის ექსპერტი ვანო თელია.
#7 _ ავიაციის ინჟინერი გიორგი (გოკა) ზნამენსკი.
მომსახურე პერსონალი სულ 2 იყო: ბარმენი კოკო, რომელსაც ნაპირიდან შემოტანილი კერძების შეთბობა-განაწილება და იახტაზე სისუფთავის დაცვა

ევალებოდა და კაპიტანი ნიკიტა: ბალტიისპირელი რუსი რეტრო-სვირინგით გარუჯულ მკლავზე.
ვიდრე აყაყანებული ტურისტები კაიუტებს ითვისებდნენ, კაპიტანმა შტურვალთან დაიკავა ადგილი და რეისისთვის მოემზადა.
პირველი გემბანზე დიმიტრი გამოვარდა. გამოვარდა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოცხლად შეჭამდა პროდიუსერ ელდარს, იმ ბლანჟიან სირს, რომელმაც გაბედა და მის ცხვირწინ შემოიძარცვა სამგზავრო სამოსი და იაპონელი სენსეის მსგავსად ატლასის კიმანოში გამოეწყო. ბოდიში რომ მოეხადა ან რაიმე უხერხულობა ეგრძნო, დიმიტრი სულგრძელად აპატიებდა, მაგრამ მან ეს ყველაფერი ისეთი პირველყოფილი ურცხვობით გააკეთა, თითქოს მარტო იყო კაიუტაში.
დიმიტრის ისღა დარჩენოდა ბარგი დაეყარა და პროტესტის ნიშნად გემბანზე გამაგრებულიყო. გამაგრებით გამაგრდა, მაგრამ სიბრაზემ მალე გაუარა და ცოტა არ იყოს, მოიწყინა. ეჰ, რა დროს დაანება სიგარეტს თავი?... გააბოლებდა კაცი.
დიმიტრი შეზლონგზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და სხეული მოადუნა. ზღვიდან მონაბერი ნიავი ასატანს ხდიდა მზის გულზე ყოფნას. რა გაძლებს აქ ერთი კვირა? გაიფიქრა გულისგარეთ და მოტორის გუგუნს მიაყურადა.
დაიძრნენ. ეს კარგია. მოძრაობაში სწრაფად გადის დრო.
ამასობაში გემბანზე კიდევ ორი პერსონაჟი დაილანდა: დონარა ასათიანი და ფრიდონ კენჭაძე. მოაჯირთან შედგნენ, დიმიტრის შორიახლოს.
_ ხომ კარგად მოეწყვეთ, ქალბატონო დონარა?
_ გადასარევად, ბატონო ფრიდონ, უკეთესს ვერც ვინატრებდი. ახლა მთავარია, წნევას არ გავახსენდე.
_ თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე შეიძლება ინსულტმა მგლიჯოს. _ ამოიოხრა ფრიდონმა.
_ შეუძლოთ გრძნობთ თავს? _ შეწუხდა დონარა.
_ დაბნეული ვარ, ქალბატონო დონარა, ძალიან დაბნეული... არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. გაგიმხელდით, მაგრამ მეშინია შეშლილი არ გეგონოთ.
დიმიტრი დაიძაბა. ის დროა, აქაურობას გაეცალოს, ვიდრე პროფესორს რაღაც ისეთი უთქვამს, რაც მასში ჟურნალისტურ ცნობისმოყვარეობას აღძრავს და ნანატრ დასვენებას ჩაუშხამებს.
_ არ მეგონებით! _ პათოსით შესძახა დონარამ და ქუდზე გამობმული ატლასის ლენტის დაჭერას შეეცადა. _ თუ მეგონებით, არც ესაა პრობლემა. მეც ხომ გიჟი ვარ! ზოგიერთის თვალში, ცხადია. _ დაამატა ხითხითით.
ნიავმა დაუბერა. ურჩი ლენტი პირდაპირ ფრიდონის ცხვირთან აფრიალდა, მაგრამ პროფესორი ვერც ამჩნევდა, ჩაფიქრებული გაჰყურებდა სივრცეს, ვიდრე დონარამ არ წაუჯიკავა, დროზე ამოღერღეო.
_ დიახ, დიახ... საქმე ისაა, რომ კაიუტაში, სადაც მე და მამა ზაქარია ერთად შეგვასახლეს, ბაბუაჩემის პორტრეტი დამხვდა.
_ რას ბრძანებთ, წარმოუდგენელია!
_ აი, ხომ გითხარით... _ ხელები აიქნია ფრიდონმა და პროტესტის ნიშნად დადუმდა.
_ არა, არა, განაგრძეთ, გეთაყვა. _ შეეხვეწა დონარა. _ მეტს აღარ გაგაწყვეტინებთ.
რაღა დასამალია, დიმიტრიმაც ცქვიტა ყური. ქართველი ბაბუის პორტრეტი ეგვიპტეში დამაინტრიგებლად ჟღერდა.
პროფესორმა ცოტა ხანს თავი დაიფასა და ემოციურად განაგრძო:

_ თავს დავდებ, რომ ბაბუაჩემია. ინგლისელი დენდივით გამოწყობილი: ცილინდრით, ყელსახვევით, ქოლგით...
_ ქოლგით? _ შეიცხადა დონარამ, თითქოს პროფესორის მონაყოლში ქოლგაზე საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა.
_ დიახ, ქოლგით. გასული საუკუნის დასაწყისში ნისლიან ალბიონში ქოლგიანი ჯენლტმენი ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც... როგორც ჩვენთან ქამარ-ხანჯლიანი თავადი.
_ საოცარია!
_ რა არის საოცარი, ქალბატონო დონარა, _ გაღიზიანდა მოყოლის ეშხში შესული ფრიდონი. _ ინგლისში წვიმიანი ამინდებია, ტყუილად კი არ ეძახიან `ნისლიანს?!~ ალბათ ახლაც ქოლგებით დადიან. ვერ გავიგე, რატომ ჩაიციკლეთ ქოლგაზე?
_ მაპატიეთ, ქალურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. მერე, მერე რა მოხდა?
_ შოკში ვარ. ვინმესთვის რომ არ გამეზიარებინა, გული გამისკდებოდა. თუ უკვე არ გამისკდა.
_ იქნებ უბრალო მსგავსებაა, ასეთებიც ხომ ხდება?
_ არა, არ ხდება, აქ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე... ბაბუაჩემი, ყარამან კენჭაძე, ცნობილი კოლექციონერი გახლდათ და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, რაღაც პერიოდი ინგლისში ცხოვრობდა. სწორედ ამ ქვეყანაში მოხდა მისი დაინტერესდა ნუმიზმატიკით.
_ ნუმიზმატიკით. _ ექოსავით გაიმეორა დონარამ.
_ დიახ. იქვე შექმნა უძველესი მონეტების პირველი კოლექცია, რომელიც მოგვიანებით საქართველოში ჩამოიტანა, ახალი ნიმუშებით შეავსო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბაბუამ მთელი ცხოვრება ამ საქმეს შესწირა, ნამდვილი ფანატიკოსი გახდა! ერთი მონეტის შესაძენად შეეძლო მთელი თვე ჩაიზე და ხმელ პურზე გადაეტარებინა ცოლ-შვილი.
_ რა საშინელებაა?!
_ თქვენ ვერასოდეს გაიგებთ, რა ამოძრავებს ასეთ დროს ადამიანს. მე კი შესანიშნავად მესმის, რადგან მის საქმეს ვაგრძელებ.
_ როგორ, თქვენც კოლე... კოლექციონერი ხართ? _ დონარამ ისე ხმამაღლა შესძახა, შეზლონგზე გატრუნული დიმიტრიც კი შეკრთა.
_ დიახ. _ თავმომწონედ გამოაცხადა ფრიდონმა და ემოციურად დამუხტულ ქალბატონს სკამი შესთავაზა. _ დიდი სურვილი მაქვს მოგონებები დავწერო ამ დიდებულ პიროვნებაზე და წიგნად გამოვუშვა. უნდა მოვასწრო, ვიდრე მახსოვრობამ დამაღალატა...
დონარა მტაცებლური გამომეტყველებით მიაჩერდა ენაწყლიან პროფესორს. გენერლებთან ჰქონია საქმე, ცეკას მდივნებთანაც, მაგრამ კოლექციონერთან, არასოდეს! აი, ვინ სჭირდება გარანტირებული მომავლისთვის. ვითომ რა სჭირს ყოფილი მომღერლის დასაწუნი ამ თხისწვერა პროფესორს? დიდი-დიდი 5-6 წლით იყოს დონარაზე უმცროსი. მეზალიანსი ახლა მოდაშიც კია. იქნებ ნაადრევად დაიმარხა თავი, იქნებ ბედისწერამ კიდევ ერთი საჩუქარი გამოიმეტა მისთვის, იქნებ... მორიგი `იქნების~ წარმოდგენაზე დონარას სუნთქვა შეეკრა. ეს უკვე მეტისმეტია, რა დროის ფატა და მენდელსონის ვალსია, ოცნობასაც აქვს საზღვარი! და მაინც, ცოლ-შვილი თუ არ ჰყავს, ღირს კბილის მოსინჯვა. ეჰ, რა დროს აღარა აქვს საკუთარი კბილები? პროთეზშიც არ გაუმართლა, ნასხვისარივით ლაყლაყებს და ენა თუ არ მიაშველე, გამორიცხული არაა სახალხოდ გადმოეფურთხოს, როგორც ბრუციან ლიანას დაემართა თავშესაფრის დირექტორთან კამათისას. ღმერთო, რა სირცხვილი ჭამაა...

მოიცა, მოიცა, რა დროს ბრუციანი ლიანაა, როცა კაცი ჰყავს დასაბმელი?! რაო, რას მოთქვამს ეს უბედური?
_ ჰოდა, იმას ვამბობდი, ქალბატონო დონარა, შევედი კაიუტაში ბაბუაჩემი არ მიყურებს თავისი განუმეორებელი ბაკენბარდებით?! ხალი რომ ხალია, ისიც კი თავის ადგილზე აქვს! _ ფრიდონმა მარჯვენა ლოყაზე მიიდო საჩვენებული თითი. იქ, სადაც სავარაუდოდ ხალი ჰქონდა მის ცხონებულ წინაპარს.
დონარას თვალი გაუშტერდა. ფრიდონის თითზე გაელვებულმა მასიურმა ოქროს ბეჭედმა დააბრმავა. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ რარიტეტია. სამოგზაუროდ რომ ამოდენა კაპიტალს დაიკოფსებ, სეიფში რეები გექნება ჩასაწყობებული?!
_ მისმენთ, ქალბატონო დონარა?
ფრიდონის ხმამ დონარა გამოაფხიზლა:
_ დიახ, დიახ... ხოდა, ნამდვილად ხალი იყო?
_ არ ვიცი, შეიძლება ხორცმეტი. _ ივარაუდა ფრიდონმა.
_ პაპილომა.
_ რა?
_ პაპილომა ვირუსი. მეჭეჭი.
_ რა მნიშვნელობა აქვს? _ ფრიდონი მოულოდნელად გაწიწმატდა.
მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს დონარასთვის ხალი ექნებოდა ცილინდრიან ყარამანს, ხორცმეტი თუ მეჭეჭი? მთავარია თანადგომა აგრძნობინოს დაბნეულ ადამიანს. კაცებს მეტი კი არაფერი უნდათ ქალებისგან?!
_ ეს ის შემთხევაა, როცა ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა. _ თქვა ხმამაღლა და ცელქად შეათამაშა მსუქანი მხრები. _ აბა, მიპასუხეთ: ბაბუათქვენის პორტრეტი ფოტოსურათზეა წარმოდგენილი თუ ნახატზე?
_ ფოტოა, ფოტო. ძველი, გაყვითლებული, თუმცაღა კარგად შენახული, საგულდაგულოდ ჩასმული ხარისხიან პასპარტუში.
_ მხოლოდ ერთი ნახატია თუ...
_ მეორეც არის. _ გააწყვეტინა ფრიდონმა. _ მამაოს საწოლთან ჰკიდია. მაგრამ ის ჩვეულებრივი თევზია, ჩვენებურ კალმახს წააგავს, არაფერი საინტერესო.
დონარამ მეხსიერება დაძაბა და თავისი კაიუტის გახსენებას შეეცადა. თითქოს იქაც ეკიდა რაღაც ნახატი... კი, ლოტოსის ყვავილი! მაგრამ ნახატი კი არა, ფოტორეპროდუქცია. ცოცხალი ლოტოსი დონარას არასოდეს უნახავს, მაგრამ იყო დრო, როცა უცნობი თაყვანისმცემლი ყოველ ცისმარე დღეს სახლში წითელი ვარდებით სავსე კალათას უგზავნიდა. ვინ იყო ის უცნობი, სად დაიკარგა, რატომ აღარასოდეს გამოჩნდა, ყოფილმა მომღერალმა არ იცოდა. მაშინ ნაცნობი თაყვანისმცემლებისგან არ ჰქონდა მოსვენება, უცნობს რას დაეძებდა?! დროის დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, სულ სხვა ნიშნით დაახარისხებდა ადამიანებს. სავარაუდოდ, არც ქუჩაში აღმოჩნდებოდა ეს ფილარმონია-ქალი. ეჰ, `რაზომ ტურფა გაიაფდესო...~
_ ვის ეკუთვნის იახტა, კერძო პირს თუ რომელიმე სააგენტოს? _ მოულოდნელად იკითხა ფრიდონმა.
დონარამ მხრები აიჩეჩა, დიმიტრიმ კი წამოდგომა იკადრა. მართლაც, ვის ეკუთვნის იდუმალი იახტა?
დიმიტრი არამყარი ნაბიჯით გაემართა კაპიტნის მოსაძებნად. გზაში იმ ხოტორა მამაკაცს გადააწყდა, რომელმაც წყლისფერი თვალებით ჯერ კიდევ თვითმფრინავში დაამახსოვრა თავი. ის იახტის ბორტს მოდუღაბებულ გრძელ, მერხივით სკამზე იჯდა, ფეხები მოაჯირზე შემოეწყო და ზანტად ეწეოდა ჩილიმს.

დიმიტრის დანახვაზე ფეხების ჩამოღება არც უფიქრია, თუმცა ჩილიმზე დაპატიჟა. რაზეც უარი მიიღო.
_ მოგიწევია, რო? _ კაცმა ქვევიდან ამოხედა და სკამზე ანიშნა, დაჯექიო.
დიმიტრი არ გაპრანჭულა. რატომღაც ესიამოვნა მოფუხფუხე ჩილიმიდან წამოსული ვაშლის მოტკბო-მომწარო არომატი, თუმცა გაცნობისთანავე შენობით მიმართვა ნამდვილად არ ესიამოვნა. სიმართლე ითქვას, არც უცნობის კოვბოური პოზა და არც მისი ჩახლეწილი ხმა. მაინც დაჯდა. იახტის მფლობელის შესახებ მაინც გამოკითხავს.
_ ბაღდადში გავსინჯე, მაგრამ მუღამი ვერ დავუჭირე. _ თქვა ხმამაღლა.
_ ბაღდადში რას დაუჭერდი, გაგანია ომია.
_ ეს ადრე იყო, ვიდრე სადამი სადამობდა.
_ ააა...
გაჩუმდნენ. კაცი ჩილიმს ეწეოდა, დიმიტრი შესაფერის მომენტს ელოდა კითხვის დასასმელად, მაგრამ უცნობი არ აპირებდა საუბრის გაგრძელებას. კაიფში თუ იყო. ცალკე სიცხისგან, ცალკე მოწევისგან.
_ ეს იახტა ვის ეკუთვნის? _ ყოველგვარი შესავლის გარეშე აჯახა დიმიტრიმ.
_ ოჰ, რა ხართ ეს ჟურნალისტები... ყველაფერი გაინტერესებთ: ვის ეკუთვნის, როდის შეიძინა, რა სახსრებით...
დიმიტრიმ გაკვირვებულმა შეხედა. როგორც ჩანს ამ იახტაზე ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთის შესახებ, მის გარდა.
_ გოკა ზნამენსკი. _ თავი წარუდგინა ხოტორამ და როგორც იქნა, ფეხების ჩამოღება იკადრა.
_ დიმიტრი ძნელაძე.
_ ვიცი, ვიცი... თბილისშივე გავეცანი მგზავრების სიას და ბეგრაუნდს, ასე ვთქვათ. ხომ უნდა მცოდნოდა ვისთან ერთად მაქვს დასვენების პატივი?
ბატონი ზნამენსკის ხმაში დამცინავი ნოტი იკითხებოდა. შეიძლება ტუჩის გამო, რომლის კუთხე ნაინსულტარი ავადმყოფივით ზევით გაურბოდა და ძალაუნებურად ქმნიდა ღიმილის ასოციაციას. მიუხედავად ფამილარობისა, ამ არაქართული გვარისა და გამართული ქართულით მეტყველმა სუბიექტმა დიმიტრი დააინტერესა. იყო მასში რაღაც... რაღაც ნაღდი კავბოური. კრისს ჰგავდა, ფილმიდან `შესანიშნავი შვიდეული~.
_ მაინც ვინ არის იახტის მფლობელი? _ კითხვა გაუმეორა დიმიტრიმ.
_ უცნაურია. მეორე ადამიანი ხართ, ვინც ამოსვლისთანავე იახტის მფლობელის ვინაობით ინტერესდება.
_ პირველი ვინ არის?
_ მე.
_ მართლა?
_ კაპიტანიც კი მოვინახულე ამ საკითხთან დაკავშირებით. დიდი უჟმური ვინმე ჩანს.
_ გაარკვიეთ რამე?
გოკამ ყოყმანით მოიფხანა გადახოტრილი თავი.
_ რაღაცის თქმა გინდათ? _ მიხვდა დიმიტრი.
_ არც კი ვიცი, რამდენად ღირს.
_ რადგან დაიწყეთ...
ახლა ამანაც რომ წინაპართა ფოტოებზე ჩამოაგდოს ლაპარაკი, დიმიტრი სერიოზულად დაინტერესდება თავისი კაიუტის ინტერიერით. წეღან ისე გამოშპა, კედლების დათვალიერება კი არა, წყლის გადავლება ვერ მოსწრო.
_ `თამაში ჭვავის ყანაში~ წაგიკითხავს? _ ყმაწვილური აღტკინებით დაიწყო გოკამ და ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

_ კი.
_ ჩემი საყვარელი წიგნია.
_ ძალიან სასიამოვნოა.
სინამდვილეიი სულაც არ იყო სასიამოვნო. უფრო სწორედ, ბატონი ზნამენსკის საყვარელი წიგნი არანაირად არ წარმოადგენდა დიმიტრის ინტერესის საგანს.
_ ჰოდა, ეს ჩემი საყვარელი წიგნი კოხტად დამხვდა კაიუტაში. _ გაიცინა გოკამ და ჩილიმის ჭრელზოლიანი ღერო დიდმუცლა ჭურჭელზე დემონსტრაციულად დაახვია. _ მე ნამდვილად არ წამომიღია, სულ სხვა გამოცემა მაქვს სახლში... თავდაპირველად გამიხარდა კიდეც, ვიფიქრე, ერთხელაც გადავიკითხავ. გადავშალე და რას ვხედავ? ყდის შიდა მხარეს ჩემი ინიციალებია! რას იტყვით?
_ შეიძლება ვინმეს დარჩა. რა ენაზეა წიგნი?
_ რუსული თარგმანია. მაგრამ ინიციალები ქართულად წერია. თუ ჩემი გვარი გაეჭვებს, წინასწარ გაფრთხილებ: არავისზე ნაკლები ქართველი არ გახლავარ. _ უადგილო ნიშნის მოგების დაამატა გოკამ.
_ ეგ არც მიფიქრია, სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი.
_ რას?
_ იქნებ ჩვენამდე აქ რუსულენოვანი ჯგუფი იმყოფებოდა, იმათ თუ დარჩათ...
_ რუსს ჰქონდა ჰქონდა წიგნი ქართული ინიციალებით? _ გოკამ დაეჭვებულმა გააქნია თავი. _ არა, დაუჯერებელი არაფერია, მაგრამ დამეთანხმე, რომ უცნაური დამთხვევაა. არა?
ნამდვილად, გულში დაეთანხმა დიმიტრი, პროფესორის ქოლგიანი ბაბუის გათვალისწინების, ძალიანაც უცნაური.
_ რაც შეეხება, იახტის მეპატრონეს, ის მდიდარ არაბ შეიხს ეკუთვნის. _ გოკამ, როგორც იქნა, პასუხი აღირსა.
_ შეიხს? _ გადაამოწმა დიმიტრიმ. იქნებ მოესმა? სად შეიხი, სად საქართველო?
_ დიახ. შეიხ საიდს. თუ სწორედ, დავიმახსოვრე.
_ როდის აქეთია შეიხები იახტების გაქირავებით ირჩენენ თავს?
_ მე როგორც ამიხსნეს, მსოფლიოს მასშტაბით ჰქონია ტურისტული სააგენტოების ქსელი, რაც ისეთი დიდი ქვეყნისთვის როგორც ეგვიპტეა, პატარა ბიზნესი არ უნდა იყოს.
_ ვინ გითხრათ?
_ ნიკიტამ, კაპიტანმა.
_ რუსი კაპიტანი, ქართველი ბარმენი... უცნაურად არ გეჩვენებათ?
_ მე ის უფრო უცნაურად მეჩვენება, აქ რომ აღმოვჩნდი. _ ჩაიცინა გოკამ და მათკენ მომავალ ბარმენს ხელი აუწია.
კოკო ისე მოაბიჯებდა, თითქოს მოძრავ გემზე კი არა, უძრავ პოდიუმზე დეფილირებს. თეთრი პერანგის გახამებული საყელოები ტაქსას ყურებად ეფინა შავ ჟილეტზე. ხელებზე რატომღაც ნატის ხორცისფერი ხელთათმანები ეკეთა, რომელთა დანიშნულება ამ სიცხეში დიმიტრიმ ვერაფრის ახსნა. ეს ბიჭი აშკარად რაღაცას მალავს. თუ კანის ავადმყოფობა აქვს, რა ჯანდაბა უნდა მზარეულად? ასე იყო თუ ისე, დიმიტრი უტაქტო შეკითხვას მოერიდა.
_ ბატონებო, 5 საათზე ვახშამზე გელოდებით. მაგიდები დანომრილია კაიუტების მიხედვით, უმორჩილესად გთხოვთ არ დააგვიანოთ. _ კოკომ სარეკლამო კბილები გამოაჩინა და ფლამინგოს ნაბიჯებით გაეცალათ.
დიმიტრიმ გოკას შეხედა. ჟურნალისტის უსიტყვო შეკითხვას ავიაციის ინჟინერმა მხრების აჩეჩვით უპასუხა.

_ _ _

პროდიუსერ ელდარს შიშლიკანა ფეხები საწოლზე შეელაგებინა და გაზეთში კროსვორდს ავსებდა. დიმიტრიმ პირსახოცი ამოიღლიავა, მაგრამ სააბაზანოში შესვლამდე თვალი კაიუტის კედელზე გამოფენილი სურათებისკენ გაექცა.

დონარასი არ იყოს, მის საწოლთანაც კირქვაზე ამოჩორკნილი ლოტოსის რეპროდუქცია ეკიდა. არც იყო გასაკვირი. ეგვიპტელები პატივს სცემდნენ ამ ყვავილს, თვლიდნენ რომ სამყარო შეიქმნა დაუსაბამო წყლის ქაოსში გაჩენილი ლოტოსის კოკრისგან. პრიმიტიული ვერსიაა, მაგრამ მსოფლიო მითოლოგიაში გაცილებით პრიმიტიულებიც არსებობს.

ელდარის მხარეს მრავალპლანიანი რეპროდუქცია ამშვენებდა. სამეფო ატრიბუტებიანი ეგვიპტელი წოწოლა მიტრით უზენაესი მსაჯული, ოსირისი უნდა ყოფილიყო, რიგში მდგარი ადამიანები _ მიცვალებულთა სულები. დარბაზის ცენტრში აღმართულ სასწორზე პროფილში მდგარი მონები გარდაცვლილთა გულებს წონიდნენ. ცოდვილი ურჩხულის ხახაში ხვდებოდა, ნეტარი _ სამოთხეში. რა სიმბოლური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ამ ნახატებს, გარდა იმისა, რომ ეგვიპტის ისტორიის ნაწილია. პროფესომა კენჭაძემ აფრიკული ჰავის ზეგავლენით ეტყობა გარეკა. იგივე შეიძლება ითქვას დიმიტრიზე, რომელმაც სერიოზულად აღიქვა გამოქლიავებული კოლექციონერის გემბანისპირა პრუტუნი.

_ _ _

სასადილო სალონის კედელები ფერად-ფერადი გობელენებით დაეფარათ, სადაც წარმოდგენილი იყო ერთკუზიანი აქლემების სხვადასხვა ვარიაციები: აქლემი უდაბნოში, აქლემი პირამიდასთან, აქლემი ოაზისში, აქლემი დამჯდარ მდგომარეობაში, აქლემი უნაგირით. გობელენები, იატაკზე გაფენილი ჭრელა-ჭრულა ფარდაგი, მყუდროდ მოთუხთუხე გიგანტური ჩილიმი, სურნელოვანი სანთლები და მოლაპარაკე თუთიყუში `ათას ერთი ღამის~ ზღაპრულ ასოციაციას ქმნიდა.

თუთიყუში, სახელად ბიბი, მეჩეთის ფორმის გალიაში იჯდა და გაკაპასებული უყურება ვახშამზე გამოცხადებულ სტუმრებს. ბარმენი კოკო ჩიტს ანამუსებდა:

_ ბიბი, მიესალმე სტუმრებს, აჩვენე რა შეგიძლია... მიდი, ნუ გრცხვენია.

ჩიტი არ იყო ლაპარაკის ხასიათზე, მაგრამ როცა საზოგადოება სუფრასთან დაიგულა, მოულოდნელად იტალიურ ენაზე ალაპარაკდა:

_ ბონჯორნო, ბონჯორნო, ბონჯორნო...

_ ვაიმე, გავგიჟდიიიი... მოლაპარაკე თუთიყუში! _ შეჰკივლა დიკომ და ხმამაღალი კისკისით ამცნო საზოგადოებას თავისი გაკვირვება.

დემურმა მხარი გაჰკრა. აშკარად გაუტყდა ჭკუმხიარული ქალიშვილის ემოციური გამოსვლა. დემურ ამაღლობელი ის აპრეხილთმიანი მამაკაცი გახლდათ, რომლის კეფის შესწავლას ასე დაჟინებით ცდილობდა თვითმფრინავში უსაქმუროდ მჯდარი დიმიტრი ძნელაძე.

დიკო ქალების იმ კატეგორიას ეკუთნოდა, რომლებსაც მამაკაცები დანახვისთანავე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აღიქვამენ. ახლაც ჭიპამდე ჩახსნილი სარაფანი ეცვა, რომლის მიღმა მაცდურად ირხეოდა იდეალური ფორმის ძუძუები. ამ ძუძუებისკენ გაურბოდა თვალი სალონში მყოფ ყველა მამაკაცს, თუთიყუში ბიბიც კი მოწიწებულ რევერანსში გაირინდა.

_ იტალიურად მარტო მისალმება იცის, ერთმა იტალიელმა ტურისტმა ასწავლა. _ განმარტა კოკომ. _ ადრე იმამის საკუთრება იყო. ბიბი ჭეშმარიტი მუსულმანი და პოლიგლოტია. ორმოცდაათამდე სიტყვა იცის, მათ შორის ციტატები ყურანიდან. ბიბი, როგორი ბიჭია კოკო?

_ ჰაბიბი. _ ჩაიკუჭკუჭა ჭკვიანმა ჩიტმა.

_ ჰაბიბი ლამაზს, საყვარელს ნიშნავს.
_ ვაიმე, რა მაგარია, შეიძლება მივეფერო? _ ტაში შემოკრა დიკომ.
_ არა, არ შეიძლება, რომ გიკბინოთ, რა პასუხს გავცემ თქვენს მეუღლეს? _ კოკომ დემურზე ანიშნა.
_ მეუღლეო... _ დიკომ კისერი გადააგდო და გულიანად გადაიკისკისა. _ დემური ჩემი საყვარელია! _ ამცნო გაოგნებულ საზოგადოებას.
გამოდის, დიმიტრი პროგნოზში არ შემცდარა. აპრეხილთმიანი სუბიექტი ორმაგ ცხოვრებას ეწევა. გაფუყულ სიფათზე ეტყობა, რომ სახლში წვრილ-შვილი უჭყავის, ეს კი ახალგაზრდა საყვარელთან ერთად ეგვიპტეში ნებივრობს.
_ საღოლ!
ეს გოკა იყო, ხოტორა მგზავრი პოლონური გვარით. დიკომ სიცილი შეწყვიტა და უსირცხვილო თვალებით გაზომა გოკას რემბო მაისურში შეჭედილი ნავარჯიშევი მკლავები. იმან მიიღო გამოწვევა და თავისი კრიმინალური ღიმილი შეაგება.
_ Браво девочка, хвалю, хвалю. _ ჩაარუსულა დონარამ, თავისი ბობოქარი წარსული თუ გაახსენდა.
დემურმა ხმაურით ჩაყლაპა ბოღმიანი ნერწყვი. ეს ბებერი ტორტილაღა აკლდა! დაუმხია კოპლებიანი დიადემა და თავი მონსერატ კაბალიე ჰგონია. დიკოა, მოსაკლავი, დიკო! დემური მზად იყო შუაზე გაეგლიჯა ენაჭარტალა საყვარელი, რომელიც უკვე მერამდენედ აგდებდა უხერხულ მდგომარეობაში. ნორმალური ქალები ასე არ იქცევიან, პირიქით, შთაბეჭდილების მოსახდენად ცოლებად ასაღებენ თავს. დემური დაიღალა დიკოს არაორდინალური გამოსვლებით, მაგრამ რომ ვერ მოიგლიჯა გულიდან?! რა ჰქვია ამას? სიყვარული, ლტოლვა, მოდა, დაკარგული ნეკნის სინდრომი? მის ჩინოვნიკურ გარემოცვაში თითქმის ყველას ჰყავდა საყვარელი, მაგრამ ასეთი _ არავის! დიკო ეპრანჭება ყველას, ვისაც ფეხებს შორის რამე ულაყლაყებს. მათ შორის, ულვაშა ქურთსა და თხისწვერა პროფესორს. ოქრომჭედელ ვანოს ლამის ორბიტიდან გადმოუხტეს ისედაც გადმოკარკლული თვალები და დიკოს სარაფანში ჩაუხტეს. აგერ, მამაოც ძლივს იმორჩილებს გაქცეულ მზერას.
რა ჰქნას საწყალმა დემურმა? მამაკაცთა მთელ პოპულაციას ხომ არ დაერევა? ასეა, სანამ ქალს ცოლად არ დაისვამ, თავს ყველაფრის უფლებას აძლევს. საბელზე ჰყავხარ გამობმული, შესაწირი ციკანივით. დაისვამდა, მამაძაღლი, მაგრამ გავლენიან სიდედრ-სიმამრს რა უყოს? ცოლს კიდევ შეელეოდა კაცი, მაგრამ ამ დედააფეთქებულ პოსტზე სიმამრის პროტექციით მოხვდა. უფულო და უნიფხვო დიკოს კი არა, ყელში ამოსულ ცოლსაც არ სჭირდება. ასე რომ უნდა მოითმინოს, ვიდრე ხორცი არ ჩაცხრება და გონება არ დაეწმინდება.
_ რაღას ველოდებით? _ ხელები აასავსავა გოკამ და პირველმა მოიმარჯვა დანა-ჩანგალი.
დანარჩენებმაც მიბაძეს. მარტო ალის იყო მოუსვენრად და არც მეზობელ ვანოს ასვენებდა, რომელსაც მობეზრებოდა დიკოს ფორმების ყურება და ზედიზედ ნთქავდა ყველაფერს.
_ ვა, ე რანაირი პურია? _ უკვირდა ალის.
_ რანაირი პურია და აქაური პურია. ჭამე, ბიძაჩემო, ჭამე... _ პასუხობდა ვანო და თავისთვის ბრაზობდა.
ბედი უნდა ყველაფერს, რაღაც ეს ულვაშიანი ქურთი ერგო მეზობლად? როგორც სუფრაზე, ისე კაიუტაში. არა, ვანო ჰომოფობი არასოდეს ყოფილა, ღმერთმა დაიფაროს, სხვა თუ არაფერი, დედა ჰყავს ოსი, მაგრამ ალი პირდაპირ ატერორებდა კითხვებით. ხომ არ შეიძლება თავში გაელვებული ნებისმიერი მოსაზრება კითხვაში მოაქციო? ასე ბავშვები იქცევიან და არა ზრდასრული კაცები.

_ ბატონებო, ცხელი კერძი მიირთვით. _ კოკომ ნავივით წაგრძელებული თეფში მაგიდის ცენტრში დადო და კმაყოფილი გასწორდა.
_ რა ჰქვია ამ კერძს? _ იკითხა სპილოსძვლისფერმა ნიმფამ რუსუდან ლეჟავამ. ნიმფის პირობაზე საკმაოდ მკაცრი ლაპარაკის მანერა ჰქონდა. ასეთი ხმები აქვთ სკოლის დირექტორებს და საინფორმაციო გამოშვების წამყვანებს.
_ ეს თორლუა, ხორციანი კერძი. _ გაანათლა კოკომ.
_ გაჩინია ხორცს! _ დიკო პრეტენზიულად მიაჩრდა მოყავისფრო-მოწითალო წვნიანს, რომელშიც გუფთისმაგარი ბურთულები ამოკუზულიყო. _ იქნებ შემწვარი ქვეწარმავალია ან ვირთხის მარინადი?
_ ნუ ღელავთ, ეგვიპტეში ვართ, ამაზონის ჯუნგლებში ხომ არა?! არაფერს ისეთს, რაც ქართულ სამზარეულოსთან წინააღმდეგობაში მოდის, არ მოგართმევთ. თორლუ გულიაშის მაგვარი კერძია, კეთდება ცხვრის ხორცით, მაიონეზით, ლიმონის წვენით...
_ გულიაში რა არის? _ იკითხა ალიმ.
_ მე არ ვჭამ ცხვრის ხორცს, კუჭზე მწყენს. _ გააპროტესტა ელდარმა და მწყრალად შეხედა თავაზიანად ასვეტილ ბარმენს.
_ იქნება თევზის ასორტი: კალმარი, ლოქო, ორცხობილაში შებრაწული გველთევზა გარნირით.
_ დესერტი? _ დაინტერესდა დონარა.
_ ფახლავა და ფინიკები.
_ მშვენიერი.
_ მოგვიანებით, `ნეფერტიტის ცრემლებს~ მოგართმევთ.
_ რაო, რაო? _ ალი ვანოს ეცა, ვანომ თვალები ამოატრიალა, ალის ზინა გაახსენდა და პირზე ხელი აიფარა, ვითომ სამარე ვარო.
_ კოქტეილია ასეთი. _ ვანოს მაგივრად უპასუხა კოკომ და ალის, რომელსაც აშკარად ერიდებოდა ჭამა, გამამხნევებლად გაუღიმა.
პირველი გოკა ადგა, ნაჩქარევი მადლობა ისროლა და სიგარეტის მოსაწევად გემბანზე გავიდა.
ვანომ შურიანი მზერა გააყოლა. ბედნიერი, გაიფიქრა თავისთვის, გამოძღა და წავიდა. ფეხებზე ჰკიდია, რას იფიქრებენ სხვები. ვანოს კი ბავშვობიდან ჩასჩიჩინებდნენ: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო. ამ პრინციპით ცხოვრობდა. შედეგი? საიუველირო სალონის ექსპერტი და არა დიდი მეცნიერი, როგორც მშობლებს ეოცნებებოდათ. ეს ის ვანოა, რომელმაც სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ხოლო ინსტიტუტი _ წითელ დიპლომზე. 10 წელი კვლევით ინსტიტუტში მუშაობას შეალია. არც ხელფასი მომატებია, არც თანამდებობა. როგორი ლაბორატორიის ვირთხაც მივიდა, ასეთივედ დარჩა. აქეთ ქრონიკული უფულობით შეწუხებული ცოლი ატერორებდა: დროზე გამოასწარი მაგ ჭაობიდან, ხელობა მაინც ისწავლე, სანამ ჯანი გერჩის და ტრაკში კუილს იკავებო. ასე აღმოჩნდა ვანო სიმამრთან, საიუველირო სალონში. თავიდან ესირცხვილებოდა, ნაცნობმა არ დამინახოსო, მერე, როცა ორი კაპიკი გაუჩნდა და თავი კაცად იგრძნო, დაიკიდა. ორი კაპიკი და გულწრფელი ინტერესი საიუველირი საქმისადმი. ვანო ისე დახელოვნდა ძვირფასი ქვების გამოცნობაში, რომ სტაჟიან ექსპერტებს და სიმამრის გარდაცვალების შემდეგ მისი ნიშა დაიკავა. დღეის მდგომარეობით ის არ იყო ცხოვრების უკმაყოფილო, თუმცა არც კმაყოფილი ეთქმოდა. ვერშემდგარი მეცნიერული კარიერა შიგნიდან ხრავდა და გულს ბოღმით უვსებდა. რატომღაც ეგონა, რომ სამეცნიერო სტატუსი გაათავისფლებდა კომპლექსებისგან, ისიც ისეთივე თავისუფალი გახდებოდა, როგორც ეს კუნთმაგარი გოკაა. მასაც ისე შეხედავდნენ ლამაზი ქალები, როგორც იმავე გოკას უყურებდა ჰიპერსექსუალური

დიანა. ქალი ოხერია, ინტუიციურად გრძნობს ფულიან კაცებს. ამბობენ ფულს სუნი არა აქვსო. სისულელეა. ფულს სექსის სუნი ასდის. მდიდარი კაცი გაცილებით სექსუალურად გამოიყურება, ვიდრე ჯიბეგამოხეული, თუნდაც ცოცხალი ენციკლოპედიით თავში. თორემ რა დარჩენია დიკოს იმ თავგასიებულ გამგებელთან, რომელსაც მოჟამულ სიფათზე ეტყობა, რომ ორი წიგნიც არა აქვს წაკითხული?! დიდი ბაგაჟის მქონე არც `კუნთმაგარი~ ჩანს, მაგრამ გამგებელთან შედარებით მარკუს ავრელიუსია.
დესერტის შემდეგ საზოგადოება ხელოვნებით დაინტერესდა. გამძღარზე იოლია მაღალ მატერიებზე საუბარი, მშიერმა იკითხოს, თორემ...
_ ეს ნამდვილი პაპირუსია თუ იმიტაცია? _ რუსუდან ლეჟავამ თითით მოსინჯა ხეშეშა ქაღალდზე დატანილი ნახატით.
_ პაპირუსია, კი, _ მზადყოფნით უპასუხა პროფესორმა კენჭაძემ. _ მთლად ტუტანხამონის სარკოფაგიდან ამოღებული არა, მაგრამ ნიმუშად გამოდგება. _ ფრიდონმა სათვალე მოიმარჯვა და ახლოდან დააკვირდა ბამბუკის თხელ ჩარჩოში მოქცეულ კომპოზიციას. _ თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ეს სცენა ნეფერტარის სარკოფაგს ამშვენებს. დრონი მეფობენ, დრონი... ეგვიპტელები, დიდი ხანია აილაგმენ პირისაგან მიწისა, მათი არაამქვეყნიური, მარსიანული სახეები კი პაპირუსს შემორჩა.
_ ისინი ისე დიდხანს და ისე მონდომებით ფიქრობდნენ სიკვდილზე, ნამდვილად დაიმსახურეს უკვდავება. _ გაეღიმა რუსიკოს.
_ დიდი ბოდიშის მოხდით, ეს რქიანი ქალი ვინ არის? _ დაინტერესდა ალი.
_ იზიდა. ოსირისის და და ცოლი.
_ ეგ როგორ, დაც და ცოლიც ერთად, კაცო?
პროფესორმა მრავალმნიშვნელოვნად დაუკრა თავი. ალი არ ჩასციებია. ეტყობა მოესმა, თორემ სად გაგონილა ძმამ და მოიყვანოს ცოლად. ისე, კაცს რო სახელში სირი ურევია, იმისგან რა უნდა გაგიკვირდეს. ო-სირი-სი. უნდა დაიმახსოვროს და მერე კიაზოსთან ერთად იმსჯელოს. კიაზო ჭკვიანია, სიცილს არ დააყრის. თუ რამეა, წიგნშიც გადამოწმებს.
_ და სუყველანი გვერდულად რატო დგანან? _ ალიმ ხმამაღალი ფიქრი გააჟღერა.
_ იმიტომ, რომ ეგვიპტური მხატვრობა სტილიზირებულია, კანონიკური ჩარჩო ტანისა და სახის სიმეტრიულობაში ვლინდება.
ალიმ ვერაფერი გაიგო, თუმცა ენთუზიაზმით დააქნია თავი. პროფესორს დაეჯერება. თუმცა გადამოწმება არ აწყენს. არა, და-ძმის ცოლ-ქმობა სად გაგონილა?!
_ ერიჰაა, რა ნაცია გადაშენდა?... რა მიმოხვრა, რა თვალები... ნამდვილი მზის შვილები არიან.
_ ეხნატონი რომ გისმენდეთ, დიდად გაიხარებდა.
ილუმინატორის ღია ფანჯარაში გოკას ირიბად მომღიმარი ფიზიო დაეკიდა. ყველამ იქით მიიხედა.
_ ეხნატონი არ იცით, ხალხო? _ ხალისიანად განაგრძო გოკამ. _ დიდი რეფორმატორი იყო, ჩვენი პრეზიდენტივით.
_ რა რეფორმები აგიტყდათ ამ ზღაპრულ მხარეში? _ გააპროტესტა დონარამ. _ პოლიტიკა საქართველოშიც ამოვიდა ყელში, შიშით უთო ვერ ჩამირთავს, იქიდანაც კი გვიკიჟინებენ: პირველად საქართველოში, პირველად საქართველოშიო. ბჯოს!
_ რატომ ღელავთ, ქალბატონო დონარა, მე ნაციის გადაშენებას მივტირი, თორემ პოლიტიკა სულ არ მაინტერესებს.
_ ჭეშმარიტი ღმერთისკენ მიმავალ გზას ვერ მიაგნეს და იმიტომაც გადაშენდნენ. _ ხმა აღიმაღლა აქამდე გაჩუმებულმა მოძღვარმა და მრისხანედ დააკვესა გუდალა

თვალები. _ ძაღლისთავიან ურჩხულებს ეთაყვანებოდნენ, დედმამიშვილები ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ, რომელი ერთი ვთქვა! ფუი, ეშმაკს! _ მამა ზაქარიამ პაპირუსზე გამოსახული სცენას შეუკურთხა და ანაფორის ფრიალით დატოვა სალონი.
_ ზოომორფიზმი. _ ცოლს გადაუჩურჩულა სერგიმ.
_ რა?
_ ცხოველის ან მცენარის გაღმერთებას მედიცინაში ჰქვია ზოომორფიზმი. _ სერგიმ ცოლს ხელი გადახვია და გემბანისკენ წაიყვანა.
კარის ზღურბლთან რუსუდანმა თავი ასწია და ილუმინატორის კაშკაშა სიმრგვალეში ავიატორის დაჟინებულ მზერას წააწყდა.

_ _ _

ღამის 3 საათზე დაღლილი კაპიტანი შტურვალთან თვლემდა, ავიაპილოტზე მდგარი იახტა კი ნელა ირწეოა ნაამა-ბეის ყურეში.
სიცხისგან შეგუბებული ჰაერი უცებ ქალი კივილმა შეარყია. კაპიტანი ნიკიტა მომენტალურად გამოფხიზლდა, ვეფხვივით ეკვეთა სიბნელეს და კივილის ხმაზე გაიქცა.
ღამეული სოლო დიკოს ეკუთვნოდა, მე-4 კაიუტის ბინადარს, რომელიც საწოლზე ამხტარიყო, თვალები დაეხუჭა და მთელი სანაპიროს გასაგონად კიოდა.
რას აკეთებდა ამ დროს მისი მეგობარი მამაკაცი?
ის ნიფხავპერანგა იდგა ოთხზე და საწოლის ქვეშ რაღაცის (თუ ვიღაცას) გამალებული ეძებდა.
_ რა მოხდა? _ დაიბღავლა ნიკიტამ.
დიკომ თვალები გაახილა, პირი მომუწა, ენა ამოიდგა:
_ მე ის დავინახე, მე ის დავინახე, ის, ის, ის...
_ ვინ ის?
_ ვინ და ის, ის... ეგვიპტური ღვთაებაა თუ ღმერთქალი, თუ რაც არის...
_ იზიდა მოეჩვენა და აიკლო აქაურობა. _ დიკოს მაგივრად უპასუხა დემურმა და კრიახით წამოდგა. _ თვითონა გაგიჟდა და ამ ხნის კაციც გამასულელა. მოჩვენებას ვეძებდი, უკანასკნელი კრეტინივით. გაჩუმდი, გოგო, ნუ შეყარე ქვეყანა, სირცხვილია. _ შეუბღვირა აცახცახებულ საყვარელს.
დიკო ზლუქუნით ჩამოუყვა კედელს. ნიკიტამ შეაფასა მისი მოკლე, წვრილბრეტელა პერანგი, სავსე მკერდი, წვრილი წელი და დემურის, ამ ბალნიანი ცხოველის ადგილზე ყოფნა ინატრა. ჩუმად ინატრა, თავისთვის, თორემ სახეზე წარბიც არ შეხრია. მომსახურე პერსონალს კლიენტთან ფლირტი სასტიკად ეკრძალებოდა. ოცნებას კი ვერავინ დაუშლის.
დერეფნიდან ფეხების ბრაგუნი გაისმა. იმავე წამს ავადსახსენებელ კაიუტაში შემოცვივდნენ: გოკა ზნამენსკი, დიმიტრი ძნელაძე, სერგი ლეჟავა, მამა ზაქარია.
_ იზიდა მოეჩვენა ქალბატონს! _ ისეთი ნიშნის მოგებით წამოიძახა დემურმა, თითქოს საქმე სხვის `ქალბატონს~ ეხებოდა, ზემოხსენებული საზოგადოება კი ძალით შეეჭრა კაიუტაში.
დიკო მომენტალურად გამოვიდა მობუტბუტე ტრანსიდან, შემფასებლური მზერა ესროლა ნამძინარევ მამაკაცთა კოჰორტას და თავის მართლებას მოჰყვა:
_ კი არ მომეჩვენა, ჩემი თვალის დავინახე! ის აქ იყო, ჩემს ოთახში, ჩემს საწოლთან! თავზეც ზუსტად ის რქიანი დისკო ეკეთა, როგორც იმ ნახატზე, სალონში. კაბაც ეცვაააა...
_ კაბა? _ ცუდად დაფარული ირონიით გადაამოწმა გოკამ.

_ დიახ, დიახ. ტანზე მომდგარი ორნამენტებიანი კაბა პრიალა, სარკისებური ზედაპირით. გული გამისკდაა...
_ მე მგონი, რქიანი ზმანება წუხელ მირთმეული `ნეფერტიტის ცრემლების~ გამოძახილია.
_ თქვენ მე იდიოტი გგონივართ? _ დიკო აღშფოთდა.
ცალკე ცისფერთვალა კოვბოის ტონიდან, ცალკე მისი შიშველი ტორსისგან. მართლაც, ბატონი ზნამენსკი ლამის დედიშობილა გამომხტარიყო კაიუტიდან, თუ არ ჩავთვლით წელზე სახელდახელოდ შემოხვეულ პირსახოცს, რომელიც ძლივს უფარავდა სასქესო ორგანოს. პიჯაკით არც დიმიტრის ეძინა, მაგრამ იზიდას დასაფრთხობად მაინც ჩაცმული გამოქანდა.
ფსიქოანალიზის მამას, ზიგმუნდ ფროიდს თუ დაეჯერება, ძილში ქვეცნობიერი აქტიურდება და მთელი დღის ნაფიქრალ-ნააზრევს ვულკანივით აფრქვევს. ეტყობა, დიკოს სათუთმა ფსიქიკამ ვერ გადაამუშავა ზედმეტი ინფორმაცია და მოჩვენების სახით ამოხეთქა.
_ დიდი მადლობა, ბატონებო, იმედია, გვაპატიებთ მცირე გაუგებრობას. _ მოიბოდიშა დემურმა.
პირველებმა კაიუტა გოკამ და ნიკიტამ დატოვეს. დიმიტრიმაც გადადგა ნაბიჯი კარისკენ, მაგრამ დიკოს ტირილმა შეაჩერა.
_ რატომ არ გინდათ დამიჯეროოთ... გეფიცებით, ჩემი თვალით დავინახეეე... თითი დამიქნია, თითქოს თავისთან მიხმობდა�ა... არ იყო ეს ჰალუცინაცია, არ ვარ მე გიჟიიი...
სტოპ!
მსგავსი ფრაზა დიმიტრიმ უკვე მოისმინა ელდარის პირიდან, მაგრამ ბაბუამისის პორტრეტთან მიმართებაში. საინტერესოა, მე-4 კაიუტაში ამ მხრივ რა მდგომარეობაა?
წყვილის საწოლთან ზუსტად ის კომპოზიცია ეკიდა, რაც ელდართან _ ოსირისი თავისი ამალით. ტუმბოზე კი რელანიუმის ფირფიტა შენიშნა.
_ რომელს გაწუხებთ უძილობა?
_ მე. _ გამოტყდა დიკო.
_ რამდენი აბი მიიღეთ?
_ ერთი. რა იყო, რო?
_ წესით ღრმად უნდა გძინებოდათ.
_ წესით კი. მაგრამ იმან გამაღვიძა. იზიდამ. ბრრრრ...
_ როგორ გაგაღვიძათ: შეგეხოთ, ჩაგჩურჩულათ, გაკოცათ თუ რა?
დიკომ ჩაფიქრებულმა მოიკვნიტა ქვედა ტუჩი.
_ იქნებ სუნი იგრძენით? _ ჩაერია მამა ზაქარიამ. _ ბატონებო, დავიჯერო, სანთლის სუნს ვერ გრძნობთ?
_ კი, აშკარად არომატიზირებული სანთლის სუნია. _ დაუდასტურა დიმიტრიმ. _ მგონი სანდალოზის.
ჰაერი დაყნოსა დემურმაც. სერგიმაც ენერგიულად შეარხია ხორციანი ნესტოები.
_ მაგრამ მე არაფერი დამინთია! _ დიკომ ამობრუნებული ხელისგულები ზევით აღაპყრო. _ რა შარში ვარ, ღმერთო მიშველე!
_ `არა მიიღო სახელი უფლისა შენისა ამაოთა ზედა.~ _ ხმა აღიმაღლა მამა ზაქარიამ.
_ აბა, რა ვქნა, მამაო, ვის ვთხოვო შველა?!
_ უფალს, შვილო, უფალს! ისე კი არა, გულისგარეთ: `რა შარში ვარო~, ლოცვა უნდა დაახვედრო უწმინდურთა ღმერთების შემოტევას, `განმკურნე უფალო და განვიკურნები, გადამარჩინე და გადავრჩები, რადგან შენ ხარ ჩემი დიდება~.

_ არ ვარ ავად და რა ვქნა? _ დაიწუწუნა დიკომ და საყვარლად შეჭმუხტა თავისი სიფრიფანა ცხვირი.
არ გაჭრა. მამა ზაქარიამ გამანადგურებელი მზერა ესროლა საწოლის კიდეზე ჩამომსხდარ საყვარლებს და კაიუტიდან გასვლის წინ არანაკლებ გამანადგურებული სიტყვა დატოვა:
_ ავად რომ არ იყო, აქ არ იქნებოდი.
მამაოს დანარჩენებიც გაჰყვნენ. ცხადია, შერცხვენილი წყვილის გარდა. გემბანზე გოკა დახვდათ, რომელსაც შორტებში ფეხების გაყრა მოესწრო და ახლა რუსუდან ლეჟავას აცნობდა ღამეული აჟიოტაჟის მიზეზს. ჩამუქებული ცის ფონზე თეთრად იკვეთებოდა მისი რომაელის შესაშური ცხვირი პიკანტურად ამოკუზული კეხითურთ.
_ შენ რაღას გამოვარდი?! _ სერგიმ ცოლს უსაყვედურა და მზრუნველად შეუკრა ჟაკეტის ღილი. _ გრილა აქ. რომ გაცივდე? წამო, წამო, დავიძინოთ.
_ რომ აღარ გამოჩნდი, შემეშინდა. _ თავი იმართლა რუსუდანმა, მაგრამ წასვლაზე გაჯიუტდა. _ ცოტა ხანს ვიყოთ, რა? ნახე, რა ლამაზი ღამეა, მაინც დამიფრთხა ძილი... თქვენ ილაპარაკეთ, მე მოგისმენთ. კარგი?
_ მაშინ ჩამოვჯდეთ სადმე, _ შესთავაზა გოკამ და მარჯვნივ გაიხედა. _ აი, იქით მშვენიერი ადგილია. რბილი სკამები, თბილი პლედები... შეგვიძლია, მზის ამოსვლასაც დაველოდოთ.
_ აგაშენა ღმერთმა! _ გაუხარდა მამა ზაქარიას და გრძელი ნაბიჯებით გაემართა მითითებული ადგილისკენ.
სხვებიც გაჰყვნენ.

_ _ _

გამთენიისას დიმიტრი ფეხაკრეფით შევიდა თავის კაიუტაში. სულ ტყუილად ფრთხილობდა. პროდიუსერი ელდარი კაიუტაში არ დახვდა. სად გაქრა? თითქოს არც დიკოს კივილზე დაუტოვებია თბილი ლოგინი, არც გემბანზე გამოჩენილა. დიმიტრის დაუყოვნებლივ გაემართა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. კონდიციონერების თანაბარი ზუზუნის ქვეშ გაიარა დერეფანი და გემბანზე აღმოჩნდა.
გარეთ თბილოდა. მაისის თვეში, როცა თბილისში ჯერაც გრილა, სინას ნახევარკუნძულზე ტურისტული სეზონი დასასრულს უახლოვდება. ზაფხულში აქ გაუსაძლისი სიცხეა, ჩრდილშიც კი ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევს. დიდი-დიდი საღამოს საათებში გამოძვრე სასტუმროდან.
ათი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ ჩურჩული შემოესმა. ხუთი ნაბიჯიც დაამატა და ძვირფასი პროდიუსერის ხმა იცნო.
_ ...მეგონა, ვერასოდეს გნახავდი, ვე-რა-სო-დეს! რა ულმობელი სიტყვაა. შენ გავხარ ამ სიტყვას. ცოცხლად მოვკვდი, როცა მივხვდი, რომ გაიპარე, სამუდამოდ მიმატოვე... რატომ, რატომ მომექეცი ასე უგულოდ, რა დაგიშავე?... მიპასუხე, ნუთუ არაფერი გაქვს სათქმელი? ვიცი, არ გიყვარს თავის მართლება, მაგრამ ოდესმე შენც აღმოჩნდები ჩემს ადგილზე და მიხვდები: რა დღეები გადავიტანე. გიჟს ვგავდი, სადაც ხელი მიმიწვდებოდა გავიკითხე, მაგრამ შენ კვალს ვერსად მივაგენი... რას წარმოვიდგენდი, რომ აქ, ფაქტობრივად დედამიწის სხვა კუთხეში გიპოვიდი? ნამდვილად ბედისწერის ხელი ურევია ჩვენ შეხვედრაში. მიპასუხე, გთხოვ, შენი ხმა მომენატრა...

მომეტებული ცნობისმოყვარეობისაგან დიმიტრის კინაღამ სლოკინი აუტყდა. ვინ არის ამ ჭკნობაიეპარული ლოველასის ტრფობის საგანი? გემბანზე სამი ქალია, აქედან ორი დაკავებული, ერთიც მოხუცი ჰიპერტონიკი. მაშ ვინ?
_ თავი დამანებე. _ როგორც იქნა, ელდარს პასუხი აღირსეს და დიმიტრიმ მომხიბვლელი ბარმენის ხმა იცნო.
_ რატომ ასე უხეშად, კოკო...
_ მე კოკო არ მქვია.
_ აბა?
_ კოკო შენ დამარქვი.
_ გიხდებოდა და იმიტომ. ძაღლის ლეკვივით საყვარელი იყავი...
_ ნუ გამახსენებ.
_ რატომ, რატომ, რატომ?...
_ ხელი გამიშვი, არ მომეკარო, გესმის? არასდროს!
_ კოკო, არ წახვიდე, გემუდარები...
მაგრამ კოკო ეტყობა წავიდა, დატოვა რა უიმედოდ შეყვარებული ელდარი. ის დროა დიმიტრიმაც მოუსვას.
ყველა-ყველა, მაგრამ მამალ ჰომოსექსუალისთან ერთად თუ მოუწევდა კაიუტაში ყოფნა, დიმიტრი ვერ წარმოიდგენდა. ყოველი შემთხვევისთვის, მჭიდროდ გაეხვია პლედში და კედელს ზურგი აქცია. რა იცი, რა ხდება?!

_ _ _

თუთიყუში ბიბი ხარბად შეჰყურებდა მაგიდაზე დახვავებულ ხილის ასორტს. ბიბის ბანანი უნდოდა, მაგრამ ვინ იყო განმკითხავი? კოკო რომ კოკოა, ამ დილას ისე გულგრილად დაუყარა საჭმელი, არც გამოლაპარაკებია. არადა, კოკომ ახალი სიტყვა ისწავლა: `ბჯოს~, რომელსაც მსუქანი შლიაპიანი ქალი ხშირად-ხშირად იმეორებდა. ეჰ, რაც იცოდა, იმასაც არ უფასებდნენ! მარტო პირველ დღეს გადაირიენ: არიქა, რა ჭკვანი ჩიტიაო, მერე კი მიავიწყდათ. ისე ჩაუვლიან ხოლმე გალიას, თითქოს შიგ პოლიგლოტი თუთიყუში კი არა, ჩვეულებრივი ქათამი მჯდარიყოს.
ახალგაზრდა ლამაზი ქალი მგონი მისკენ მოემართება. ბიბიმ ხალისიანი გარბენა გააკეთა ხარიხაზე. ქალს დიდთავა კაციც მოჰყვა, ჩრდილივით. სულ ასე დასდევდა. სხვები თვალს აყოლებდნენ, ეს კი დასდევდა.
_ ბიბი, ბიბი! _ ქალმა საჩვენებელი თითი მიუახლოვა.
_ ხომ გაგაფრთხილეს, იკბინებაო. _ თქვა კაცმა.
_ არ მიკბენს, ჭკვანია.
_ ყორანზე ჭკვიანი მაინც არ არის.
_ იტყვი, რა?... _ ხელი ჩაიქნია ქალმა და ზურგი შეაქცია.
ბიბიმ აღშფოთებისგან გალიას ჩაუნისკარტა. ეი, თავგასიებულო, თუთიყუშს მარტო შეფერილობა აქვს ერთი ყორნის ფასი! `ბჯოს!~
ყვითლად მოელვარე ბანანს შავლვაშა კაცი დაეპატრონა, სათუთად მოაცალა კანი, უკბიჩა და ეგრევე დაახველა. ბიბიმ თუ დათარსა.
ხოტორამ წყალი მიურბენინა. ულვაშამ იმდენი მადლობა უხადა, ბიბიც კი შეწუხდა. საერთოდ, ულვაშა ძალზე უცნაურად იქცეოდა. ბანანიც ისე მიპარვით აიღო, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა. მაშინ, როცა შლაპიანი ყოველ გავლა-გამოვლაზე პირს აცმაცუნებდა და ბიჯო-ბიჯოს იძახდა. ცოტა ხნის წინ კი ბანანის

მთელი აცმა მოიპარა. ბიბიმ საკუთარი თვალით დაინახა როგორ ნაჩქარევად ტენიდა ნაჭრის ხელჩანთაში.
ხოტორა მოთუხთუხე ჩილიმის გარშემო შეკრებილ კაცებს დაუბრუნდა და წითელცხვირას ამბის გაგრძელება თხოვა: საინტერესო ადგილზე გაჩერდიო.
ცხვირის ფერი წითელცხვირას დღეს შეეცვალა, მზის გულზე დაიწვა საბრალო. ცოლი გაეხუმრა: ბრაზილიურ მაიმუნს გავხარო. ბიბიმ არ იცოდა, როგორ გამოიყურება ბრაზილიური მაიმუნი, მაგრამ თუ ისეთივე ზორბა და მოუქნელია, როგორც წითელცხვირა, საამაყო არაფერი ჰქონია.
ამბავი კი ასეთი იყო:
წითელცხვირა სინამდვილეში ექიმი ყოფილა. ერთხელაც პაციენტი მიიღო, ახალგაზრდა კაცი, რომელიც თურმე სისუსტეს უჩიოდა. ექიმს შიდსის ვირუსზე გასჩენია ეჭვი, გამოუკითხავს. გაირკვა, რომ პაციენტს ქალთან ჰქონია სექსუალური კავშირი. წესიერი ქალი ჩანდაო, არც მეძავი, არც არაფერი. ქალი შემთხვევით გაუცნია, რესტორანში, თანაც საკმაოდ რომანტიკულ ვითარებაში. ანუ, კაცი იჯდა, ჭამდა თავისთვის, ამ დროს ლამაზმა ქალმა ჩაუარა, ფეხი დაუცდა, მის მაგიდას დაეჯახა, კაცი მიეშველა და გაცნობაც შედგა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ექიმს გაახსენდა, რომ მსგავსი ისტორია უკვე ორჯერ ჰქონდა მოსმენილი, ოღონდ სხვა პაციენტებისგან. ერთს სამინისტროში უმუშავია, მაღალ თანამდებობაზე, მეორე ბიზნესმენი ყოფილა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ორივეს შიდსი აღმოაჩნდა და ორივეგან გაცნობის ერთი და იგივე სცენა ფიგურირებდა. ექიმს ეს პაციენტები მოუკითხავს. ორივე ცოცხალი იყო, მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლეს! დეპრესია, უმუშევრობა, მოახლოვებული სიკვდილის შიში... გაირკვა, რომ ინფორმაციას შიდსით დაავადებული თანამშრომლების შესახებ სამსახურში გაუჟონავს. საიდან? პაციენტების ავადმყოფობის ისტორია კონფიდენციალურია და მათი გასაჯაროება კანონით ისჯება. ექიმის ვარაუდი, რომ შიდსიანი ქალი მოგზავნილია, გამყარდა. ამიტომ პირად ინიციატივას შეეშვა და პროკურატურას მიმართა. ავანტიურისტი ქალბატონი მალევე დააკავეს და სიმართლეც დააფრქვევინეს. ის მეგობარ მამაკაცთან (ასევე შიდსიანთან) ერთად მოქმედებდა. ირჩევნენ შესაფერის ობიექტს, ცხადია, ლაპარაკია შეძლებულ მამაკაცებზე. ქალი ვითომ შემთხვევით ეცნობოდა მათ, შიდსით დაასაჩუქრებდა, რის მერეც უგზო-უკვლოდ ქრებოდა. გარკვეული დროის შემდეგ ობიექტს მისდიოდა ანონიმური წერილი, სადაც შიდსზე ანალიზის გაკეთებას ურჩევდნენ. მერე იწყებოდა შანტაჟი, მუქარა, ფულის გამოძალვა... ისედაც შოკირებული ობიექტი ვერ უძლებდა ზეწოლას და ყველა დათმობაზე მიდიოდა. აღებული ფულით ბოროტმოქმედები თავისთვის ყიდულობდნენ ძვირადღირებულ წამლებს და დროსტარებასაც არ იკლებდნენ... ამასობაში, ბიბის ჩათვლიმა, ჩილიმ-ბარში კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა.
_ არ გინდა გავატელევიზორო ეს ამბავი? _ სერგის ჰკითხა დიმიტრიმ.
_ არა, კაცო, რა ტელევიზორი? სიტყვამ მოიტანა და მოვყევი. _ იუარა სერგიმ.
_ რას იტყვი, ალი, ცუდი ისტორიაა? _ გოკა ჩაფიქრებულ ალის მიუბრუნდა.
_ ოჰ, უჟას!
_ იქნებ შენც მოგვიყვე რამე ეგეთი, უჟასნი. ჰა, არაფერი გახსენდება?
ალიმ ულვაშის წიწკნას თავი დაანება და მოულოდნელად აილეწა. ეტყობა, რაღაც გაახსენდა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.
_ ასეთი რა გითხარი, შე კაცო, პატარძალივით რომ გაწილთდი?! მოიწი ჩვენკენ, აი, ჩილიმი გასინჯე, თან ამბები გაიხსენე... თბილისელი კაცი ხარ, ძაღლსა და მამაძაღლს იცნობ, არ არსებობს მოსაყოლი არ გქონდეს! ჰე, ახლა, დაიწყე, ნუ გიტყდება.

_ არაფერიც არ ვიცი. _ მწყრალად მიუგო ალიმ.
_ იცი, იცი, თვალებში გატყობ, რომ იცი. მისმინე ალი, თუ იმაზე საინტერესო ისტორიას მოგვიყვები, ვიდრე სერგიმ, 100 დოლარს გიფეშქაშებ.
ალიმ ამოიოხრა.
_ რას აძალებ, დაანებე თავი. _ თავი გამოიდო დიმიტრიმ, მაგრამ აზარტში შესულ გოკას არაფრის გაგონება არ სურდა.
_ არ ვაძალებ. უბრალოდ მინდა შემოგვიერთდეს, თორემ ზის მთელი დღე ბაიყუშივით და მარტო ულვაშს იწიწკნის. ცოტა თუ არ გავერთეთ, შვიდი დღე რა გაგვაძლებინებს?
_ უკვე ექვსი. _ დაამთქნარა სერგიმ და ჩილიმის ტუჩი დაითრია.
_ მით უმეტეს! ჯანი გავარდეს, 200 იყოს. რას იტყვი, ალიხან, 200 დოლარი.
ალი ხმას არ იღებდა, წარბშეკრული მიშტერებოდა ფარდაგის ორნამენტს.
_ 500 დოლარი. _ გოკა ალერსიან ჩურჩულზე გადავიდა.
ალი წამოხტა და შურდულივით გავარდა ჩილიმ-ბარიდან, ლამის გაიტანა კარის ზღურბლზე მდგარი დონარა.
_ კრიტინ! _ მარაოს ქნევით მიადევნა დაზარალებულმა ქალბატონმა. _ ცოტაც და წამაქცევდა ეს შეჩვენებული ქურთი. რა ბზიკმა უკბინა ნეტა?
_ მე ვარ ეგ ბზიკი, დონარა მიხაილოვნა, მე. _ გოკა ზმორებით წამოიმართა და ილუმინატორის ფანჯარაში გაყო ხოტორა თავი. _ კოკო, ვისკი მოაცუნცულე, შენ გაზრდას... ალი თუ დაინახო სადმე, ერთი ჭიქა იმასაც ახუხე. _ გასძახა უჩინარ ბარმენს.
_ რა უთხარით ასეთი?
_ 500 დოლარი შევთავაზე ერთ კარგ ისტორიაში, იმან კი შეურაცხყოფად მიიღო. ასე არაა, ბატონებო? _ დაიმოწმა სერგი და დიმიტრი.
ბატონები დუმილით შემოიფარგლნენ. შემოსწრებულმა ვანო თელიამ ქალბატონს სკამი მიუმარჯვა.
დონარა კრიახით დაჯდა და ხელჩანთის გახსნას შეუდგა.
_ 500 დოლარად სტრიპტიზს იცეკვებდა კაცი. _ ბუტბუტებდა თავისთვის. უცებ თვალები გაუფართოვდა. _ არა, წარმოუდგენელია! _ შესძახა გაკვირვებულმა და ხელჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. _ `ჟიტანი!~ ჩემი საყვარელი ფრანგული სიგარეტი! საუკუნეა არ მომიწევია... გამოტყდით, ვინ არის ამ სიურპრიზის ავტორი, ერთი კარგად უნდა ავუწიო ყური.
კაცებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.
_ ვერ გავიგე, გაიხარდათ თუ გეწყინათ? _ იკითხა ვანომ.
_ სიგარეტი გამიხარდა, ჩემს ნივთებში რომ უნებართვოდ იქექებიან, არ გამახარდა. ჯანდაბას, მიპატიებია, ოღონდ მითხარით, რომელმა ჩაიდინეთ?
_ ეგებ იზიდას ოინებია? _ იხუმრა სერგიმ.
_ არ ვიცი, იზიდასია თუ ოსირისის, მაგრამ ამ ყველაფერს რომ მისტიკის სუნი ასდის, ფაქტია.
_ თამბაქოს თუ მისტიკის სუნი ასდიოდა არ მეგონა.
_ მარტო თამბაქო, შე კაცო?! _ დონარამ `ჟიტანის~ ღერი ამოიღო. სიამოვნებით დაყნოსა. მოუკიდა. _ აგერ, პროფესორ კენჭაძეს ბაბუამისის პორტრეტი დახვდა კაიუტაში. კაი, პირველ დღეს მოვუსმინე, დავუჯერე კიდეც, დავამშვიდე, როგორც შემეძლო. ჰმ, ჰოპერტონიკი ქალი აქეთ ვიღაცას დაამშვიდებს?! გავიხედე, და დღეს ახალი ვერსიით გამომეცხადა: ბაბუაჩემს ქოლგის მაგივრად ხელში ორდენი უჭირავსო. ე. ი. გუშინ ქოლგა ეჭირა, დღეს _ ორდენი. როგორ მოგწონთ? მგონი დაისიცხა ბერიკაცი, თუ იმთავითვე დასიცხული არ იყო. შემიწუხა გული თავისი ეჭვებით, ბჯოს!

_ ბჯოს! _ გაიმეორა ბიბიმაც, მაგრამ მისი ჩლითინი არავის გაუგია. კოკომაც საქმიანად ჩაუარა, ვისკი უნდა ჩააცეცხლოს ჩილიმთან შექუჩულ უსაქმურებს.
_ მე კი ჩემი საყვარელი წიგნი დამხვდა კაიუტაში. ჩემივე ინიციალებით. _ თქვა გოკამ. _ აი, ჟურნალისტი დამემოწმება...
 მაგრამ ჟურნალისტი ადგილზე არ დახვდა, ის უკვე აკაკუნებდა #2 კაიუტის კარზე.
_ შემოდი, შვილო, შემოდი... _ მიიპატიჟა მამა ზაქარიამ. _ რამ შეგაწუხა?
_ გავიგე, ბატონი ფრიდონი ყოფილა შეუძლოდ.
_ დონარამ შემიყარა ქვეყანა, არა? _ ბალიშზე მისვენებულმა ფრიდონმა ნაწვალევი ღიმილი გამოადნო. _ შეგიძლიათ დაამშვიდოთ, ისეთი არაფერი მჭირს... თუ არ ჩავთვლით ზოგად სისუსტეს.
ის აღარ ჰგავდა პეწიან პროფესორს. თმა-წვერ აბურძგნული, ნაოჭებად ასხმული ბებრული კისერით. ბაბუაწვერას ჰგავდა, ქარაშოტში მოხვედრილსა და ცხრა მთას იქით გადასროლილს. პრინციპში, ასეც იყო. აფრიკულმა ჰავამ აშკარად ცუდად იმოქმედა ზომიერ კლიმატს მიჩვეულ მეცნიერზე. თუ სხვა რამეშია საქმე?
_ აწი, გაუმხილეთ სიმართლე, ბატონო ფრიდონ, რა აზრი აქვს დამალვას? _ ურჩია ზაქარიამ და ანაფორაზე დასვენებულ ჯვარს თითებით მოეფერა. _ მე რა შემიძლია ლოცვის გარდა, დიმიტრი კი ამ საქმის სპეციალისტია. ენდეთ ჩემს ჭაღარას...
ფრიდონმა ერთხანს იყოყმანა, მერე კი ყველაფერი მოუყვა. დიმიტრიც იძულებული გახდა ხელმეორედ მოესმინა ნაცნობი ისტორია, აბა, დონარას ხომ არ ჩაუშვებდა?
_ ეს ფოტოა? _ დიმიტრი ავადსახსენებილ ფოტოსურათთან შედგა. ცილინდრიან ბერიკაცს ხელში ორდენი ეჭირა. თითქოს ბავშვივით გახარბებდა: მე რაღაცა მაქვსო, შენ ხომ არა გაქვსო. _ ცვლილება თქვენც შეატყვეთ? _ მიმართა მამა ზაქარიას.
_ რაღა დაგიმალოთ, სულ არ შემიხედია ამ სურათებისთვის.
მამა ზაქარია ახლაღა დააკვირდა მისი საწოლის თავზე გაკრულ თევზის რეპროდუქციას. ჩვეულებრივი თევზია. ფარფლები, კუდი, უკმაყოფილოდ დაქაჩული პირი. არაფერი საგანგაშო.
_ ვიცი რასაც ფიქრობთ, _ მძიმედ ამოიოხრა ფრიდონმა, _ მერწმუნეთ, არც ისეთი გამოთაყვანებული ვარ, დეტალები ვერ გავარჩიო. დამიჯერეთ, თავდაპირველ ფოტოზე ნამდვილად ქოლგა იყო, ახლა კი ორდენი გაჩნდა. მე, ნუმიზმატიკის სპეციალისტს ქოლგა ორდენში შემეშლებოდა? არა, ბატონებო, ასეთი რამ გამორიცხულია!
_ ბატონო ფრიდონ, გჯერათ მისტიკური მოვლენების? _ პირდაპირ ჰკითხა დიმიტრიმ.
_ რას გულისხმობთ `მისტიკურში?~
_ ნებისმიერ მოვლენას, რომელის ახსნა ადამიანის გონების შესაძლებლობას სცდება.
_ ზოგადად არ მჯერა, მაგრამ... მაგრამ ფაქტი ჯიუტია. _ ფრიდონმა ეჭვით გახედა ბაბუის ფოტოს. პირწავარდნილი ყარამანია და რა გინდა რომ ქნა? ეს საგვარეულო ხალიც რომ ადგილზე აქვს?!
_ თქვენ რას ფიქრობთ, მამაო?
_ ეშმაკეულია ეგ ყველაფერი. უწმინდური ძალა დაგხვდა ამ ხომალდზე და გამოცდას გვიწყობს. მუსლიმთა ქვეყნის ცენტრში ვიმყოფებით ერთი მუჭა მართლმადიდებული ქრისტიანები, ერთად ყოფნა და ლოცვა გვმართებს, და არა წარმართი იზიდას ხუშტურზე სირბილი. ჯერ იყო და იმ კუდიანების პრინცესამ წამოგვაგდო შუაღამისას, ჩვენც დაოთხილები გავვარდით. იმასაც მეტი არაფერი უნდოდა, გადმოგვიყარა, ბოდიშიდა, თავისი ნესვები...
_ კარგით, რა მამაო, რა ნესვები, რა ეშმაკეული... _ დაამანუსა ფრიდონმა.

_ არ გჯერათ, არა? _ მოულოდნელად დასჭექა მამაომ. _ უსათუოდ შაბაშები უნდა მოაწყონ და უმანკო ჩვილებს წირვა გამოუვანონ? განა პორნოფილმები ნაკლები ცოდვაა? ჩუკენობას დააჩვია მთელი ერი!
მამა ზაქარია კიდევ დიდხანს ბობოქრობდა, მაგრამ მხოლოდ თვლემამორეული ფრიდონის გასაგონად, რომელიც შიგადაშიგ თავს უქნევდა, ვიდრე ძილმა არ წაიღო.

_ _ _

`ჩემო საყვარელო მაიკო, როგორც იქნა, შენთან საჭორაოდ მოვიცალე. არა, არ იფიქრო, მოუცლელი ვარ, აქ, ეგვიპტეში, დრო თავზესაყრელი მაქვს, მაგრამ არ მინდა სერგიმ იცოდეს ჩვენი მიმოწერის შესახებ. რა საჭიროა? ახლა ჩილიმ-ბარშია გასულ ენის მოსაფხანად. გარეთ ისეც ცხელა, ცხვირს ვერ გაყოფ, კაიუტაში კი სასიამოვნო სიგრილეა. შესანიშნავი დრო შთაბჭდილებების გასაზიარებლად. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენო, რომ მგონი შენი საყვარელი სიძე ეჭვიანობს. გაგიკვრდა? მეც მიკვირს, მაგრამ ასეა, ასე... თან მეცინება. ცხოვრებაში არ უეჭვიანია, და ახლა, როცა როგორც იქნა, დავფეხმძიმდი, ეჭვიანობის სცენა გამიმართა! არ გჯერა? ხო, ხო, კაი, ცოტას ვაჭარბებ. სცენა არ გაუმართავს, უბრალოდ მისაყვედურა: რატომ ველაპარაკებოდი შუაღამისას გოკას, ჩვენი იახტის ერთ-ერთ მგზავრს. ეს ის ღამეა, როცა დიკოს, იმ ტუტუც გოგოს იზიდას აჩრდილი მოელანდა. ისე, ჩვენში რომ დარჩეს, ამ გოკამ რაღაცნაირი ცქერა იცის, თითქოს სკანირებას გიკეთებს. თვალებიც უცნაური აქვს... ბაცი ცისფერი და რაღაცნაირი სუსხიანი. დღეს დილით, საუზმეზე აღმოვაჩინე, რომ მე სულაც არ ვყოფილვარ გამონაკლისი. ეს კაცი ყველას ასე უყურებს, იმიტომ რომ მარჯვენა ლოყის რაღაც მონაკვეთი პარალიზებული აქვს. ლაპარაკისას ეს მონაკვეთი მოძრაობაში მოდის, რაც სახეს მექანიკურად ანიჭებს ორაზროვან გამომეტყველებას. განსაკუთრებით, გაღიმებისას. ვფიქრობ სერგი ამაზე აიჭრა. გოკას მეორე მინუსი ჩახლეჩილი ხმაა. შეიძლება ქრონიკული ბრონქიტისგან, შეიძლება იოგების ბრალია. სულაც გენეტიკურია. პრინციპში, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ისე გითხარი, ჭორაობის ამბავში.
უი, კინაღამ მთავარი დამავიწყდა! ჟურნალისტი დიმიტრი ძნელაძე. არ დაიჯერებ, მაიკო, ამ კაცმა გვანცა დაიხსნა ჩეჩნეთის ტყვეობიდან. გვანცა ხომ გახსოვს, გორდეზიანი, ირინას მეგობარი. ირინამ თქვა, თითქოს ერთმანეთი შეუყვარდათო, მაგრამ ამ გვანცამ დაჰკრა ფეხი და ზაზას გაჰყვა. ზაზა ხომ იცი? გოგი თოფურიას ვაჟი. მილიონერის. ირინამ, თითქოს დიმიტრის ჯიბრზე გათხოვდაო, მაგრამ მგონი ფულს დახარბდა. ისე ეს დიმიტრი კაი ტიპია. სიტყვაძვირი და სახეზე იდუმალების აპლომბით. ქალებს მოსწონთ ასეთები, დიკო ლამის ნიფხვიდან ამოხტეს, მაგრამ დიმიტრი ზედაც არ უყურებს. სამაგიეროდ, გოკა უჟუჟუნებს თვალებს. ისე, ახია დემურზე, კაცი რომ ცოლს ბოზანდარაში გაცვლის, ცხვირწინ უნდა უღალატო.
ხო, კიდევ რაღაც უნდა გითხრა, ოღონდ ამ დამცინო შენებურად, ჩათვალე, რომ ვბოდავ. ჩემს კაიუტაში ბუს ფერადი ილუსტაცია ჰკიდია. შენ თავს ვფიცავარ, მაიკო, ზუსტად ასეთი ეკიდა ჩემსა და დათოს საძინებელში. რატომ ბუ და არა მაგალითად, ფარშევანგი? იმიტომ, რომ ბუ დათოს ჰგავდა. მასაც ხომ ბუსავით მრგვალი, მოყვითალო თვალები ჰქონდა, დიდი შავი გუგებით. მისი ბავშვობის მეტსახელიც ბუკოა. იცი, თათიას მამისის თვალები აქვს. ამ თვალებს ვერსად გავექცევი, მაიკო, გამუდმებით მაბრუნებს წარსულში, მოშვების საშუალებას არ მაძლევს...~
კარის სახელურს ვიღაც დაეჯაჯგურა.

_ რუსიკო, გააღე! _ სერგი იყო.
რუსიკომ დღიური ლეიბის ქვეშ ამოდო და ქმარს შეეგება.
_ ამაღამ სინას მთაზე მივდივართ. _ ახარა სერგიმ. _ თბილი ჯემპრი მომიძებნე რა, გაგვაფრთხილეს, ღამით ეციებაო...
_ და ღამით რატომ?
_ აბა, შუადღის პაპანაქებაში რა ავა მთაზე? თანაც ამ ექსკუსიის ეშხი იმაშია, რომ დილით მზის ამოსვლას უნდა შევხვდეთ, ვითარცა ბიბლიური მოსე. ეი, ცოლო, სახეზე ვერ გატყობ კმაყოფილებას, რაშია საქმე?
_ საქმე იმაშია, რომ მე ვერ მოვდივარ და მშურს.
_ უი, უი, სულ დამავიწყდა! _ სერგი ცოლს მუცელზე მიეფერა, _ შენ მაგაზე არ ინერვიულო, საყვარელო, მე ორივეს მაგივრად ავალ და ორივეს მაგივრად ვილოცებ.
_ ცოდვებსაც ორივეს მაგივრად მოინანიებ?
_ რა ცოდვები გვაქვს ამისთანა?
_ `არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს.~
_ რუსო, შენ რა მამა ზაქარიასავით მელაპარაკები?! _ სერგომ მაისური გაიძრო და ლოგინზე წამოგორდა. _ ისიც მთელი
დღე ციტატებს ისვრის, თავი სასულიერო სემინარიის გაკვეთილზე მგონია.
_ ოდესმე თათია გაიგებს, რომ შენ არ ხარ მისი ნამდვილი მამა, რა პასუხს გავცემთ?
_ სიმართლეს ვეტყვით.
_ დარწმუნებული ხარ, რომ გაგვიგებს? ის, რაც ჩვენთვის იმ მომენტისთვის იყო მომგებიანი, მან შეიძლება ავანტიურად აღიქვას. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ახსოვს მამამისი, ბუნდოვნად, მაგრამ ახსოვს. დღესაც არ ვარ დარწმუნებული, რამდენად სწორედ მოვიქეცი, როცა შვილს მამის გვარი წავართვი.
_ სამშობლოს მოღალატე მამის! _ სერგიმ თავი წამოსწია და საყვედურით შეხედა ცოლს. _ არ მესმის, რატომ წამოიწყე ეს ლაპარაკი? ან ეს სრულიად უადგილო სიტყვა _ მომგებიანი _ საიდან მოიტანე? მომგებიანი შეიძლება იყოს ლატარეის ბილეთი და არა ბავშვის მომავალი. თათია ჩემი გაზრდილია, შვილივით მიყვარს. თუ ჩათვლის, რომ არასწორედ მოვიქეცით, ეს მისი პრობლემა იქნება და არა ჩვენი.
_ მე არ მინდა თათიას ჩემ გამო პრობლემა შეექმნას. _ რუსიკო ქმარს მიუწვა და მკლავზე თავი დაადო.
_ უპრობლემო მარტო იდიოტია. შენ კი გინდა რომ თათიამ ია-ვარდით მოფენილ გზაზე იაროს, მაგრამ ეს ხომ მიამიტი დედის ილუზიაა. რეალობა სხვაა. აგერ, შენ გამო დედაჩემი დღესაც ვერ შემოვირიგე, მაგრამ ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი. ადამიანმა თავისი წესებით უნდა იცხოვროს და არა სხვისი ხათრით. თუნდაც მშობელი დედის. თუ თათიას მოუნდება მამის გვარზე გადასვლა, ხელს არ შევუშლი. თუ უნდა საფლავზეც იაროს, სანთელი დაუნთოს... ეს ყველაფერი მისი გადასაწყვეტია. ცხადია, როცა სრულწლოვანი გახდება.
_ სერგი...
_ ჰო.
_ მგონი გითხარი, რომ მიყვარხარ.
_ კი, მაგრამ მაინც სასიამოვნოა. შეგიძლია გაიმეორო.
_ გაგიმეორებ, მაგრამ როცა დამიდასტურებ, რომ შენც გიყვარვარ.
_ ოჰ, რა ხართ ეს ქალები... ყურებით გიყვართ, ყურებით. _ გაიცინა სერგიმ და ცოლი თავისკენ მიიზიდა.

– – –

სინას მთაზე ამსვლელებს ღამის 12 საათზე ავტობუსმა მოაკითხა. მგზავრებიდან იახტაზე დარჩნენ: დონარა, რუსიკო, გოკა, ალი და ფრიდონი.
რუსიკომ ქმარი გააცილა და ჰაერის ჩასაყლაპად გემბანზე გავიდა, თან გაიყოლა ერთი პარკი მიწის თხილი. საკნატუნოები ადრეც უყვარდა, ფეხმძიმობისას კი პირდაპირ ციყვად გადაიქცა. მუდმივად მიწის თხილს იმარაგებდა, თითქოს წინ მშიერი ზამთარი ელის. პრინციპში, სერგისთან ერთად არაფრისაც არ ეშინია: არც ზამთრის, არც შიმშილის, არც სიცივის... სერგი ისე ფარი აღმოჩნდა, რომელიც ნებისმიერ ისარს ისხლტს. 5 წელი გავიდა მათი ქორწინებიდან და ყველა პესიმისტის ჯიბრზე შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი შედგა ყველა თვალსაზრისით. დარადა, ისინი ბლომად იყვნენ, პესიმისტები, რას არ უწინასწარმეტყველებდნენ... ზოგი სერგის ჩასჩიჩინებდა: რაში გჭირდება შვილიანი ქალიო, ზოგიც _ რუსიკოს: შენზე უმცროსი კაცი რამ შეგაყვარაო? თითქოს 2 წელი მათ ასაკში რამეს ნიშნავდეს? მიდი და აუხსენი ასეთებს, რომ სწორედ შენზე უმცროსთან იგრძენი თავი ნამდვილ ქალად. განსაკუთრებით ისინი ვიშვიშებდნენ, ვინც რუსიკოს პირველ ქმარს იცნობდა: დათოს მერე რამ მოაწონა ეს მოუქნელი სპილოო?
დათო რომ ცოცხალი ყოფილიყო, რუსიკო ფიქრშიც ვერ გაივლებდა ოჯახის ღალატს, მაგრამ დათომ შერცხვენილი სახელით ცხოვრებას სიკვდილი არჩია, რუსიკოს კი ღმერთმა კომპენსაციის სახით სერგის თავი გამოუგზავნა. განა დათო არ უყვარდა, გარკვეულწილად აფანატებდა კიდეც, მაგრამ არასოდეს ყოფილა მასთან ასეთი ლაღი და გახსნილი, როგორც სერგისთან. ის იყო ურთიერთობა მეფესა და მხევალს შორის, რაც მეტია დისტანცია, მით მეტია პატივისცემა და მით ნაკლებია თავისუფლების ხარისხი. იმ თავისუფლების, რომლის გემო რუსიკომ მხოლოდ სერგისთან დაახლოვების შემდეგ გაიგო. როცა არც სხეულის გაშიშვლების გრცხვენია, არც სულის. როცა ის ხარ, რაც ხარ. უფრო სწორედ, გინდოდა ყოფილიყავი და ვერ ბედავდი, რაღაც გამუხრუჭებდა, გრთგუნვდა, გასაფრენად გამზადებულ ფრთებს გიკვეცავდა. მერე მოვიდა ერთი `მოუქნელი სპილო~, გაკოცა მძინარე მზეთუნახავს და შენი მოჯადოებული სული გარეთ გამოუშვა. სულ ეს არის.
_ მთვარიანი ღამე, ზღვა, გემბანზე მშვენიერი ქალბატონი... მე რომ მხატვარი ვიყო, მომენტს არ გავუშვებდი ხელიდან.
ქათინაური სიბნელიდან აღმოცენებულ გოკას ეკუთვნოდა.
_ თქვენს წარმოსახვით შედევრს თხილის კნატუნი აკლია. _ რუსიკომ ღიმილით გაუწოდა ნახევრადდაცლილი პარკი.
გოკას თავპატიჟი არ დაუწყია, პარკში ხელი ჩააცურა, თხილის მარცვლები ხელისგულზე დაიყარა და ფრთხილად შეუბერა სული. ასეთი ხელები აქვთ ძლიერ, საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანებს: პრეზიდენტებს, ბიზნესმენებს, ბანკირებს, სამხედროებს... გაიფიქრა რუსიკომ და უცებ ისე შექანდა, თითქოს უხილავმა ძალამ მათრახი გადაუჭირა. რაღაც ინფორმაციამ მოკლე ჩართვასავით გაიელვა ტვინში და ისე ჩაქრა, გააზრებაც ვერ მოასწრო.
_ შეუძლოდ ხომ არ ხართ? _ გოკა ოდნავ შეეხო მხარზე.
_ არა, არა. თავბრუ დამესხა. უკვე გამიარა, გმადლობთ.
_ იქნებ წყალი?
_ დიახ.

გოკა წყლის მოსატანად გავარდა. რუსიკომ წამიერი `გამათრახება~ ფეხმძიმობას დააბრალა და დარჩენილ თხილს ზღვაში გადაუძახა. ისედაც ზედმეტი მოუვიდა.

_ თევზები რომ თხილს არ ჭამენ? _ გოკამ წყალი გაუწოდა.

_ ზოგიერთი თევზი ადამიანს ჭამს და დავიჯერო უფასო თხილზე უარს იტყვის?

_ ასეთი თევზი ზვიგენია, მაგრამ მათ არ უყვართ მარჯნის რიფებინი სანაპირო.

_ მინდა გითხრათ, ეს რიფები არც მე მხიბლავს. გუშინ ჩემმა ქმარმა ცურვისას ფეხი გაიკაწრა, კიდევ კარგი იოდი მქონდა წამოღებული, დავუმუშავე.

_ მზრუნველი ცოლი ყოფილხართ. _ გოკას ხმაში ფარული ირონია ჟღერდა.

_ ვცდილობ. _ რუსიკომ ცოტა არ იყოს გაუკვირდა, მაგრამ გამოდავებას მოერიდა. ამ კაცს ისეთი გამომეტყველება აქვს, სულ რომ სიყვარული აგიხსნას, ესეც დამცინავად გამოუვა. მისი პირის აპარატი ღიმილისთვის არ არის მოწყობილი, მას მხოლოდ კბილების დაკრეჭვა შეუძლია, მგელივით.

_ შვილიც გყავთ?

_ კი. 10 წლის გოგონა.

_ დედასავით ლამაზია თუ მამას ჰგავს?

არა, რა... არ ეჩვენება. გოკა აშკარად სერგის ერჩის. რაც მთავარია, ცდილობს მისი ცოლი აიყოლიოს. ვერ მოართვეს! სერგის სილამაზეზე აქცენტის გაკეთება სისულელე იქნებოდა, მაგრამ ვინ თქვა, რომ მამაკაცისთვის გარეგნობაა მთავარი პრიორიტეტი.ალენ დელონი არც გოკა ყოფილა, თუმცა მისი ასიმეტრიული სილამაზე ალბათ ბევრ ქალს იზიდავდა.

_ დედასავით ლამაზი და მამასავით ნიჭიერი. _ რუსიკომ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

გგოკამ სწრაფად შეხედა. ნერვიულად შეუხტა ტუჩის კუთხე. გარუჯულ შუბლზე მოთეთრო ნაოჭები აიტალღენ. ეტყობა შუბლშეჭმუხნული ეფიცხებოდა მზეს. რუსიკოს უსიამოვნოდ დაჰბურძგლა.

_ რატომ მიყურებთ ასე? _ ჰკითხა ხმადაბლა.

_ როგორ?

_ დაჟინებით. მე ეს არ მსიამოვნებს.

_ პირველად ვხედავ ქალს ვისაც მამაკაცის ყურადღება არ სიამოვნებს.

_ ქვეყანად ერთადერთი მამაკაცია, ვისი ყურადღებაც მსიამოვნებს და ის მამაკაცი ჩემი ქმარია. _ ცივად ესროლა რუსიკომ და კაიუტის მიმართულებით გადადგა შემტევი ნაბიჯი.

იმავე წამს სიბნელიდან გამომხტარმა ფრიდონმა გზა გადაუღობა:

_ მეტი აღარ შემიძლია, გავთავდი კაცი და ეგ არის! რუსუდან, გამოტყდით, რომ ეს ყველაფერი თქვენი ნამოქმედარია, გემუდარებით, გამოტყდით...

რუსიკომ უნებურად აიფარა მუცელზე ხელები. ღმერთმა ნუ ქნას, ამ გადარეულმა ბერიკაცმა ბავშვს რამე ავნოს:

_ რაში გამოვტყდე, ბატონო ფრიდონ, რას ბრძანებთ?

_ ეეე, სიჩქარეს დაუწიე, ბიძაჩემო! _ თავი გამოიდო გოკამ და მოაჯირთან მიმწყვდეულ რუსიკოსა და ფრიდონს შუა ჩაეკვეხა.

_ გამოტყდეს, რომ ეს მისი ოინებია! გამოტყდეს, თუ რამედ უღირს ადამიანის სიცოცხლე! _ მთელი სანაპიროს გასაგონად იბღავლა პროფესორმა.

_ მგონი გაგიჟდა. _ ყურში დასჩურჩულა რუსიკომ გოკას, მაგრამ პროფესორმა გაიგო მისი ნათქვამი და უარესად აყვირდა:

_ არ ვარ გიჟი, არა�ა... მაგრამ თუ ამ ყველაფერს ახსნას ვერ მოვუძებნი, მართლა გავგიჟდები. მართლაااა...
_ ბოლოს და ბოლოს, არ იტყვით რა მოხდა? _ გოკამ ბატონი ფრიდონი სკამზე დასვა და მის აცახცახეულ ფეხებთან ჩაიმუხლა.
_ იქ, კაიუტაში... _ დაიწყო პროფესორმა და გამომშრალი ტუჩები გაილოკა. _ იქ, კაიუტაში, ახალი ფოტოა, უფრო სწორედ ძველი, მაგრამ ახალი ვარიაციით.
_ მე რა შუაში ვარ ამ ფოტოებთან, ბატონო ფრიდონ, მე რა შუაში ვარ? _ ხელები აიქნია რუსიკომ.
_ არ ხართ შუაში?
_ არა.
_ მე და თქვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს... _ პროფესორმა კისერი წაიგრძელა და ცბიერად თვალები მოჭუტა თვალები.
_ შევხვედრივათ. _ პატიოსნად დაუდასტურა რუსიკომ. _ არც დამიმალავს ჩვენი ნაცნობობა, აეროპორტში მოგესალმეთ, მეტი რა მექნა? თუ არ ვცდები, ჩვენ გავასწორეთ ანგარიში.
_ მეც ასე მეგონა, მაგრამ ეს ფოტოები...
_ რა შუაშია ბაბუათქვენი ჩემთან?
_ თქვენ... თქვენ ყველაფერი არ იცით. _ თავი ჩაქინდრა ფრიდონმა.
_ არც მინდა ვიცოდე. _ მოუჭრა რუსუდანმა და უკანმოუხედავდ დატოვა გემბანი. _ მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი... _ ბურტყუნებდა გზადაგზა, ვიდრე კარის ღიობში არ გაუჩინარდა.
_ შეიძლება ვიცოდე სად შეხვედრიხართ ერთმანეთს თქვენ და ეს ქალბატონი? _ დაინტერესდა გოკა.
ფრიდონმა არაკეთილმოსურნე მზერით დააჯილდოვა სალაპარაკოდ მომართული თანამგზავრი, ცხვირზე ჩამოცურებული სათვალე შეისწორა და რუსიკოს კვალს გაჰყვა.
გოკამ გაბრაზებაც ვერ მოასწრო, რომ გემბანზე ალი დაიხატა:
_ რა ყვირილია, კაცო, შტორმი ხომ არ დაიწყო?!
_ რ უნდა შტორმს ყურეში? შტორმი გაშლილ ზღვაშია, ოკეანეში... ჩემს გულში. _ ჩაილაპარაკა გოკამ და მთვარეს შეხედა.
ალიმ მის მზერას გააყოლა თვალი. მთვარის მიმართ ის გულგრილი იყო. ქურთები მზეს სცემდნენ თაყვანს.

_ _ _

დალაუთენია რუსიკოს კაიუტის კარზე კაკუნი გაისმა. გოკა იყო. თეთრ სამოსში, გემის კაპიტანივით.
_ ნაპირზე ვაპირებ ჩასვლას, თბილისში დარეკვა ხომ არ გნებავთ?
რუსიკომ ყოყმანით დაუქნია აწეწილი თავი. თბილისში დარეკვა ჩამოსვლის დღიდან `ნებავდა~, მაგრამ ტაქსაფონებამდე ვერ მიღწია. დილით სერგის ეძინა, შუადღისას იახტა ღია ზღვაში იყო, ღამით _ ყურეში. სერგი ალბათ უკანა გზაზეა, მაგრამ დაღლილსა და ღამენათევს უეჭველად დაეძინება და რუსიკო კიდევ ერთხელ დაკარგავს თათიასთან დალაპარაკების შანსს.
_ სასტუმროდან დაგარეკინებთ. აქვეა, 10 წუთის სავალზე. _ შეახარბა გოკამ და პასუხს არ დალოდებია, ისე გაეცალა.
რუსიკომ კარი მიკეტა და კარადა გამოაღო.
რა ჩაიცვას? გრძელი განივზოლიანი კაბა აშკარად ასუქებს, შიფონის სარაფანი მეტისმეტად გულამოღებულია, ვარდისფერი ბლუზა _ გამჭვირვალე...

და უცებ მიხვდა, რომ იპრანჭება. ის, გათხოვილი, ორსული ქალი უცნობ მამაკაცს ეპრანჭება! მაშ რაღას აიშალა წუხელ ჯაგარი? მჯდარიყო მშვიდად გემბანზე და კიდევ უფრო მშვიდად მოესმინა მისი მისამართით ნათქვამი ქათინაურები. პატიოსანი ქალი გაითამაშა, დღეს კი ნაპირზე მიჰყვება. კი, კი, დასარეკად, მაგრამ მაინც, მაინც...
რაც არის, არის. თანხმობა უკვე ნათქვამია. სრულიად დაუსაბუთებელი უარი მხოლოდ გაართულებს ისედაც ორაზოვან სიტუაციას.
რაო? რა ორაზროვნება აუტყდა ცარიელ ადგილზე? ამას ჰქვია, თაგვმა თხარა, თხარაო... მართლა და მართლა, ვინ გდია ეს ავიაციის ინჟინერი, რომ მის გამო საკუთარ თავთან აქვს გამართული პოლემიკა? ერთი რიგითი მგზავრი. მორჩა და გათავდა.
რუსიკომ ის ჩაიცვა, რაც ზედაპირზე იდო: კვერცხისგულისფერი უსახელო მაისური და გრძელი ქვედაკაბა. სადა, კომფორტული, ყოველდღიური. თმა გადაივარცხნა და კართან შედგა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც ავიწყდება. რაღაც მნიშვნელოვანი აუცილებლი, და არა ფართოფარფლიანი მზის ქუდი, რომელიც ნაჩქარევად ჩამოხსნა საკიდიდან. ეს `რაღაც~ მთელი ღამე აწუხებდა, მაგრამ მეხსიერება თითქოს ჯიბრში ედგა და არასასურველ ინფორმაციას ბლოკავდა.დეს იყო ბრძოლა ქვეცნობიერსა და ცნობიერს შორის, და რუსიკო, როგორც უნიჭო არბიტრი ვერაფრით ახერხებდა ამ ორი სუბსტანციის მორიგებას.
რუსიკო გემბანზე გამოვიდა, იახტასა და ნაპირს შორის გადებული კიბე ჩაირბინა და გახურებულ ქვიშაზე დახტა. გოკამ ხელი შეაშველა. ცხელი და ხმელი ხელი ჰქონდა, როგორც მზეზე გამომშრალ ხეს. რუსიკოს კი თანდაყოლილი სისხნაკლებობა აწუხებდა, ზამთარ-ზაფხულ უცვდებოდა კიდურები. სერგიმ მივლინებიდან სპეციალური ჩუსტები ჩამოიტანა, ელექტროდამტენით. ჩართავ დენში, ჩაყოფ ფეხებს და გათბი როგორც გენებოს.
ქუჩა გადაჭრეს და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ფოიეში აღმოჩნდნენ. გოკა არაბულად გამოელაპარაკა რესეფშენში მომუშავე ახალგაზრდა მამაკაცს. იმან ყურადღებით მოუსმინა და ორივეს გაუღიმა. საერთოდ, არაბები ყველას უღიმიან. დიდს, პატარას, თავისიანს, უცხოელს... ღიმილი ტურისტული ქვეყნის სავიზიტო ბარათია. მერე ჩვევაში გადადის.
_ არაბული გცოდნიათ. _ გაუკვირდა რუსიკოს.
_ ცოტა. დეიდაჩემი აღმოსავლეთმცოდნე იყო და... _ არც მოუხედავს, ისე უპასუხა გოკამ.
ახალგაზრდა არაბმა თბილისის ნომერი ჩაიწერა, ტელეფონის დისკი დაატრიალა და რუსიკოს ყურმილი გაუწოდა.
შვილის ხმის გაგონებაზე რუსიკოში თერთდროულად გაიღვიძა დედური ინსტიქტის მთელმა თაიგულმა: სახე გაებადრა, ხმა დაურბილდა, ტუჩები ბედნიერ ღიმილში გაექცა...
_ თათია, მე ვარ დედიკო! ხოო... კარგად, კარგად... მამიკოც კარგად არის. ვერა, ვერ დაგალაპარაკებ, ექსკურსიაზეა...
რუსიკომ პატარა ხანს კიდევ იჟღურტულა და კმაყოფილმა ამოიღო საფულე.
_ გადახდილია. _ უთხრა გოკამ.
_ რატომ?... მაქვს ფული.
_ თუ გაქვს, ჭიქა ყავაზე დამპატიჟეთ. _ გოკას თხოვნა ბრძანებასავით ჟღერდა.
რუსიკო უხალისოდ გაჰყვა. მიაბიჯებდა და საკუთარ თავზე ბრაზობდა. გამოდის, მასში ისევ ცხოვრობს ის ხათრიანი გოგო, რომელსაც უარის თქმა ესირცხვილება. თავისთავად ხათრიანობაში ცუდი არაფერია, მაგრამ როცა სხვისი ხათრით საკუთარ თავს დისკომფორტს უქმნი, ეს უკვე უგერგილობაა. უგერგილობა იყო, აბა,

რა, როცა დათოს ხათრით დედამთილს დედა დაუძახა. ჭირის ოფლში ხოლმე, მაგრამ ქმრის სიტყვა კანონი იყო. რუსიკო კი მორჩილ ცოლს თამაშობდა. საერთოდ, დათოს ოჯახში მამაკაცის კულტი იყო. საყოვლთაო აღმაფრენის პირველი ობიექტი მამამთილი გახლდათ _ ხმელ-ხმელი, სიტყვაძუნწი სუბიექტი გამჭოლი მზერით, მისი სიკვდილის შემდეგ ეს საპატიო ადგილი დათომ დაიკავა, ხოლო დათოს სიკვდილის შემდეგ, მისმა სიძემ, დის ქმარმა, რომელმაც ვირტუალური პოსტის დაუფლებისთანავე ალმაცერად დაუწყო ყურება დაქვრივებულ რძალს და იმდენი `უყურა,~ ვიდრე ქმრის სახლიდან არ გააქცია. რაც მაშინ რუსიკომ იტირა... ცალკე შეურცხყოფისგან, ცალკე უმწეობისგან. ჯერ ქმრის თვითმკვლელობა არ ჰქონდა მონელებული, ახლა ნათესავებმაც დააღალატეს. მიზეზი მარტივი იყო _ კერძო სახლი ელიტურ უბანში, რომელიც წესით თათიას ეკუთვნოდა, როგორც დათოს ერთადერთ მემკვიდრეს, და არა დათოს დისშვილებს. არა, ხმამაღლა ამის შესახებ არავინ საუბრობდა, ინტილიგენტურ ოჯახში არ იყო მიღებული ყოფით საკითხების გასაჯაროება, მაგრამ სახეზე იყო ფარული ბოიკოტი დედა-დედამთილის თამადობით. რუსიკოც წამოეგო. შეიძლება იჩქარა კიდეც, როცა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვა ქმრის ოჯახი.ამერე იყო გაქცეული რძლის შემორიგების მცდელობები, მაგრამ დააგვიანდათ. რუსიკოს ცხოვრებაში სერგი გაჩნდა, ძონძროხა ესკულაპე, რომელმაც უთხრა... არა, აგრძნობინა, რომ ის ერთადერთია და განუმეორებელი. რუსიკომაც დაიჯერა და შეიძლება ითქვას, ხელმეორედ დაიბადა. ცვლილებას პირად ცხოვრებაში სწრაფად მოჰყვა კარიერული წინსვლა. დღეს ის იმ სკოლის დირექტორია, სადაც ერთ დროს რიგით პედაგოგად მუშაობდა. ზევიდან დანიშნული კი არა, კენჭისყრით არჩეული.
დღეს რაღა დაემართა? რატომ მისდევს მისდევს მონუსხულივით პრაქტიკულად უცნობ მამაკაცს? მით უფრო, ყავას საერთოდ არ სვამს.

_ _ _

იახტაზე დაბრუნებული მამა ზაქარია უგულოდ უსმენდა შთაბეჭდილებებით აღსავსავე ექსკურსანტებს. ისინი ლაპარაკობდნენ სიძნელეებზე, რომლებიც სინას მთაზე ასვლა-ჩამოსვლისას გადალახეს, თავიანთ აკანკალებულ მუხლებზე, გახშირებულ პულსაციაზე, უკან ადევნებულ ბედუინებზე, აქლემებზე, ვიღაც აბდალაზე... მამა ზაქარია კი ეკატერინეს მონასტერზე ფიქრობდა. როგორ მოხდა ისე, რომ მუსულმანურ ეგვიპტეში თავი შეინახა მეექვსე საუკუნის დროინდელმა ქრისტიანულმა სამონასტრო კომპლექსმა, მაშინ, როცა მის ქვეყანაში დანგრევის პირას მისულ სიძველეებს რესტავრაციის მაგივრად აგურ-აგურ ეზიდებიან სახლში. რომ ჰკითხო, დემოკრატიას აშენებენ, სინამდვილეში კი ბარბაროსებით იქცევიან. ყველას სათავისოდ ესმის ეს დალოცვილი დემოკრატია. დემურის ჰგონია, საყვარელს რომ გააჭენებს, ეგ არის დემოკრატია; დდიმიტრი ძნელაძე საზღვრების გახსნაზე აპელირებს, ფრიდონ კენჭაძე რუსეთს მისტირის, ვანო თელია _ ამერიკას, დონარა ასათიანი წარსულს...
ეს სულელი გოგოს ვიღას მისტირის?
მამაოს მოჭუტული მზერა დიკოზე გაჩერდა. ააა, თითს მისტირის...
_ შეხედეთ, მაყვლოვანის ბუჩქზე გამეკაწრა! _ საყვარლად წუწუნებდა დიკო და საჩვენებელ თითს ყველა მიმართულებით იშვერდა, ვითომ, ნახეთ, ფუფუაო.
_ ბარემ ცხვირში გამიყარე ეგ შენი ლაქწასმულ ბრჭყალი, _ შეუბღვირა დონარამ. _ ბჯოს!
_ ჩემი ბრჭყალი სჯობს ზოგიერთის პოდაგრიან ჩლიქს. _ უკან არ დაიხია დიკომ.

_ ბევრს ნუ ტლიკინებ, ჩემხელა რომ მოიყრები, კუილს ვერ დაიჭერ ტრაკში!
აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. სიტუაცია გოკას შემოსვლამ განმუხტა, რომელმაც ტრიბუნივით ასწია ხელი და საზოგადოებას კიდევ ერთი სიურპრიზის შესახებ ამცნო: ვახშამი საფარში.

_ _ _

შუაღამე იყო. დიმიტრი ძნელაძე და ელდერ მეფარიშვილი კარზე ატეხილმა ბრაგუნმა გამოაღვიძათ. შველას ითხოვდა დემურ ამაღლობელი მე-4 კაიუტიდან:
_ ბატონებო, არ დამცინოთ... ჩემს კაიუტაში ის არის!
_ ვინ?
_ იზიდა. _ დაიჩურჩულა დემურმა და სასოწარკვეთილი მიეყრდნო კედელს.
დიმიტრიმ და ელდარმა ერთმანეთს გადახედეს.
_ ვიცი, არ გჯერათ, როგორც მე არ მჯეროდა დიკოსი, ვიდრე ჩემი თვალით არ ვნახე.
_ მარტო თქვენ ნახეს თუ თქვენმა მეგობარმაც? _ დაინტერესდა დიმიტრი.
_ პირველად მე, მერე დიკო გავაღვიძე, მერე ორივენი გარეთ გამოვცვივდით. მე _ თქვენთან, დიკო კი დერეაფნშია, ტირის, ჭკუაზე არ არის გოგო. რაღა დაგიმალოთ, მეც ცუდად ვარ.
დემურის მიტკლისფერი სახე და აწრიალებული მზერა თავისთავად ცხადყოფდა მის მდგომარეობას.
დიმიტრიმ შორტები ამოიცვა და ელდარს ანიშნა, წავიდეთო. იმან უხალისოდ გაუყარა მკლავი ატლასის კიმანოში, აშკარად ფეხებზე ეკიდა იზიდას გამოცხადებაც და ამ გამოცხადების თვითმხილველებიც. სულ სხვა საქმეა კოკოს რომ გაეღვიძებინა... ალბათ დაოთხილი გავარდებოდა, მაგრამ დიმიტრის დაკვირვებით პირმშვენიერი ბარმენი ყველანაირად გაურბოდა შეყვარებულ პროდიუსერთან ურთიერთობას. ან რეპუტაციის შელახვას ერიდებოდა, ან რაღაცას ვერ პატიობდა. ფაქტია, რომ ამ ორს საერთო წარსული აკავშირებდათ, და ეს წარსული კოკოსთვის სულაც არ ყოფილა სასიამოვნო გასახსენებელი.
მე-4 კაიუტის კარი დაკეტილი დახვდათ. დაფეთებული საყვარლები თურმე ისე გამოვარდნილან ოთახიდან, გასაღების აღება არც გახსენებიათ. კარი ავტომატურად მოიხურა. ცხადია, თუ აქაც ყოვლისშემძლე იზიდას ხელი არ ერია.
_ დუბლიკატი კაპიტანს ექნება, _ ისროლა დემურმა და დერეფნის ბოლოში გაიქცა, საიდანაც ისმოდა დიკოს მოგუდული ტირილი.
_ რას ნიშნავს ახლა ეს? _ გაბრაზდა ელდარი. _ თვითონ ჟღვლინტების მოსაწმენდად გაიქცა, ჩვენ კურიერობას გვთავაზობს. ხელის ბიჭები ხო მარ ვგონივართ? სხვათა შორის, მე თუ ძილი გამიტყდა...
მაგრამდდიმიტრი არ უსმენდა, ის უკვე მიემართებოდა კაპიტნის კაიუტისკენ. ნიკიტას ტკბილად ეძინა შტურვალის გვერდით, ვიწრო ნარზე. კომპიუტერის ეკრანზე უძრავად ეკიდა ზოლებიანი თევზი ცელქად აპრეხილი კუდით.
_ Сума все посходили... _ ჩაიბურტყუნა ნიკიტამ და იქვე დასძინა, რომ გასაღები მას კი არა, ბარმენს აქვს, რომელსაც კაიუტებში თეთრეულის გამოცვლა ევალება.
ნამძინარევი კოკო დედიშობილა წარდგა დიმიტრის წინაშე. სრულყოფილი, ვითარცა მითოლოგიური დიონისე, ოღონდ ყურძნისა და ჩლიქიანი სატირების გარეშე. დიმიტრიმ მზერა აარიდა და მოსვლის მიზეზი მოახსენა.
კოკოს არ შეუცხადებია, ზანტად შეაქცია ზურგი და მკვრივი დუნდულები დაანახა.

`ხელი მაინც მიიფარე, შეჩემა~, დისტანიური მესიჯი გაუგზვნა დიმიტრიმ, მაგრამ ხელის მიფარების ნაცვლად კოკომ კაიუტაში შუქი აანთო და ისე დაიწყო გასაღების ძებნა.
`მგონი, მაბავს~, თავში გაუელვა დიმიტრის და როგორც კი გასაღები ხელში დაიგულა, ისე მოცოცხა, თითქოს მართლა ჩლიქიანი სატირები მისდევდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, მე-4 კაიუტაში იზიდა არ დახვდათ. დემურმა აბაზანაშიც შეიხედა, მაგრამ დამალობანას მოყვარული ღვთაების კვალი გამქრალიყო.
_ არ არის, აორთქლდა! _ მხრები ჩამოჰყარა დემურმა. _ რა გავაკეთოთ? ხალხო, მირჩიეთ, რა გავაკეთოთ?
_ რა უნდა გავაკეთოთ და დაუყოვნებლივ დავტოვოთ ეს დაწყევლილი ხომალდი! _ `ხალხის~ მაგივრად უპასუხა ნამტირალევმა დიკომ. _ ახლავე ვიწყებ ჩემოდნის ჩალაგებას, დაუყოვნებლივ...
_ პირდაპირი რეისი შარმ ელ შეიხიდან კვირაში ერთხელ დაფრინავს. _ შეახსენა დიმიტრიმ. _ უკეთეს შემთხვევაში, კაიროში მოგიწევთ ჩასვლა.
_ ამხელა გზის გავლა არ მაწყობს. მირჩევნია მოვითმინო, რაღაც სამი დღე დაგვრჩა..... ბოლოს და ბოლოს, ისეთს რას დაგვიშავებს? მოჩვენებაა, ცოცხალი ადამიანი ხომ არა?
_ ადამიანი რომ იყოს, მე ვიცი რასაც ვუზამდი! _ დემურმა დიკოს მხარზე ხელი გადახვია. ვითომ, ჩემთან ერთად ნურაფრის გეშინიაო, თითქოს წეღან სხვა კაცი ცახცახებდა მე-5 კიუტის კართან.
_ მოყევით, სად დაინახეთ. _ საქმიანად ჰკითხა დიმიტრიმ.
_ აგერ, ამ სარკესთან იდგა. _ დემურმა კარადაში ჩადგმულ გრძელ სარკეზე მიუთითა. _ თვალი გავახილე თუ არა, ეგრევე დავინახე. ჯერ მე, მერე დიკომ. სიბნელიდან შემოგვანათა.
_ რას აკეთებდა?
_ არაფერს. იდგა და გვიყურებდა.
_ როგორ გამოიყურებოდა?
_ მაღალი, ბრტყელი, რქებით...
_ რქებით? _ დააზუსტა დიმიტრიმ.
_ ჰო, ოქროსფერ დისკზე ჩამოცმული ძროხის რქები დავინახე.
_ კიდევ?
_ შეიძლება ხარისაც იყო, თავს ვერ დავდებ.
_ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. _ გაღიზიანდა დიმიტრი. _ ცოცხალი იყო, სუნთქავდა, იდგა თუ ჰაერში დაფარფატებდა?
ელდარმა კიმანოს საყელოში დამალა ღიმილი. დიმიტრიმ ახლაღა შენიშნა, რომ მის უჟმურ მეზობელს ერთმანეთში გადახლართული ნაფოტა კბილები აქვს, ტუჩები კი ისეთი თხელი და ელასტიური, თითქოს კბილებზე ჩამოაცვეს.
_ არა, თითქოს ლიცლიცებდა, როგორც წყლის ზედაპირზე. _ გაახსენდა დემურს. – არ გჯერათ?
_ რაიმე მოძრაობას აკეთებდა?
_ არა.
დიმიტრიმ სარკის ზედაპირს თითები ჩამოუსვა. დაყნოსა, დიკოს გახედა:
_ რამეს ხომ დაამატებდით?
_ მხოლოდ იმას, რომ ადრე ეს... ეს... არც ვიცი რა დავარქვა... იზიდაა თუ ვინც არის. მოკლედ, ადრე მოძრაობდა, თითქოს ჰაერში გადაადგილდებოდა, ახლა კი უძრავად იდგა. დემურმა სწორედ აღნიშნა, თითქოს ლიცლიცებდა. მისტიკაა ნამდვილი.

მოულოდნლად დიმიტრიმ შტეფსელს ხელი ჩამოჰკრა და სიბნელეში გამკრთალ სარკეს დააკვირდა. ილუმინატორიდან ვერცხლისფრად იღვრებოდა მთვარის შუქი. სარკის დაბინდულმა ზედაპირმა თეთრეულის კონტურები და ოსირისის ილუსტრაცია აირეკლა.

დიმიტრიმ შუქი აანთო და გამჭოლი მზერა დიკოდან დემურზე გადაიტანა.

_ შეგიძლია, მშვიდად დაიძინოთ. არაფერი არ მოხდება.

მაგრამ დემური არ დააკმაყოფილა პასუხმა, დადარაჯებული მიუახლოვდა დდიმიტრის:

_ თქვენ რაღაც იცით და არ გვეუბნებით?

_ ამ ეტაპზე ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: ვიღაცას ძალიან უნდა მგზავრებს შორის ირეალური შიშები დათესოს.

_ ვის?

_ ღამე მშვიდობისა.

_ რაღა მე ამომიჩემეს, მითხარით, რა დავაშავე?

_ რატომ მარტო თქვენ? აგერ, ბატონ ფრიდონს ბაბუამისის ფოტოებით აშანტაჟებენ. _ განუმარტა ელდარმა და დიმიტრის კვალდაკვალ დატოვა კაიუტა.

გემბანზე არავინ იყო. მგზავრებს ეძინათ. გრილად, კონდენციონერების თანაბარი ზუზუნის ქვეშ. შეიძლება ვერც გაიგეს იზიდას მორიგი გამოცხადების შესახებ.

ელდარმა და დიმიტრიმ კაუტას მიაშურეს. ჩალოგინდნენ, მაგრამ ძილი არც ერთს არ მიეკარა. ელდარმა კაი ხანს იწრიალა, ხან ზევით აიწია თავისი მეჩხერი დალალები, ხან თავქვეშ ამოიდო. ბოლოს გვერდი იცვალა და დიმიტრის მიუბრუნდა:

_ როგორ ახსნით მოხდარს?

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა უკმეხი პროდიუსერი კონტაქტზე გამოვიდა.დდიმიტრი არ იყო ლაპარაკის ხასიათზე, მაგრამ ძლივს მოშინაურებლი მეზობლის დაფრთხობას მოერიდა.

_ ჯერ არ ვიცი. ნივთმტკიცების გარეშე გამიჭირდება დასკვნის გამოტანა.

_ ანუ იტყუებიან?

_ არ გამოვრიცხავ.

დიმიტრის ერთი მიუნჰაუზენის სინდრომით დაავადებული ნაცნობი გაახსენდა. ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი პიროვნება, რომელიც პირდაპირ დაავადებული იყო ტყუილის გამოცხობით. არამოტივირებული ტყუილის, თორემ თავის გამართლების მიზნით კაცობრიობის უდიდესი ნაწილი იტყუება. ისე გულიანად იგონებდა წარმოუდგენელ ისტორებს, ისე ლამაზად აფორმებდა, იმის მოსმენას არაფერი სჯობდა. დემურივით ტლუ კი არ იყო?! არ იძროდა, მაგრამ ლიცლიცებდაო. იდიოტი.

_ გჯერათ ირაციონალური მოვლენების? _ ჩურჩულით ჰკითხა ელდარმა.

ლაპარაკის საღერღელი აეშალა ბიჭს, მაშინ, როცა დიმიტრი ძლივს მომხდარის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეკოწიწებას ცდილობდა.

_ დაუჯერებელი არაფერია, მაგრამ მე ზომიერების მომხრე ვარ. ჯადოქრობა, მაგია, ზებუნებრივი ძალები, პარანორმლური მოვლენები... ეს უკვე ოკულტიზმის თემაა.

_ არ არის სათვალავში ჩასაგდები?

_ მეტისმეტმა გატაცებამ ოკულტიზმით შვა ჰიტლერი და მესამე რეიხი.

_ ვიცი, ვინც გყავთ მხედველობაში. _ ელდარმა შეთქმულივით მოჭუტა თვალები.

_ ვინ?

_ კლაუს ჰაუსჰოფერი.

_ გცოდნიათ და ეგ არის. მისი ტიბეტში მოგზაურობის შესახებაც გეცოდინებათ...

_ სადაც შეხვდა გურჯიევს...
ლაპარაკში თავზე დაათენდათ.
მზის ამოსვლას მოლას შეძახილი მოჰყვა. აქაურ პეიზაჟს უხდებოდა ეს ხმოვანი, გაწელილი ლოცვა. ელდარმა პირჯვარი გადაიწერა და დაიძინა. დიმიტრი კი პოლიტიკურ ოკულტიზმს ჩაუღრმავდა. იმის ხელაღებით უარყოფა, რომ ასეთი ცოდნა ბუნებაში არსებობს, სისულელე იქნებოდა. მაგრამ პოლიტიკოსი დიპლომატიითა და ინტუიციით უნდა ხელმძღვანელობდეს და არა ვარსკვლავთა განლაგებით. ყველაფერს თუ ირაციონალური ხედვით მიუდექი, ცოლთან ვერ დაწვები ზევიდან წამოსული მესიჯის გარეშე.
ამ ფიქრებში ჩაეძინა.
სიზმრად ანუბისი ნახა, ძაღლისთავიანი ღვთაება, რომელიც მის გაფატრულ მუცელთან დახრილიყო და სათითაოდ ამოჰქონდა სისხლიანი ორგანოები, რომლებსაც სურნელოვანი ზეთით სავსე ქილებში ათავსებდა.დდიმიტრი არც შიშს გრძნობდა, არც ტკივილს, უბრალოდ აინტერესებდა, როგორ დამთვარდება მისი მუმიფიცირების რიტუალი. თავფეხიანად შეფუთვდნენ თუ ნესტოებს მაინც დაუტოვებდნენ, ქილას სარკოფაგში ჩააყოლებნენ თუ გარეთ დატოვებდნენ, სვავების საჯიჯგნად?
არ დასცალდა იტერესის დაკმაყოფილებ. გაეღვიძა.
კაიუტაში არავინ დახვდა, მხოლოდ `უნისექსის~ მოტკბო არომატი, რომელიც ელდარს დაეტოვებინა ძვირფასი სახსოვარივით. სალონიდან ყაყანი ისმოდა, იზიდას წუხანდელ გამოცხადებას თუ განიხილავდნენ.
დიმიტრი სიამოვნებით გაიზმორა და ცხელი ჩაი ინატრა.
სალონში შესვლისთანავე ის მიხვდა, რომ იზიდა არაფერ შუაშია. ვიღაც ბოროტს თუთიყუში ბიბი მოუკლავს! მისი კისერმოტეხილი გვამი გალიასთან ჩამუხლულ კოკოს ნაჭერში გაეხვია და დამწუხრებული დაჰყურებდა.
დიმიტრიმ საუზმისთვის გაწყობილ სუფრას გახედა. ჭამის მადა დაეკარგა. რა ველურობა ჩიტის მოკვდინება? ადამიანის მოკვლას შეიძლება ჰქონდეს რაღაც მოტივი და აქედან გამომდინარე, გამართლება. საწყალ ბიბის ვისთვის რა უნდა დაეშავებინა, ნუთუ აქაც იზიდას ხელი ურევია?!
_ ხალხო, დამიჯერეთ, საბრალო ჩიტუნია იმქვეყნიური ძალებს მსხვერპლია! _ წიკვინებდა დიკო. _ ისევე, როგორც ზოგიერთი ჩვენთაგანი, უბრალოდ ჩვენ ჯერჯერობით ცოცხლები ვართ. ჯერჯერობით! ასე არაა, ბატონო ფრიდონ? ამოიღეთ ხმა, ისედაც ყველამ ყველაფერი ვიცით. თქვენ რატომ დუმხართ, ქალბატონო დონარა, კიდევ გასაჩუქრებენ საოცნებო `ჟიტანით~ თუ ტაიმ აუტი აიღეს? თქვენ რაღამ დაგამუნჯათ, მამაო, კვეთებულის ლოცვა მაინც აღავლინეთ, ამბობენ, ფენომენალური ძალა აქვსო...
მამა ზაქარიამ პასუხის ღირსად არ ჩათვალა `ეშმაკისეული~ დედაკაცი, თუმცა მომხდართან დაკავშირებით თავისი მოსაზება გააჩნდა. იახტაზე კარგად შენიღბული სექტა მოქმედებს. ამაშია საქმე. სექტანტი (ან სექტანტები) ჯერ კიდევ თბილისიდან აეკიდა ექსკურსანტებს და ახლა მთელ ჯგუფს ატერორებს. სატანას კვეთებულის ლოცვა რომ შველოდეს აქამდე ცხრაჯერ აღავლენდა. გამოსავალი კი არ ჩანს. მარტო ეკლესია უძლურია, ცოტა სახელმწიფოც უნდა გაინძრეს. მართლა და მართლა, მოძღვრები ხომ არ აიღებენ ზედამხედველების ფუნქციას? არ ეკადრება სასულიერო პირს ველური ყიჟინითა და ხელ-კეტით მსვლელება თუნდაც ბოროტების ბუდის დასარბევად. სასულიერო პირს ენა უნდა უჭრიდეს, და არა მკლავი. თუმცა, არც მკლავი აწყენს.
მამა ზაქარიამ უნებურად ჩამოისვა მკლავზე ხელი. უცებ სახლში ყოფნა მოუნდა. ცოლი მოენატრა, შვილები: ოთხი გოგო და ორი ბიჭი. ნაბოლარა ნიკოლოზი

განსაკუთრებული ბავშვი იზრდება. ურთულეს ლოცვებს ერთი წაკითხვით იმახსოვრებს. ახლა რა სმენა აქვს, ახლა როგორ გალობს... ნიკოლოზობას დაიბადა, ენაცვალოს მამა, ეტყობა ნიჭიერებაც მოსახელე წმინდანმა დააპენტა თავზე...
_ რატომ გეღიმებათ, მამაო, ტყუილს ვამბობ?
მამა ზაქარია ფიქრებიდან გამოერკვა, გაკვირვებულმა შეხედა ქადაგად დაცემულ დიკოს, თითქოს პირველად ხედავდა. ის დროა კაიუტაში განმარტოვდეს და ლოცვა აღავლინოს. კვეთებულის არა, ჩვეულებრივი, საუფლო ლოვვის.
დიმიტრი დამწუხრებულ ბარმენთან დაიხარა, მხარზე ხელი დაადო, თანაგრძნობის ნიშნად მოუჭირა:
_ ვინმეზე გაქვს ეჭვი?
კოკომ ფანჯარასთან ატუზულ ელდარს გახედა. დიმიტრიმ მზერა გააყოლა. აი, სთურმე ვისზე აქვს ეჭვი.
ნუთუ ელდარია ამ უსუსური იდეის ავტორი და შემსრულებელი? როდის მოასწრო? პრინციპში, ბრიოლინის წათხიპვნა და მანჟეტებიან პერანგის მორგება თუ მოასწრო, ჩიტსაც ადვილად მოუღრეცდა კისერს.
დიმიტრი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა ელდარს, გვერდზე გაიხმო:
_ თქვენ გამოუტანეთ განაჩენი თუთიყუშს?
_ მე? _ შეურაცხყოფილი ელდარი ლამის ამოხტა თავისი მანჟეტებიდან. _ რატომ?
_ შურისძიების მიზნით.
_ ვერ გავიგე...
_ თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ ამ იახტაზე, ვინც ადრე იცნობდა ბარმენს.
ელდარი აღელდა, სწრაფი მზერა ესროლა ჭირისუფლად მჯდარ კოკოს, ისევ დდიმიტრის მიუბრუნდა:
_ ვინ მოგახსენათ?
_ უფლებას ვიტოვებ არ დაგიკონკრეტოთ. _ იყო პასუხი.
_ მე არ მომიკლავს ის დაწყევლილი თუთიყუში, თუმცა სიამოვნებით მოვკლავდი. აი, ე სარის სიმართლე, თუ ძალიან გაინტერესებთ. _ კბილებში გამოსცრა ელდარმა.
_ რატომ?
_ უფლებას ვიტოვებ არ დაგიკონკრეტოთ. _ ამ სიტყვების ელდარმა დასაკითხად მომართულდდიმიტრის ზურგი აქცია და გაწყობილი სუფრისკენ გაემართა, სადაც უკვე იჯდა შიმშილისგან კბილებაკაწკაწებული დონარა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა ჩაეხრამუნებინა მადისაღმძვრელად დაბრაწული ფუნთუშები, მაგრამ სიტუაციას უწევდა ანგარიშს.
ბოლოს ვერ მოითმინა:
_ კოკო, ჩემო კარგო, დამარხე ახლა ეგ ჩიტი და აწი ჩვენც მოგვხედე. ვიცი, რაც ხდება შენს გულში, ვიცი, მაგრამ რასაც არ ეშველება, იმაზე დარდიც არ ღირს. ჩემზე კარგად ვის ესმის შენი... მკვდარი ჩიტი კი არა, საღ-სალამათი კატა არ მიმაყვანინეს თავშესაფარში: კანონი გვიკძალავსო. ულამაზესი ჯიშიანი კატა, რომელიც საკუთარი შვილივით მიყვარდა. ერთი პეწო ფუმფულა გორგალი იყო, როცა მაჩუქეს. ავდექი და მემაწვნეს გავატანე. ვინ იცის, ბუნდღა არ შეარჩინეს სოფლის კატებმა. მაგათ არ უყვართ უცხოები...
დონარას `ფუმფულა~ მოგონებები დიმიტრის ნაკლებად აინტერესებდა, ჭამის მადა კი საბოლოოდ დაეკარგა. ვის გაუგია პანაშვიდზე ჭამა? მერე რა რომ მკვდარი ჩიტია თუ ადამიანი? მთავარია ჭირისუფლის მდგომარეობა. ის დროა, საეჭვოდ გამქრალი ავიაციის ინჟინერი დაკითხოს. წუხელ არც ფართოდ

რეკლამირებულ საფარიზე წამოსულა, არც ვახშამზე ინება გამობრძანება. დღესაც არ ჩანს. დიეტაზეა, ოხერი?
გოკას კაიუტაში მიაგნო, ფეხები ფანჯარაზე შემოეწყო და სელინჯერს კითხულობდა.
_ ვერ გაარკვიეთ ინკოგნიტო დამსაჩუქრებლის ვინაობა? _ წიგნზე ანიშნა დიმიტრიმ.
_ არც მიცდია.
_ რატომ?
_ იმიტომ, რომ ყელში ამოვიდა ეს ტაკიმასხარაობა. ხან მკვდარი ელანდებათ, ხან ცოცხალი. როდემდე?
_ თუთიყუშის მოკვლაც ტაკიმასხარაობაა?
გოკამ სათვალე მოიხსნა და გამომცდელად შეხედა დიმიტრის. საბრძოლველად მომართულ ბულტერიერს ჰგავდა. პირდაპირ აფრქვევდა აგრესიულ ენერგეტიკას.
_ ძმურად მითხარი, აი ახლა, ამ მომენტში რას ფიქრობ?
დიმიტრი ცოტა არ იყოს დაიბნა. ბულტერიერთან მსგავსება ქათინაურად ვერ ჩაეთვალოს. სულ სხვაა კავკასიური ნაგაზი, სენბერნარი, ირლანდიური სეტერი ბოლოს და ბოლოს! მაგრამ ალბინოსი ბულტერიერი თავისი გრძელი ცხვირითა და მოკლე ფეხებით...
_ არ მომატყუო. _ გოკამ გამაფრთხილებლად დაუქნია თითი.
_ ვფიქრობ, რომ ბულტერიერის ჯიშის ძაღლი გყავთ. _ დიმიტრიმ არც მწვადი დაწვა, არც შამფური.
_ და მეც ვგავარ ბულტერიერს. _ მიუხვდა გოკა და გულიანად გადაიხარხარა.
_ არც უმაგისობაა. _ გამოტყდა დიმიტრი.
_ საღოლ! დავაი, მკითხე რაც გინდა... ვიცი, ჩემ მოსაკითხად არ მოსულხარ. მკითხე, მკითხე ვიდრე კეთილი ვარ.
_ ცოლი გყავთ? _ დიმიტრიმ ჩაახველა.
_ არა.
_ არც არასოდეს გყოლიათ?
_ მყავდა. მაგრამ არც ერთი არ მაკმაყოფილებდა.
_ ბევრი იყო?
_ ოფიციალური ერთი.
_ როგორი ქალები მოგწონს?
_ როგორი და... ბუნებრივი. კისერი უნდა უჩანდეს, როგორც იაპონელ გეიშებს. ლამაზი ყელი ჩემი სუსტი წერტილია. `შენი ყელი... ამბობენ, რომ შენი სწორი ყელი ლერწამია შარბათისა ძველი, მაშრიყელი...~
_ შვილი?
_ შვილი... შვილი არ მყავს. სამი წლის ასაკში მომიკვდა. _ ყოველგვარი სინანულის გარეშე აღნიშნა გოკამ და წიგნს დასწვდა, აქაოდა, აუდიენცია დამავებულიაო.
დიმიტრი უსიტყვოდ გაეცალა. კაცმა რომ თქვას, არც მას უნდოდა დაკითხვის გაგრძელება. კაცი რომ მკვდარ შვილზე ასეთი ტონით ილაპარაკებს, იმას ჩიტის მოკვლაც შეუძლია. ელდარს მოტივი მაინც ჰქონდა, ყოფილი საყვარლის ჯიბრზე მის საყვარელ თუთიყუშსაც გამოუყვან წირვას და რამე რომ იყოს, თავსაც ზედ დააკლავ! ასეთებიც ხდება. გოკასნაირმა უსისხლომ კი შეიძლება მხოლოდ იმიტომ გაიმეტოს უდანაშაულო ჩიტი, რომ მისმა ლაპარაკმა გააღიზიანა. საწყალი, საწყალი პოლიგლოტი ბიბი...
გზაში დიმიტრი ცოტა განელდა. არ არის მართებული ასე ხელაღებით ადამიანის დადანაშაულება. სადმე უნდა განმარტოვდეს და ცივი გონებით ჩაუღრმავდეს `მენკაურზე~ განვითარებულ მოვლნებს.

მიმოიხედა. სალონში არ გამოვა, ვინმე უსათუოდ აეყუდება ზურსუკან და დედუქციურ აზრებს დაუფრთხობს. კაიუტაში ელდარია გამაგრებული.
_ რას ჩაფიქრებულხარ, ჟურნალისტო? _ დონარა ასათიანმა მარაო დაჰკრა სალონის კარში გაბოტილ დიმიტრის. _ რას გკარნახობს შენი საყოველთაოდ ცნობილი ინტუიცია?
_ დავიჯერო, ასეთი `საყოველთაოა?~
_ ყოველ შემთხვევაში, შენს იმედად ვართ. მიდექი-მოდექი, გენაცვალე, რამე მოიმოქმედე, თორემ ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი. დღეს თუთიყუშს მოუგრიხეს კისერი, ხვალ შეიძლება ადამიანზე აღმართონ ხელი.
_ სად მივდგე-მოვდგე, ქალბატონო დონარა, ადგილი არ მეგულება, განვმარტოვდე...
_ ჩემი კაიუტა, გენაცვალე! _ დონარამ პასუხი არ აცალა, ხელმკლავი გაუყარა და დერეფნისკენ უბიძგა.
მე-3 კაიუტაში სრული ქაოსი სუფევდა. ყველგან ეყარა კაბები, ქუდები, გიგანტური ზომის ბიუსჰალტერები, კოსმეტიკა, სიგარეტის ნამწვები, ბანანის ქერქები... დონარას არც უფიქრია ბოდიშის მოხდა, ქაოსი იყო მისი ცხოვრების სტილი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.
_ აი, აქ მოგისუფთავებ ადგილს, ფანჯარასთან. _ დონარამ წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო. მისი გაოცებული მზერა ერთ ბლოკად შეკრულ სიგარეტზე გაჩერდა. _ ახლა გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები, დიმიტრი! ისევ `ჟიტანი,~ თანაც მთელი ბლოკი! ღმერთო, ისე არ მომკლა, იმ მადლიანის ვინაობა არ გავიგო, ვინც ამისთანა ძვირფასი პაპიროსით მამარაგებს! _ დონარა სკამზე დადებულ კოლოფს დასწვდა და ცბიერი გამომეტყველებით მიუბრუნდა დიმიტრის.
_ შენ ხომ არ მამაძაღლობ, შვილო, ჰა? გამოტყდი, ჩემი ბიჭი, ნუ შემშალე ჭკუიდან ეს მოხუცი ქალი!
_ იმის თქმა გინდათ, რომ მე სათადარიგო გასაღები მაქვს?
_ არ გაქვს, ხომ?
_ არა, ქალბატონო დონარა, არა. რომც მქონდეს, რა წესია სხვის ნომერში უნებართვოდ შეძრომა, თუნდა სიურპრიზის გასაკეთებლად.
_ არც ვიცი, რა ვიფიქრო...
_ არ ინერვიულოთ. ბატონი ფრიდონისგან განსხვავებით ინკოგნიტო კეთილისმყოფელი თქვენ მიმართ დადებითად არის განწყობილი.
_ თუ ასეთი კეთილია, დამიბრუნოს ჩემი ფირუზისთვლიანი სამაჯური. ის იყო ჩემი თილისმა, ის მიცავდა ავი თვალისგან! დაახლოებით ვიცი, ვინც მომპარა, მაგრამ დამტკიცება გამიჭირდება. რაც ის სამაჯური ამწაპნეს, ცუდად წავიდა ჩემი საქმე... გავსუქდი, ხმა დავკარგე, ბინა, კატა... ეჰ, აღარ გამახსენო...
ვიდრე ქალბატონი დონარა სამაჯურს მისტიროდა. დიმიტრი საწოლის თავთით დაკიდული სურათი შეათვალიერა.
აქაც ლოტოსი. თითქმის ისეთი, როგორიც მასთან. არც ფერი შეუცვლია, არც კოკორი გამოუსხამს. თუკი კაიუტაში განთავსებულ სურათებს სიმბოლური დატვირთვა აქვთ, გამოდის, მას და დონარას რაღაც ჰქონია საერთო.
რა?
_ კარგი, მე წავალ, ხელს არ შეგიშლი, _ დონარამ პომადა განიახლა, შლიაპა შეისწორა და ბაჯბაჯით გაემართა კარისკენ, _ მაგრამ პირობა მომეცი, რომ პირველს მე ჩამიკაკლავ ყველაფერს.
ნეტავ რამე მქონეს ჩასაკაკლი, ვინ ოხერი დაგიჭერს, გაიფიქრა მარტო დარჩენილმა დიმიტრიმ და ფურცელი და საწერ-კალამი მოიმარჯვა.
მაშ ასე:

კაიუტა@#1. ცოლ-ქმარი ლეჟავები. სურათი: მონაცრისფრო ბუ თეთრად შებუმბლული ფეხებით. რუსუდან ლეჟავა და ფრიდონ კენჭაძე წარსულში იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ რატომღაც აფიშირებას ერიდებიან. მიზეზი გაურკვეველია. სერგი ლეჟავა: აიბოლიტი კარიერის გარიჟრაჟზე. უყვარს ცოლი, ეჭვიანობს გოკაზე. სრულიად სამართლიანად.
კაიუტა #2. ზაქარია სეხნიაშვილი და ფრიდონ კენჭაძე.
ზაქარია: ორთოდოქსი მღვდელი და მგრძნობიარე მამა. სურათი: თევზი.
ფრიდონ კენჭაძე: შანტაჟის მთავარი ობიექტი. სურათი: ბაბუის ფოტოსურათი ვარიაციებით.

კაიუტა #3. დონარა ასათიანი. ცნობილი მომღერალი ბობოქარი წარსულითა და სავალალო აწმყოთი. უშედეგოდ ცდილობს პროფესორის შებმას. სურათი: ლოტოსის ყვავილი.
კაიუტა #4. დემურ ამაღლობელი და დიკო კაკაბაძე.
ეს კაიუტა ყველაზე მძიმე შემთხვევაა. თუკი მე-2 კაიუტაში ადგილი აქვს ფოტოებით მანიპულირებას, აქ უკვე მოჩვენება საკუთარი პერსონით დაბრძანდება. ცხადია, თუკი დავუშვებთ ბუნებაში მოჩვენებების არსებობას. ისე, რატომაც არა? ინგლისში, კენსინკტონის სასახლე სავსე ყოფილა აჩრდილებით, დროდადრო გამოეფინებიან ხოლმე პირქუშ დერეფნებში და იქაურობას შიშის ზარს სცემენ. მათი გამოჩენის თარიღი სპეციალურ წიგნში რეგისტრირდება, ერთ-ერთი ჩანაწერი პირადად დედოფალ ვიქტორიას ეკუთვნის. აი, ასე. მაგრამ ინგლისი ეგვიპტე არაა, ინგლისში ყოველი მესამე ამტკიცებს, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონდა მოჩვენებასთან შეხვედის `ბედნიერება~. რა იქნება, ერთმა სიმპათიურმა მოჩვენებამ დიმიტრისაც დადოს პატივი? იზიდამ არა, იმან, თბილისელმა, ახლა რომ სხვასთან წევს და დიმიტრიზე ფიქრობს.

კარზე კაკუნმა დიმიტრი ისე შეაფრთხო, თითქოს მართლა ნანატრი თბილისელი ეგულებოდა დერეფანში.

დონარა იყო, ჩაითა და ბუტერბროდებით სავსე სინი მოაწკარუნა.

_ მე ვიფიქრე, მოგშივდებოდა. დილის აქეთია ლუკმა არ ჩაგიდია პირში. _ ქალბატონმა დონარამ მტაცებლური მზერა შეავლო ფურცელზე დაწერილ სიას. _ მიაკვლიე, რამეს?

_ გზაში ვარ. _ დიმიტრიმ მადიანად უკბიჩა ყველიან ბუდერბროდს და მადლიერი მზერით დააჯილდოვა გულისხმიერი ქალბატონი.

_ ახლა ისეთი რამე უნდა გითხრა, მეშინია ლუკმა არ გადაგცდეს პირში.

დიმიტრიმ სასწრაფოდ შეწყვიტა ღეჭვა.

_ კაცო, შენ ჭამე, ჭამე, მე კი მოგიყვები. _ დონარამ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და კრიახით ჩამოჯდა საწოლის კიდეზე.

_ დამაინტრიგეთ.

_ ჭამე მეთქი! მოკლედ, ასეთი ამბავია... ბატონ პროფესორს კაიუტაში ახალი სურათი დახვდა. დენდის მსგავსმა ბაბუამ თუ ბაბუის მსგავსმა დენდიმ, არც მეტი, არც ნაკლები, სამი თითის კომბინაცია დაანახა.

_ როგორ, სამი თითის?

_ აი, ასე! _ დონარამ სიამოვნებით გაუკეთა დემონსტრირება სამი თითის კომბინაციას. _ და ეს არ არის ყველაფერი... ჯაგარაშლილი პროფესორი რუსიკოს მივარდა: `თუ ჩემი სიკვდილი გინდოდა, რაღა ამ დასაქცევ ეგვიპტეში ჩამისაფრდი, თბილისში ფანტაზია არ გეყოო?~ აქ უკვე რუსიკოს ქმარმა აიშალა ჯაგარი, პატივცემული ფრიდონი ქეჩოთი დაითრია და გემბანზე გასვა, ცოფიანი ძაღლივით. იყო ერთი გამიშვი-გამატარე, ვიღას ახსოვდა მოკლული თუთიყუში... ჩაი, დალიე, გაცივდება.

_ ქალი რას ამბობს, რუსუდანი?
_ ბრაზობს, მაგრამ თავშეკავებულად. ვკითხეთ, მაგრამ ბუნდოვნად გვიპასუხა: გაუგებრობას ჰქონდაო ადგილიო. მალავს ეგ შეჩვენებულიც რაღაცას. უხ, არ მიყვარს, რა, ეს ჩუმჩუმელა ქალები. შეხედავ _ რაფაელის მადონას ჰგავს, კარგად დააკვირდები, პირწავარდნილი მატა ხარია. მე, მაგალითად, ალალი ვარ, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.
_ მე როგორი ვარ, ქალბატონო დონარა?
_ შენც ალალი ხარ, მაგრამ რასაც ფიქრობ, იმას არ ამბობ.
_ ჰა, ჰა, დაახლოებით ასე ფიქრობს უჩინარი რეჟისორი, რომელმაც ჩემსა და თქვენს საწოლთან ლოტოსი დაკიდა. _ დიმიტრის მზერა პასპარტუში ჩასმულ ყვავილზე გაჩერდა.
_ ვერ გავიგე. რა ლოტოსი, ვინ რეჟისორი...
_ სავარაუდოდ, მე და თქვენ ერთი გუნდის წევრები ვართ. ლოტოსის ყვავილი ნეიტრალურ პიროვნებას უნდა ნიშნავდეს და არა ალალს.
_ მომკალი და ვერ გავიგე! ¬_ აღიარა დონარამ. – ნეიტრალური, სახელმწიფო ვიცი მე!
_ მარტივად რომ ვთქვათ, მგზავრებიდან მხოლოდ მე და თქვენ არ გვაქვს შეხება რაღაც დანაშაულთან. დააკვირდით, ელდარს და დემურს `ოსირისის სამსჯავრო~ ერგო; ფრიდონს _ წინაპრის პორტრეტი; ალის, ვანოს და გოკას _ თევზი. _ დიმიტრიმ ფეხზეც კი წამოხტა, ისე აღფრთოვანდა საკუთარი მიგნებით.
_ დაჯექი თუ კაცი ხარ! _ ცივი წყალი გადაასხა დონარამ. _ რა მინიშნებებით მელაპარაკები, თევზი ნიორწყალში ვიცი მე...
_ ამ შემთხვევაში, სიმბოლური დატვირთვა აქვს. თევზი, დუმილის ნიშანია. თევზთა დუმილი.
_ ეგ რაღაც ფილმი არ არის? _ ბუნდოვნად გაახსენდა დონარას.
_ ის `კრავთა დუმილია~. _ გაეღიმა დიმიტრის.
_ ღმერთო დიდებულო, ეს რა ხათაბალაში გავები, _ თვალები გადაატრიალა დონარამ. _ ბავშვობიდან არ მიყვარდა რებუსები, მე ცეკვა-სიმღერა მიყვარდა. კაი, დალიე ეგ ჩაი და უფრო დეტალურად ამიხსენი ემაგ სიმბოლოების დატვირთვა. დაჯე-თქო, თორემ დამარტყამს ინსულტი და მერე ნახე `ოსირისის სამსჯავრო~...

_ _ _

`ჩემო საყვარელო მაიკო, ისევ მე ვარ, ისევ შენ გწერ, იქნებ გულზე მომეშვას. აქ ღამეა. ილუმინატორის ფანჯარაში ვხედავ მთვარის წაგრძელებულ ოვალს, რომელიც გოკას მაგონებს _ ხოტორა თავი, გადღაბნილი ნაკვთები, ფორმადაკარგული ღრმული პირის მაგივრად... სერგის სძინავს. უფრო სწორედ, ფუხფუხებს, სამოვარივით. დაიღალა, იცი... ჩვენში რომ დარჩეს, მეც დავიღალე. დღეს აქაურ ბაზრობაზე ვიყავით. მომწონს ეს აღმოსავლური სურნელებით გაჟღენთილი გარემო, ერთმანეთზე გადაბმული ციცქნა მაღაზიები, დახლებზე დახვავებული საქონელი... რაც არ მომწონს, ესაა არაბი გამყიდველების ძალადობა ტურისტებზე. პირდაპირ გასაქანს არ გაძლევენ. ასე აღმოვჩნდი პარფიუმერიის მაღაზიაში და იძულებული გავხდი რაღაცები მეყიდა. პრინციპში, არ ვნანობ. სურნელოვანი ეთერზეთები სხვადასხვა ფორმის ციცქნა ფლაკონებში იყიდება და ძვირიც არ ღირს. რაც მთავარია, უნდა ევაჭო, თორემ თავდაპირველად ისეთ ასტრონომიულ ფასს გაჯახებენ, ფრანგი პარფიუმერი არ იკადრებს. რას იზამ, ვაჭრობა არაბების ნაციონალური სპორტია. ვინც არ იცის, გაბითურდება. სუვენირების ამბავში რამდენიმე ფლაკონი წამოვიღე. ერთს დედას ვაჩუქებ. დათოს

სიკვდილის მერე არა მგონია რამემ გაახაროს, მაგრამ მაინც. ხშირად დადის მის საფლავზე. თან გული უსკდება სერგიმ არ გაიგოს და არ იეჭვიანოს. ხო აზრზე ხარ, სერგიმ რომ მკვდარზე იეჭვინოს?! დარწმუნებულია, რომ ჩემთვის ნომერ პირველი მამაკაცია. ასეცაა, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ მისი ასეთი თვითდაჯერებულობა მაინც მაკვირვებს. არადა, მეც იგივეს ვფიქრობ სერგიზე. ფაქტზე რომ წავასწრო, მის ღალატს არ დავიჯერებ. შენ ახლა მეტყვი, დათოსაც არანაკლებ უყვარდიო. გეთანხმები, ვუყვარდი, მაგრამ იცი როგორ? აი, როგორც კოკოს უყვარდა თავისი ბიბი: შორიდან და გალიაში. სტუმრების გასართობად. `ბიბი, მიესალმე სტუმრებს, აჩვენე რა შეგიძლია...~ მე რისი ჩვენება შემეძლო? კარგად გაკეთებული ხაჭაპურის, ნაზუქის, ქადის... ხომ იცი ცომეული მეხერხება, თუმცა ყოველთვის მინდოდა სხვა რამის გამოც შემაქონ. მაგალითად, რომ ლამაზი ვარ, სექსუალური, ჭკვიანი... სერგი კი ყველას თანდასწრებით მაქებს. არ უტყდება. დათოსგან ეს მაკლდა, მაიკო, ახლა ვხვდები, ამ გადასახედიდან, თორემ მაშინ სულ სხვა პრიორიტეტები მქონდა.
ეეეჰ, წავედი-წამოვედი, ისევ დათოს მივადექი. წამიღო, რასაც ჰქვია. იცი, რას დავაკვირი?... როგორც კი ადამიანი საკუთარ თავს ჩაუღრმავდება, ეს ოხერი ფიქრი ან შორეულ წარსულში გადაისვრის, ან ახლო მომავალში. ცხოვრება კი აქ არის, ამ წუთას, იქ, სადაც ახლა მე ვზივარ და წერილს გწერ, იმ იმედით, რომ ოდესმე მივა ადრესატამდე...
ვაიმე, მაიკო, მგონი ვიღაც დადის დერეფანში. უცნაურად დადის, ინტერვალებით. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, გაჩერდება. აი, ისევ. სერგი ხომ არ გავაღვიძო? მამა ზაქაიასი არ იყოს, იქნებ მართლა უწმინდური ძალა დასახლდა იახტაზე, რომელიც ხან იზიდას სახეს იღებს, ხან ფრიდონ კენჭაძის ბაბუის. სულაც ცხონებული მენკაურას ფანტომი დაბორიალობს.
 გავიხედავ და მერე ყველაფერს მოგიყვები...~
`დავბრუნდი ახალი ამბებით. არ დაიჯერებ, მაიკო, დერეფანში დემურ ამაღლობელი დაცუხცუხებდა! გაჩერდებოდა რომელიმე კაიუტასთან, მიაყურადებდა, ახლა სხვასთან გადაინაცვლებდა. და ასე მთელ პერიმეტრზე. ვერ მოვითმინე. გავენთე: მეთქი, რას აკეთებთ, პატივცემულო?

თურმე საყვარელს ეძებდა ეს უბედურ დღეზე გაჩენილი. გადავირიე: `ვისთან ეძებთ, ზაქარია მოძღვართან თუ პროფესორ კენჭაძესთან?~ უცებ იფეთქა: `რას დამადექი თავზე მთვარეულივით, შენც მეორე ნახევარს ხომ არ ეძებო?~ წარმოგიდგენია? თავხედი. ყველა თავისნაირი რქიანი ჰგონია.

აღარ გავამწვავე სიტუაცია. ნერვების მოსათოკად გემბანზე გავედი. უცებ ჩქამია. დერეფნის მარცხენა ფრთიდან. გავიჭყიტე და სახტად დავრჩი: მე-7 კაიუტიდან ფეხშიშველა დიკო გამოსხლტდა. ისეთი მოკლე ხალათი ეცვა, სადაც იწყებოდა, იქ მთავრდებოდა. ცხადია, ეს სექსუალური ვამპირი შხაპის მისაღებად არ ბრძანდებოდა ბატონი ზნამენსკის კაუტაში. კედელს ავეკარი, არ მინდოდა დავენახე. ჩამიქროლა, ფერამონები შემომაფრქვია და თავის კაიუტას მიადგა. ნურას უკაცრავად! დაკეტილი დახვდა. მე ისევ გემბანზე გავხტი. თან ცნობისმოყვარეობა მკლავს, მაინტერესებს, როგორ განვითარდება მოვლენები. გავიხედე და დიკოც გემბანზე არ დამეხატა?! შეცბა ჩემ დანახვაზე, თუმცა მალევე მოეგო გონს და შეწუხებული სახით მეკითხება: `ჩემი კაცი ხომ არ გინახავსო?~ `დერეფანში დაჰქრის ერთი რქიანი არსება, მაგრამ იზიდა არ არის, შენს მეგობარს დემურს მივამსგავსე თქო~. ხომ მაგრად ვუპასუხე?!

სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ გემბაზე ფაფარაშლილი დემური მოვარდა. დიკომ მთელ თავის სექსუალობას გაუკეთა მობილიზება და საყვარელს ისე გაუღიმა, ვიფიქრე, აქეთ მოუხდის ბოდიშს. არ გაჭრა. ტიპი გიჟად იყო. მხარში

ხელი ჩაავლო და ისე შეანჯღრია, ლამის გასძვრა ხალათი. უნდა ვაღიარო, რომ მართლა ძალიან ლამაზია ეს ოხერი გოგო. ყელი, მხრები, მკერდი, ტერფები... ფლეიბოის ფურცლებიდან გადმომხტარს ჰგავს. აი, ღმერთს რომ ცოტა ტვინიც გაემეტებინა... რა ვიცი, რა ვიცი, იქნებ არც ისეთი უტვინოა, მე რომ მგონია? ორი საყვარელი ერთ იახტაზე! ამას მოხერხება უნდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, სულ კინწისკვრით გაიგდო დემურმა ეს ჩვენი დიკო. არა უშავს, ორთქლს გაამოუშვებენ და შერიგდებიან. დიკოს ფორმების წინაშე დემურისთანა გაუთლელი გოგრა კი არა, აგერ, ავიაციის ინჟინერი აღმოჩნდა უძლური.

ამასობაში, მთავარი სათქმელი დამავიწყდა! არ მახსოვს, მოგწერე თუ არა ანდრია პირველწოდებულის ორდენის შესახებ... ერთადერთი ღირებული ნივთია, რომელიც პირველი ქმრისგან დამრჩა. ის ღირებულია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ისტორიული თვალსაზრისით. რადგან დათოს წინაპრებს ეკუთვნოდა. ამიტომაც გამიჭირდა გაყიდვა. მაგრამ, რომ იტყვიან: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. ხოდა, მეც გავიქეცი და ფრიდონ კენჭაძეს ვაჩვენე, კოლექციონერს. 10 ათასი დოლარი შემაძლია. გეთანხმები, დიდი თანხა, მაგრამ ბინის შესაძენად მაინც პატარა. მაშინ რაღა აზრი ჰქონდა ორდენის გაყიდვას? მე დამოუკიდებელ ცხოვრებას ვაპირებდი და არა ძმის კმაყოფაზე არსებობას. საკუთარი გამოცდილების ვიცი, რას ნიშნავს ქმრის სახლში ჩამომჯდარი შვილიანი მული. ფუი, გახსენებაც არ მინდა. მაშინ ფრიდონმა გარიგება შემომთავაზა: ის გამიცვლის ერთოთახიან ბინას ორდენში, ხოლო 5 ათას დოლარს ფულად დამიმატებს. იდეა მომეწონა და დავთანხმდი. ბინა გადავიფორმე, მაგრამ უსინდისო კოლექციონერი დაპირებული თანხის მოცემას არ ჩქარობდა. ხან აქედან მივუდექი, ხან იქიდან, ბოლოს ტელეფონსაც არ იღებდა. მემალებოდა. იძულებული გავხდი კანონიერი ქურდი მიმექსია. (ამ ქურდზე როგორ გავედი, ეს სხვა ისტორიაა). მეორე დღეს, იცოცხლე, მომირბენინა ფული, რომლის ნაწილი მომრიგებელმა წაიღო.

ჰოდა, ამ ფრიდონთან ერთად სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი ეგვიპტეში. არ ვიცი, რა მოელანდა (აქ ყველას რაღაც ელანდება), მაგრამ ფაქტია, რომ მერჩის. დარწმუნებულია, რომ მის ბაბუამისის ფოტოსთან დაკავშირებული ანომალური მოვლენები რაღაც კავშირშია ჩემთან. ღმერთი-რჯული, მე არაფერ შუაში ვარ...~

– – –

იწურებოდა უცხო მხარეში ყოფნის მეხუთე დღე. რა არის 5 დღე? ერთი კვირაც არა. ალის კი უკვე სახლი ენატრებოდა. მობეზრდა აქაურობა. დაიღალა. სულ სხვაა სამუშაო დღის მერე რომ იღლები, სასიამოვნოც კია. მოხვალ სახლში, ტახტზე წამოწვები, სამზარეულოდან გამოსულ ჭურჭლის წკარუნს მიაყურადებ, პატარაზე ჩათვლიმავ, გაიღვიძებ, ისევ სახლში ხარ... გაქექილ, მაგრამ მშობლიურ ტახტზე. აქ კი გაიღვიძებ და ფიქრობ: რა გავაკეთო? თურმე უსაქმურად ყოფნამაც დაღლა იცის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ალის ლაპარაკი ენატრებოდა. მერედა რამდენი ჰქონდა სალაპარაკო: შთაბეჭდილებები, ეჭვები... დარწმუნებული იყო, რომ ყბადაღებულ იზიდას კაიუტა შეეშალა და ალის მაგივრად დემურს მიაკითხა. ქურთები, ძველი ეგვიპტელებივით, წარმართები არიან, მზეა მათი სალოცავი. ქართველისთვის კი მზე ჩვეულებრივი მნათობია, რომელიც დილით ამოდის და საღამოს ჩადის. ალი რომ მზის ადგილზე იყოს, ერთხელაც სულ არ ამოვიდოდა,

დაანახებდა თავის ფასს ქვეყნიერებას, მაგრამ მზე ღმერთი იყო და არ ბრაზდებოდა ადამიანების უვიცობაზე. უვიცი კაცი თავისთვისაა უვიცი, თორემ ღმერთისგან რა მიდის რო?!
ალიმ პატივისცემით მიაჩერდა ჰორიზონტის თავზე გაჩერებულ მზეს.
_ ხომ არ მოიწყინე?
ალიმ თავი მოაბრუნა და ავიაციის ინჟინერი დაინახა. აი, კაცური კაცი! აბა, მისი მეზობელია კაცი? დღე ისე ჩაივლის, სიტყვას ვერ დააცდენინებ. თითქოს დაფიცებული აქვს, რა?... არ კადრულობს ალისთან ლაპარაკს თავკომბალა ოქრომჭედელი, თორემ სხვებთან გადასარევად ჭიკჭიკებს. გოკა ისე არ ჩაივლის, ალი არ მოიკითხოს. მართალია, მაშინ, ჩილიმ-ბარში, ძალიან გააბრაზა, მაგრამ მერე ბოდიში მოუხადა, რომ იტყვიან, სულ შაქარლამა გახდა. ოჯახური ამბები გამოკითხა, კიაზოსთვის ახალი ინსტრუმენტის ყიდვას შეჰპირდა. ალიმ არ დაიჯერა, მაგრამ მაინც ესიამოვნა.
ალიმ ორაზროვნად გააქნია თავი. ეჰ, ბარემაც მოიწყინა, მაგრამ წუწუნს ხო არ დაიწყებს? იფიქრებენ არიფია, კაი ცხოვრება ვერ შეირგოო. აგერ, რამოდენა ტკბილეული დევს მაგიდაზე, მას კი ცოლის გაკეთებული ნუგა ენატრება, თაფლითა და ქიშმიშით.
_ გინდა, შიშა გავაბოლოთ?
_ არა, არ მომეწონა ეგ მოსაწევი.
_ ყავა?
_ არა, არა...
_ არც კაკადეუ?
_ ეგ რა ოხრობაა?
_ წითელი ჩაი. აი, ამ დილას რომ მოგვართვეს.
_ ბორდოსფერი რო იყო, გრანიონი ჭიქებში?
გოკამ თავი დაუქნია. ალის არც ის ბორდოსფერი ფსელი მოეწონა, მაგრამ უარის თქმა მოერიდა. ხათრით შხამსაც დალევს კაცი.
_ ორი კაკადეუ. _ გოკამ მაგიდის დალაგებით დაკავებულ კოკოს გასძახა.
ბარმენმა უსიტყვოდ დაუკრა, დასვრილი ჭიქები სინზე დადო და სალონში შევიდა. ბიბის სიკვდილის შემდეგ გაღიმებული კოკო არავის უნახავს. მექანიკურად აკეთებდა ყველაფერს, რობოტივით. ვიღაც იტყვის, ჩიტი რა სადარდებელიაო, მაგრამ თუკი ცარიელი გალიის დანახვაზე გული ყელში გებჯინება და უმწეო ბრაზი გიპყრობს?
სალონში დიმიტრის გარდა არავინ იყო. კოკოს აზრით ყველაზე ადექვატური მგზავრი იახტაზე. მის დანახვაზე დიმიტრი საწერ-კალამი გადადო და უცნაურად შეხედა.
_ მოხდა რამე? _ ჰკითხა კოკომ.
_ სალაპარაკო მაქვს.
_ ჩაის გავიტან და მერე. თქვენც ხომ არ მიირთმევთ?
_ სიამოვნებით.
ვიდრე კოკო ჩაის ამზადებდა, დიმიტრი მისი ხელთათმანიან ხელებს აკვირდებოდა. მაინც ვერ გაარკვია, რატომ მალავს თითებს... არადა, საინტერესოა. ხელთათმანიანი მიმტანი ჯერ არსად უნახავს.
კოკომ ორი ჭიქა გემბანზე გაიტანა, მესამედდიმიტრის გაუწოდა და წინ დაუჯდა.
_ რამდენიმე შეკითხვა მაქვს, _ დაიწყო დიმიტრიმ, _ თუ ზოგი უტაქტოდ მოგეჩვენათ, შეგიძლიათ არ მიპასუხოთ. გამომძიებელი არ ვარ.
_ ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა გაწუხებთ? _ კოკომ უბოროტოდ ჩაიცინა, მაგრამ დიმიტრის მაინც ეწყინა.

ის ცდლობს იყოს თავაზიანი, ლაწირაკ ბარმენს თქვენობით ელაპარაკება, მისი ნდობის მოპოვებას ცდილობს, კოკო კი ჟურნალისტურ ცნობისმოყვარეობაზე აპელირებს, თითქოს დიმიტრია ამ იდუმალებით მოსილ იახტაზე მასპინძელი, თვითონ კი სტუმარი. მერე რა, რომ მომსახურე პერსონალია?! პასუხისმგებლობა ექსკურსანტების უსაფრთხოებაზე ბარმენსაც ისევე აკისრია, როგორც მის დამქირავებელს. შეიხ საიდია თუ ვინც არის.
_ მე აქ ჟურნალისტის სტატუსით არ წამოვსულარ, უბრალოდ, საქმეში გარკვევას ვცდილობ. არ დაგიმალავთ, საჩივრის შეტანას ვაპირებ ტურ-სააგენტოზე, ვინც ეს მოგზაურობა დააფინანსა. ზუსტად არ ვიცი, სად არის ძაღლის თავი დამარხული, აქ, ეგვიპტეში, თუ იქ _ საქართველოში, ერთი ვიცი დანამდვილებით: ვიღაც მგზავრებს შორის შიშისა და უნდობლობის დათესვას ცდილობს და პირობას ვდებ, არ შერჩება.
_ თქვენი საქმისა თქვენ იცით. _ უფერული ხმით მიუგო კოკომ.
_ ნუთუ არ გაინტერესებთ ვინ მოკლა თუთიყუში?
_ რას მომცემს ამის ცოდნა, ბიბის გამიცოცხლებს?
_ არა, მაგას ვერ შეგპირდებით, მაგრამ...
კოკომ წინადადების დასრულება არ აცალა, ენერგიულად გააქნია თავი:
_ რაც მოხდა, მოხდა. თქვენ თუ ფიქრობთ სამაგიეროს გადახდის სურვილი მკლავს, ცდებით.
_ აქ მხოლოდ თქვენი ინტერესი არ არის, მგზავრებია პანიკაში, განსაკუთრებით მოხუცები, უსათუოდ ბიბის უნდა მიჰყვეს ვინმე?
_ პროფესორს გულისხმობთ?
_ არა მხოლოდ.
_ ჩემგან რა გინდათ?
_ თქვენ იცით, ვინც მოგიკლათ თუთიყუში.
კოკოს ფერი ეცვალა, შეშფოთებული მზერა ესროლა დიმიტრის.
_ ელდარ მეფარიშვილმა. _ მშვიდად განაგრძო დიმიტრიმ. _ თქვენი ძველი ნაცნობია, არაა?
_ ვინ გითხრათ?
_ ბრმა არ ვარ.
_ რა გითხრათ? _ ჩააცივდა კოკო.
_ თქვენ შესახებ ლაპარაკი არ გვქონია, თუთიყუშზე _ კი.
_ გამოტყდა?
_ სასტიკად უარყოფს თუთიყუშის მოკვდინების ფაქტს. მეც კი გამებუტა, როგორ მაკადრეო.
კოკოს სევდიანი გაუხდა გრძელწამწამა, ლამაზი თვალები. ცოტა ხანს ჩუმად იყო, თითქოს საკუთარ თავს აყურადებდა.
_ მესმის მისი... _ თქვა პაუზის მერე. _ ელდარი არ არის ბოროტი ადამიანი, უბრალოდ... უბრალოდ დაბნეულია.
_ ორიენტაციას გულისხმობ?
_ ჰმ, ყველაფერი გცოდნიათ.
_ გუშინ არ დავბადებულვარ. _ დიმიტრიმ დარჩენილი ჩაი მოსვა და ცარიელ ჭიქას ჩახედა. _ ყველა თავისებურადაა ბედნიერი.
მოულოდნელალ კოკომ ყრუდ დაიკვნესა, თავი გააქნია და ვედრებით შეხედა დიმიტრის:
_ მე ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი... აბსოლუტურად ჩვეულებრივი, სანამ მაგას გადავაწყდებოდი...

მოვლენების ასეთ განვითარებას დიმიტრი არ ელოდა. რაში სჭირდება ორი მამაკაცის თანაცხოვრების ინტიმური დეტალები? მაგრამ ამ უბედურ ბარმენს ეტყობა იმდენი უარყოფითი შლაკი დაუგროვდა, ვინმესთან რომ არ დაცლილიყო, უეჭველად აფეთქდებოდა. ვულკანი გაღვიძებულია, ლავა დაძრული, დიმიტრის უკვე ესმოდა საგანგაშო ბუყბუყი. რაღა ჩემთან? უმწეოდ გაიფიქრა გულადმა ჟურნალისტმა, აგერ არ არის მოძღვარი? სიამოვნებით მოუსმენს. თუ არ მოუსმენს? გაკიცხავს, შერისხავს, ჯვარს აცვამს...

_ მე არასოდეს ვყოფილვარ ბედნიერი, _ განწირულივით შეჰყვირა კოკომ. _ არც ვიქნები, წარსული არ გამიშვებს... თქვენ არ იცით, რისი გადატანა მომიწია, არ იცით...

_ წინსვლისთვის უარყოფითი გამოცდილებაც საჭიროა.

_ მტერს არ ვუსურვებ ჩემნაირ გამოცდილებას.

_ კარგი, დამშვიდდი, სხვა დროს ვილაპარაკოთ...

_ სხვა დრო არ იქნება, უნდა მომისმინოთ. გთხოვთ...

კოკომ ისეთი სასოწარკვეთილი ჩანდა, ისეთი მოწადინებული, უარის თქმა არ გამოდიოდა.

კოკოს მონაყოლიდან:

ამირან შუბლაძე სოფელში დაიბადა, უკიდურესად გაჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახში. მამა _ ლოთი, დედა _ ერთი სულელი, უპასუხისმგებლო ქალი, რომელიც ნაცვლად იმისა რომ ლოთ ქმარს ცხრა მთას იქის გაქცეოდა, ყოველ წელს ფეხმძიმდებოდა და ერთმანეთის მიყოლებით შვილებს ყრიდა. ხო, ხო, კი არ აჩენდა, ყრიდა. რადგან `გაჩენილ~ ბავშვს მოვლა უნდა, დაბანა, დაძინება, მოფერება... დაყრილს _ მრავალტანჯული ძუძუ აღნავლებულ პირში. შუბლაძეებს არც საქონელი ჰყავდათ, არც შინაური ფრინველი. ძაღლი რომ ძაღლია, ისიც არ უჩერდებოდათ, რადგან დამშეული ბავშვები მისთვის განკუთვნილ ძვლებსაც ხრავდნენ. მამას კიდევ არა უშავდა, აზრის გამოთქმა მაინც შეეძლო, თუნდაც გინების ფორმით, აი დედა კი ცოტა არ იყოს ჭკუანაკლულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იშვიათად ლაპარაკობდა და თითქმის ყოველთვის იღიმებოდა. განა იმიტომ, რომ რამე უხაროდა, მიმიკა ჰქონდა ასეთი. სავარაუდოდ, გაჩენის დღიდან.

ამირანი 10 წლის იყო მამა ტრაგიკულად დაიღუპა. ღელის პირას გალეშილ მთვრალს ჩაეძინა და დაიხრჩო.

უკაცოდ დარჩენილი შუბლაძეების ოჯახი ზაფხულში ხილის გაყიდვით ირჩენდა თავს, ზამთარში ფაქტიურად შიმშილობდნენ. მოზარდმა ამირანმა თბილისში სიარულს მოუხშირა, საიდანაც მოპარული ნივთებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა. ძირითადად მანქანის სარკეებზე ნადირობდა, მერე იაფად აბარებდა და სახლისთვის პროდუქტებს ყიდულობდა. ერთხელაც ფაქტზე გამოიჭირეს. კარგად ჩაცმულმა მამაკაცმა ინტელეგენტური მანერებით პოლიციას კი არ გამოუძახა, არამედ სახლში მიიწვია და დაწვრილებით გამოჰკითხა ვინ იყო და რამ მიიყვანა ქურდობამდე. ეს კაცი ელდარ მეფრიშვილი გახლდათ, მუსიკალური პროდუსერი.

არა, ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია, ყველაფერმა ბუნებრივად ჩაიარა, სანთლების შუქზე, ფრანგული შამპანიურისა და ბერძნული პორნოფილმის თანხლებით. როცა ამირანი აზრზე მოვიდა, ის უკვე კოკო იყო და სოლიდური საყვარელიც ჰყავდა, რომელმაც ყველაფერთან ერთად აღმზრდელობითი ფუნქციაც შეითავსა. კოკო-ამირანს მეტყველების მასწავლებელი აუყვანა, წიგნების კითხვა აიძულებდა, გემოვნებინი მუსიკის მოსმენას... თავიდან კოკო მეტ-ნაკლებად ემორჩილებოდა, მაგრამ ელდარი არ ჩქარობდა თავისი `გალათეის~

საზოგადოებაში გამოჩენას, სახლში ჰყავდა გამომწყვდეული, თვითონ მთელი დღე იკარგებოდა თავის სტუდიებში. შინ დაბრუნებული კი ყურადღებას და ალერსს ითხოვდა. კოკოს თანდათან გაუნელდა ინტერესი სწავლა-განათლები მიმართ. რა თავში იხლის კარგ მანერებს, თუკი ერთი კაცის გარდა მაყურებელი არ ეყოლება?! საბოლოო ჯამში, ელდარის გეგმამ კოკოსგან მორჩილი მხევალი ან მადლიერი ცუგა გამოეზარდა, კრახი განიცადა. ერთხელაცაშარვლიანმა `გალათეამ~ ფეხი დაჰკრა და სამუდამოდ გაქრა ვერშემდგრი პიგმლიონის ცხოვრებიდან. თან გაიყოლა გარკვეული რაოდენობის თანხა და რაღაც პერიოდის შემდეგ ამსტერდამში აღმოჩნდა.
მოპარული ფულები კოკოს ერთ თვეში შემოადნა. ხიდის ქვეშ გათენებულმა რამდენიმე ღამემ კი იმდენად გატეხა, რომ ფეხებმა თავისით მიიყვანა გეი-კლუბთან, სადაც გაიცნო სოლიდური გაბარიტების და არანაკლებ სოლიდური პორტმანეს მქონე შვედი მოქალაქე სახელად სვენ-გორანი.
ამას ერქვა, ვაის გავეყრე და ვუის შევეყარეო. სვენი, ეს ორსახელიანი კომოდი ნამდვილი გოფსეკი აღმოჩნდა. აქაოდა თავშესაფარი მოგეციო, თითოეულ ლუკმას უთვლიდა ისედაც გაქცევაზე მყოფ ყმაწვილს. ნებისმიერ შენაძენზე ჩეკებს სთხოვდა, ისეთ წვრილმანზეც კი, როგორიც საცვალია. გარდერობის განახლებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კოკომ ისიც მიატოვა. ეგ, არის, ფულის მოპარვა ვერ მოახერხა, ხელმოჭერილი შვედი მთელ თანხას ბანკში ინახავდა.
კოკო უკვე მეორედ აღმოჩნდა ქუჩაში, თუმცა ამჯერად მდიდარ საყვარელზე ნადირობა არც უცდია. დაიწყო სამუშაოს ძებნის მძიმე, უთავმოყვარეო პროცესი. ნებისმიერ საქმეს ჰკიდებდა ხელს, ოღონდ ვინმეს ორი კაპიკი გადაეხადა. ამასობაში ავად თუ კარგად ენაც ისწავლა და ერთ მყუდრო კაფეში მიმტანად მოეწყო.
იმ კაფეს ხშირად სტუმრობდა მდედრობითი სქესის რუსი ემიგრანტი. მან მაშინვე დაადგა თვალი ეგზოტიკური გარეგნობის ყვაწვილს, მაგრამ მისი ინტიმური მიზნით გამოყენება თავშიც არ მოსვლია. უბრალოდ, კოკო მას გადაცვლილ ვაჟიშვილს აგონებდა. `ისიც ვრუბელის დემონს ჰგავდა~, უთხრა ერთხელ. კოკომ არ იცოდა, ვინ იყო ვრუბელი, მაგრამ მაინც თავაზიანად გაუღიმა. მიგვიანებით, როცა ამ ქალბატონის ტურისტულ სააგენტოში დაიწყო მუშაობდა, გაიგო, რომ ვრუბელი მხატვარი ყოფილა, რომელიც თურმე ლამაზ დემონებს ხატავდა.
კოკო ყველაფერს წარმოიდგენდა იმის გარდა, რომ ოდესმე ელდართან შეხვედრა მოუწევდა. თანაც სად, სინას ნახევარკუნძულზე! ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კოკომ სპეციალურად ითხოვა ქართველ ექსკურსანტებთან მიმაგრება, იფიქრა, მონატრებულ თანამემამულეებს ნახავს, გულს გადააყოლებს. როგორ არა, გადააყოლა...~

_ თუ ასე გენატრება, რატომ არ დაბრუნდები საქართველოში? _ ჰკითხა დიმიტრიმ, როცა ბარმენმა თავისი სევდიანი ისტორიის მოყოლა დაასრულა და ბავშვივით მოისრისა ნამიანი თვალები.
_ შეუძლებელია.
_ რატომ?
_ არ დამიმსახურებია. მე სიკვდილი დავიმსახურე და მალე მოვკვდები. _ კოკომ ბრაზით გაისწორა თავისი ნაჩხვლეტებიანი ხელთათმანი.
დიმიტრის უნდოდა ეკითხა, რა გჭირს ხელზეო, მაგრამ ისევ თანდაყოლილმა ინტელიგენტურობამ შეუშალა ხელი.

_ ღმერთი რომ დამსახურების მიხედვით კლავდეს ადამიანს, ელდარის ძვალიც აღარ უნდა იყოს საფლავში. _ თქვა ხმამაღლა.
_ ნუ განსჯით მკაცრად. ის ალბათ ერთადერთი იყო, ვინც ზრუნავდა ჩემზე. ალბათ ვუყვარდი კიდეც. თავისებურად.
_ ეს სააგენტო ამსტერდამშია? _ თემა შეცვალა დიმიტრიმ.
_ არა, მოსკოვში.
_ სახელი?
_ `გეო~.
მეტი კითხვის დასმა დიმიტრიმ ვერ მოასწრო. სალონში ნაგიჟარივით შემოვარდა ქალბატონი დონარა:
_ პრრრზზ მომპარრს!
_ ?
_ პრროტზი მომპარეს! _ გაიმეორა თლიფინით.
_ რა მოგპარეს?
_ პროთეზი, დაგაყუა ღმერთმა! _ ფეხი დააბაკუნა დონარამ.
დიმიტრის ლამის საღი კბილები დასცვივდა. პროთეზგამოცლილი ადამიანი ასე საშინლად თუ გამოიყურებოდა, ვერ წარმოედგინა.
_ ვის რად უნდოდა თქვენი პროთეზი, მე შენ გეტყვი მოერგება... მესმის, ბრილიანტის რომ იყოს...
დონარამ არ აცალა წინადადების დასრულება, მკლავში ხელი ჩაავლო და გაოგნებული ჟურნალისტი თავისი კიუტისკენ გაიგდო. კოკომ ნაწყენი მზერა გააყოლა. ცხოვრებაში პირველად ადამიანს გული გადაუშალა, სულიერად გაშიშვლდა ასე ვთქვათ, ამ გასიებულმა გომბეშომ კი ყველაფერი გააფუჭა. ისე, ვის რაში სჭირდებოდა ამის გამონაცვალი პროთეზი?!
კაიუტაში შესულებს კი სიურპრიზი ელოდათ. პროტეზი უწინდელ ადგილზე იდო: ტუმბოზე, საწოლის გვერდით. დონარა პირდაღებული მიაჩერდა მეტალოკერამიკის მოყვითალო-მოვარდისფრო დაკრეჭილობას. შემპარავი ნაბიჯით მიუახლოვდა და ტკლაცანით გაიქანა პირში.
_ ვიცი რასაც ფიქრობ, _ ამჭერმეტყველდა ქალბატონი დონარა. _ ჰალუცინაციები დაეწყოო ბებერ მარაზმატიკსო, არა? დონარა ასათიანი ჯერ ისე არ გამოქათამებულა შავზე თეთრი ვერ დაინახოს. არ იდო ეს დაწყევლილი ყბა 5 წუთის წინ ამ ტუმბოზე, არ იდო და მორჩა!
_ და ნუ ბრაზდების წინასწარ, მე თქვენთვის არაფერი მიკადრებია. კეთილი, ყბა არ იდო. თქვენ სად იყავით?
_ მეძინა. აგერ, პასიანსი გავშალე და ჩამეძინა, _ დონარამ საწოლზე უწესრიგოდ მიმოფანტულ კარტზე მიუთითა. _ შვილო, დიმიტრი, არ დაგიმალავ და მეშინია. ადრე არ მეშინოდა, ახლა კი... ახლა კაიუტაში შემოსვლის მეშინია, დაძინებზე აღარაფერს ვამბობ... მარტო ვარ, მინდვრის თაგვივით, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე?
და აქ დიმიტრის გონება გაეხსნა. რატომ არის დონარა მარტო, დანარჩენები კი დაწყვილებულები? თუ მართლა ლატარეა გათამაშდა, როგორ მოხვდა გემზე ლეჟავების და დიკო-დემურის წყვილი? რა, კომპიუტერმა ერთი ოჯახის ორი წევრი ამოაგდო? რაღა მაინცადამაინც გამგებლის საყვარელს გაუმართლა და არა მაგალითად, ცოლს? ან იმ ქვეშქვეშა კავბოის რატომ ერგო მარტო ყოფნის პატივი, როცა დიმიტრის საეჭვო რეპუტაციის ელდარი შეუსახლეს?
როგორ ადრე ვერ მიხვდა! ვიღაცას აწყობდა ამ ადამიანების ერთად შეყრა და სეირის ყურება. და ეს ვიღაც იახტაზე უნდა იყოს.

ის დროა დიმიტრიმ თბილისში დარეკოს. უშიშროების პოლკოვნიკი მიხეილ ხვედელიძე მალე გაარკვევს რას წარმოადგენს ჯადოსნური ტურ-სააგენტო. დავუშვათ, ცენტრალური ოფისი მოსკოვშია. სავარაუდოდ, თბილისშიც იყოს შვილობილი კომპანია, თორემ რა რჯის რუსეთის სააგენტოს საქართველოს მოქალქეებს უფასოდ რომ უშვებს დასასველებლად?! უფასო ყველი სათაგურშია. შესანიშნავი აფორიზმია. დროული.
დონარას კაიუტიდან გამოსულმა დიმიტრიმ გეზი კაპიტნის კაიუტისკენ აიღო, მაგრამ ნიკიტა გემბანზე შეეჩეხა.
_ სწორედ თქვენთან მოვდიოდი. _ უთხრა დიმიტრიმ.
_ მე კი თქვენთან. _ კაპიტანმა ყოყმანით მოიფხანა დახავსებული წვერი და წარბქვეშიდან გახედა.
_ პირადად ჩემთან?
_ პრინციპიი ყველასთან, მაგრამ კიდევ კარგი თქვენ გადაგეყარეთ... სხვებისგან განსხვავებით ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. დამითმობთ ხუთიოდე წუთს?
_ სიამოვნებით.
ნიკიტამ თავით ანიშნა, გამომყევიო და გეზი თავისი კაბინისკენ აიღო.
_ შეხედეთ! _ ნიკიტამ კომპიუტერის ეკრანზე მიუთითა. _ ნახევარი წელია დესკტოპზე თევზის რეპროდუქცია მეყენა, დღეს კი ნახეთ, რა დამხვდა? კომპიუტერის ეკრანიდან იზიდას პროფილი გაყინულიყო. რქებს შორის გაბრწყინებული მზის დისკოთი.

_ _ _

შებინდებისას იახტა ნაამა-ბეის სანაპიროს მიადგა. დიმიტრი სულმოუთქმელას სცემდა ბოლთას გემბანზე. დრო არ ითმენდა. ამდენ ხანსაც უნდა დაერეკა თბილისში. ახლა, როცა კაპიტნის კომპიუტერში მოახერხეს შეღწევა, შეიძლება დაგვიანებულიც კია. იახტაა თუ მოჩვენებათა ხომალდი?
_ ჩასვლას ხომ არ აპირებთ?
დიმიტრიმ მიიხედა. სერგი იყო. ექიმი. ეცვა აქაურ მაღაზიაში ნაყიდი მაისური გულისპირზე გამოსახული აქლემით. თვითონაც იმ აქლემს ჩამოჰგავდა. მაღალი, მოუქნელი, მზეზე დამწვარი ცხვირითა და მოძრავი პირით.
_ ვაპირებ. თბილისში უნდა დავრეკო.
_ დალაპარაკება მინდოდა, _ სერგიმ უხერხულად ჩაახველა. _ აქ არა. არ მინდა მეუღლემ დაგვინახოს. სადმე დავჯდეთ, კაფეში.
დიმიტრიმ მზადყოფნით დაუქნია თავი, თუმცა შინაგანად დაიძაბა. მუდამ ხალისიანი ვენეროლოგი დღეს გალახული ძაღლივით გამოიყურებოდა. უფრო სწორედ, აქლემივით.
უშიშროების პოლკოვნიკთან სატელეფონო საუბარი დიმიტრის 150 ეგვიპტური ფუნტი დაუჯდა. ვიდრე გააგებინა საიდან რეკავდა, რისთვის რეკავდა... ვიდრე ეჭვმიტანილთა მონაცემები უკარნახა... მიუხედავად დანაკარგისა, მაინც კმაყოფილმა დაკიდა ყურმილი. მიხეილი უახლოვეს საათებში დაპირდა ინფორმაციის მოპოვებას. ის სიტყვის კაცი იყო.
სერგი დიმიტრის ღია კაფეში ელოდა. ლუდს წრუპავდა და თეთრ უნიფორმებში ჩაცმულ შავგრემან პოლიციელებს აკვირდებოდა. თავის მხრივ, პოლიციელების დანისნული მზერა პროვოკაცულად ჩაცმული ტურისტი ქალებისკენ იყო მიმართული.

_ ჩემს ცოლს დღიური მოპარეს. _ უთხრა სერგიმ დიმიტრის. _ საშინელ დღეშია. კაიუტიდან არ გამოდის, ხმას არ მცემს... არ ვიცი, რა ვიღონო. მეშინია მუცელი არ მოეშალოს.
_ ფეხმძიმედაა?
_ დიახ. დიდხანს ვიფიქრე, ვის მივმართო დასახმარებლად და არჩევანი თქვენზე შევაჩერე. იქნებ მომეხმაროთ ქურდის გამოვლენაში, საერთო ძალისხმევით, ასე ვთქვათ...
_ ქურდი, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. აქ უფრო პირადული დაინტერსება იკვეთება.
_ რა მნიშვნელობა აქვს? _ აღშფოთდა სერგი. ¬_ ქურდი ქურდია.
_ არ გეკამათებით, მაგრამ არსებობს ქურდობის ნაირსახეობა. სულ სხვა სურათი იქნებოდა, თქვენი მეუღლე გამოჩენილი პიროვნება რომ ყოფილიყო... მუსიკოსი, მაგალითად, მეცნიერი... არ მითხრათ წყლის ნავთობად გადაქცევის ფორმულა ეწერა დღიურში?
_ არა.
_ ანუ მომპარავს მერკანტილური ინტერესი კი არა, ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობა ამოძრავდა. _ დიმიტრიმ ანანასის წვენი შეუკვეთა და ისევ სერგის მიუბრუნდა. _ მოტივი თუ არ მოვთელეთ, ისე როგორ გავალთ დამნაშავეზე?
_ რა იცოდა, რომ რუსიკო დღიურს წერდა? მე არ ვიცოდი და იმ შობელძაღლმა როგორ გაიგო?
_ არ გაგიმხილათ, რას წერდა? იქნებ... იქნებ ვიღაცის საიდუმლო იცოდა და...
_ არა, არა, _ ხელები აიქნია სერგიმ. _ საქმე იმაშია, რომ ცხრა წლის წინ რუსიკოს ტყუპისცალი და გარდაეცვალა. განიცადა სხვა სიტყვაა, მთელი წელი ვერ გამოდიოდა ღრმა დეპრესიიდან, მერე დღიურის წერა დაიწყო... ვერ გეტყვით, დარდის ფურცელზე გადმოტანამ უშველა თუ დროის ფაქტორმა, ფაქტია, რომ ნელ-ნელა გამოვიდა მდგომარეობიდან. სწორედ ეს დღიური მოპარეს.
_ თქვენ რატომ დაგიმალათ დღიურის არსებობა?
_ ალბათ ესირცხვილებოდა. წარმოიდგინეთ, მკვდარს წერს, ემოციურად შიშვლდება, ასე ვთქვათ... და უცებ მის საიდუმლოს ვიღაც გარეწარმა ფარდა ახადა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეშია?
_ ფრინდონ კენჭაძეს გამორიცხავთ?
_ თქვენც იქით მიგყავთ... _ არა, ზოგადად არავის გამოვრიცხავ, მაგრამ მერწმუნეთ, ფრიდონი წარსულის გამოძახილია.
სერგიმ მოკლედ უამბო ფრიდონთან დაკავშირებული ისტორია.
დიმიტრი ჩაფიქრდა. ფრიდონი რუსიკოსთვის კია წარსულის გამოძახილი, მაგრამ ეტყობა ვიღაცისთვის არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინაპრების ფოტოებით არ დააშანტაჟებდა. ავანსცენაზე ახალი გმირები გამოჩნდნენ: რუსიკოს და, ყოფილი ქმარი... ამ საცოდავ იახტაზე ცოცხლებს ვერ გაურკვევიათ ერთმანეთში საქმეები, ახლა მკვდრებიც რომ არ დამატებოდნენ! ფრიდონის ცელქ ბაბუას და თუთიყუშ ბიბის თუ მივათვლით, ოთხიც კი გამოდის. იზიდას აჩრდილიანად _ ხუთი. შეიძლება გაგიჟდეს კაცი!
_ სერგი, გასაღებები უნდა ვითრიოთ და კაიუტები გავჩხრიკოთ.
_ დუბლიკატები ბარმენს აქვს, არ მოგვცემს?
_ დიდი ეჭვი მაქვს, რომ პარანორმალურ სპექტაკლებში მომსახურე პერსონალიც მონაწილეობს. პირველ რიგში მათი კაიუტების ნახვა მაინტერესებს.
_ მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ვერსია მოიკოჭლებს. რა საქმე აქვს ჩემი ცოლის დღიურთან რუს კაპიტანს და გაურკვეველი წარმოშობის ბარმენს?

`არც ისეთი გაურვეველი წარმოშობისაა,~ უნდოდა ეთქვა დიმიტრის, მაგრამ თავი შეიკავა.
_ სულ არარაობას, კოჭლი ვერსია სჯობს. _ თქვა ხმამაღლა. _ ისე, საღ-სალამათი თუ მოგეპოვებათ, სიამოვნებით მოგისმენთ.
ვინაიდან სერგის მსგავსი არაფერი მოეპოვებოდა, კოჭლზე შეთანხმდნენ და აჩქარებული ნაბიჯით იახტისკნ გაუტიეს. უნდა ისარგებლონ მომენტით, ვიდრე მომსახურე პერსონალი პროდუქტების გადმოსაზიდად ნაპირზეა გადმოსული. გარეთ ნიავი არ იძროდა. დასიცხული ჰაერში შემწვარი თევზისა და შიშას სურნელი იდგა. აღმოსავლური სურნელი. შიშას ეწეოდნენ ყველგან _ სასტუმროებში, ბარებში, ტროტუარზე სახელდახელოდ გამართულ ფარდულებში. ეკზოტიკურ გარემოს მონატრებული ევროპელები ფეხმორთხმულები ისხდნენ მუთაქებით შემოჯარულ ჭრელა-ჭრულა ფარდაგებზე და ფილტვების ამოგდებამდე ისრუტავდნენ არომატიზირებული თამბაქოს სურნელს.
_ იტალიანო? _ თეთრკბილა და შავულვაშა არაბები არასანქცირებულ ჩხრეკაზე მომართულ ქართველებს თავიანთ კაფეებში ექაჩებოდნენ. _ სპენიშ? თურქიშ? რაშა?
_ ჯორჯია, ჯორჯია! _ გზადაგზა პასუხობდა სერგი.
არაბები მომენტალურად იხევდნენ უკან, ამერიკული შტატი ეგონათ. უნდობლობა მსოფლიოს `ნომერ პირველი ნაციის~ მიმართ სისხლშ ჰქონდათ გაჯდარი. სერგე და დიმიტრი დროში წვებოდნენ, თორემ შეიძლებოდა პატარა ლექციის წაკითხვა გეოგრაფიული კუთხით.
აი, გამოჩნდა `მენკაურას~ თეთრი გვერდი გიგანტური თვალითურთ, რომელიც იახტაზე განვითარეული მოვლენებიდან გამომდინარე თილისმაზე უფრო ჯადოდ აღიქმებოდა.
იახტაზე სამი კაცი დახვდათ. ალი, რომელიც მოწყენილი სახის გაჰყურებდა ზღვას, წნევანი დონარა და კაიუტაში შეკეტილი რუსუდანი. დანარჩენები ქალაქში გაფანტულიყვნენ.
პირველ რიგში სამზარეულოში შევიდნენ. მოწნულ კალათაში სეზანის შესაშური ნატურმორტი ყვინთავდა: ატამი, ვაშლი, ფორთოხალი, ყურძენი... პასტორალურ დიზაინს აფუჭებდა ელექტრონული საათი სალათისფრად გაბრწყინებული ციფერბლატით.
_ სერგი, მოდი შენ აქ დადექი. ყარაულში. _ დიმიტრიმ შინაურულად მიმართა თანამზრახველს და არანაკლებ შინაურულად მიაბრძანა კარამდე. _ თუ რამეა, დაუსტვინე, კარგი? _ კაცს რომ მოსაპარად შეიამხანაგებ, თქვენობით ლაპარაკი მეტიჩრობა და სიყალბეა.
სერგიმ მზადყოფნით დაზვერა გემბანის ორივე ფრთა და დიმიტრის თავით ანიშნა, დაიწყეო.
უჯრა, სადაც დიმიტრის გასაღები ეგულებოდა, დაკეტილი დახვდა. სამაგიეროდ ღია უჯრაში ბოთლის ხრახნიან გასახსნელს მიაგნო და საკეტს შეუჩხიკინა. ამაო ჯაჯგურის შემდეგ დიმიტრიმ სხვა ინსტრუმენტს დაუწყო ძებნა, მაგრამ სერგის მოლოდიურმა სტვენამ განზრახვაზე ხელი ააღებინა. სამალავის ძებნაში მიმოიხედა. ჯერ ნიჟარის ქვეშ ტუმბოში დააპირა დამალვა, მაგრამ ნაგვის ვერდოს იმხელა ადგილი ეკავა, ოთხად დაკეცილი თუ შეეტენებოდი.
სტვენის სიხშირემ იმატა, საწყალი სერგი ლამის ბულბულად გადაიქცა, დიმიტრი კი ჯერაც კარადებს აწყდება. სტვენა შეწყდა. გაისმა ლაპარაკი. მიდი, სერგე, ორი წამი მაინც შეყოვნე ვიღაცაა... დიმიტრიმ დისტანციური მესიჯი გააგზავნა და ტახტის ქვეშ შეყვინთა, სადაც მის გარდა შეყუჟულიყო გრძელი, ხორკლინი რულონი.

სამზარეულოში კოკო შემოვიდა. დიმიტრიმ იცნო მისი რბილძირიანი სანდლები. ფეხები მაცივართან გაჩერდა. რაღაც გამოიღო, დაასხა, დალია. გაისმა კმაყოფილი `ახ~. როგორც ჩანს, წვენით ჩაიკოკლოზინა პირი. ცივ წვენზე არც დიმიტრი იტყოდა უარს. პირი გაუშრა, ხელები დაებუჟა, რულონის წამახული კუთხე კი გილიოტინასავით აჭერდა კისერში.
ამასობაში, კოკომ ისეთები ჩაიდინა, დიმიტრის გამომშრალი პირიც დაავიწყდა და მტკივანი ზურგით. მან ზურგჩანთაში ტანსაცმლის ჩაყრა დაიწყო.
ეგერ, რეზინისსალტიანმა საცვალმა გაიელვა, ნაცნობმა მაისურმა, ჯინსმა... მიდის, მიიბარგება... სად? რატომ? ვის იმედზე ტოვებს ამდენ ხალხს?!
სად იყო და სად არა, სამზარეულოში ელდარი შემოიჭრა. დიმიტრიმ მისი დაწნულძირიანი ესპადრელები იცნო. ზუსტად ასეთები ჰქონდა დედამისის ფრანგ ქმარს.
_ აქაც მომაგენი... _ ამოიოხრა კოკომ. _ მითხარი, სად, მსოფლიოს რომელ კუთხეში დაგემალო?
_ არ არსებობს ასეთი კუთხე, ჩვენი შეხვედრა უფლის ნებაა! _ შესძახა გრძნობამორეულმა პროდიუსერმა და თავისი ხორბლისფერი, მეჩხერი ბალნით დაფარული ფეხები კარადათან მიიტანა.
_ უფლის კი არა, ეშმაკის ნებაა, თავი დამანებე, ელდარ. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია.
_ დავუშვათ, დავუშვათ, მაგრამ ურთიერთობა მარტო სექსი ხომ არაა, მე შენთან მუსაიფი მინდა, შენი ცქერა. გეფიცები, თითსაც არ დაგაკარებ, თუ შენი ნებაც არ იქნება.
_ მაშინ ნუ მიყურებ ასეთი თვალებით...
დიმიტრი იატაკს შეეზარა. რას უნდა ნიშნავდეს კოკოს ხმაში გამკრთალი კეკლუცი ნოტი? ესღა აკლდა მისი თანდასწრებით გამართონ არშიყი!
_ ეს ჩემს ძალას აღემატება! _ ყრუდ ამოიკვნესა ელდარმა.
_ არც ჩემთვისაა ადვილი... _ გაეპასუხა კოკო.
კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა ყოფილი პარტნიორების საამო ჟღურტული, რომ სამზარეულოში სერგო არ შემოჯლიგინებულიყო.
_ ბოდიში, ბატონებო, დიმიტრი ძნელაძეს ვეძებ, აქ ხომ არ შემოსულა?
შემცბარმა `ბატონებმა~ უარყოფის ნიშნად გააქნიეს თავები. სერგიც იძულებული გახდა წასულიყო. ხომ არ ეტყოდა, ემანდ არაფერი მიჰქაროთ, კაცია დამალული სამზარეულოშიო.
_ კარი ხომ არ დაგვეკეტა? _ შემპარავად იკითხა ელდარმა.
დიმიტრის სუნთქვა შეეკრა. მაგრამ უცაბედად განაზებულ კოკოს დაცხრომა მოესწრო და კატეგორიული უარი განახადა.
ელდარმა ეტყობა ახლაღა შენიშნა იატაკზე დაგდებული ზურგჩანთა ნაუცბათევად შეჩურთული ნივთებითურთ. რეაქციამ არ დააყოვნა:
_ ეს რა არის, კოკო, წასვლას აპირებ? გაპარვას... რატომ? მიპასუხე, რატომ?
_ იმიტომ.
_ არა, ეს პასუხი არაა, ეს თავის არიდებაა, ჩემი თავიდნ მოშორების უსუსური მცდელობა... არ გამოგივა, ძვირფასო, არ მოგშორდები, შენი ჩრდილი გავხდები, შენი ყურმოჭრილი მონა... გინდა, ერთად ავიწიოთ აქედან, კაიროში გადავფრინდეთ... თბილისში, პარიზში, სადაც იტყვი! თუ აქვე დავრჩეთ, სადმე მყუდრო სასტუმროსი განვმარტოვდეთ, ჰა?
ვიდრე ელდარი კოკოს ოქროს კოშკებს ჰპირდებოდა, დიმიტრი იმდენად შეაწუხა კისერში მიბჯენილმა რულონის წვეტმა, რომ ხელი გააცოცა და შეეცადა სიღრმეში შეეჩურთა. შეხებისთანავე რულონი მარაოსავით გაიშალა და თავზე დაემხო.

ცხვირში სპეციფიკური სუნი მოხვდა. რა უნდა იყოს? ფაქტურით შპლერს არ ჰგავს. ვითომ დაგრუნტული ტილოა? თუ ქსოვილი?
_ არ მჯერა, რომ დაგავიწყდი, _ ღაღადებდა ემოციურ ტრანსში მყოფი ელდარი. _ კოკო, შემომხედე თვალებში... არ მიყურებ, იმიტომ რომ გეშინია... გეშინია, თვალებმა არ გაგთქვას. თვალი ხომ სულის სარკეა, შენს თვალებში კი მე ვირეკლები.
_ შენ სულ დაგოიმდი, ელდარ... ვირეკლებიო. რეებს ბოდავ საერთოდ? თუ ისევ ისეთი სოფლელი ბიჭი გგონივარ, დანა-ჩანგლის დაჭერა რომ არ იცოდა?
_ არ მგონიხარ. გამოგიტყდები, ვერც ვხვდები ვინ ხარ...
_ ვრუბელის დემონი. _ ჩაიცინა კოკომ. _ შემოხედე, არ ვგავარ?
_ შენ უფრო ლამაზი ხარ.
_ ჰახ!
_ კოკო, ვინმე გყავს? თუ გყავს, მე გაგებით მოვეკიდები... _ ელდარის ესპადრელები კოკოს სანდლებთან გაჩერდა.
_ ე-ე, ხელი გამიშვი! ხო, კაი, არავინ არ მყავს.
_ ტყუი! ჩემი თვალით დავინახე როგორ ეჩურჩულებოდო იმ მუდო ჟურნალისტს.
_ ვის?
_ დიმიტრი ძნელაძეა თუ ვიღაც ფეხები.
მუდო თავი გაბია, დისტანციურად შეუტია დიმიტრიმ. ვითომ რატომაა მუდო? პირიქით, ძალიანაც ენაწყლიანია. არც `ფეხებია~ მაინცდამაინც დიდი კომპლიმენტი, მაგრამ ახლა გარჩევის დრო არ არის. საინტერესოც კია რას ფიქრობს შენზე ხალხი. ცისფერი ხალხი...
_ ჩემი შენ გითხარიო?! _ გაუკვირდა კოკოს და ზურგჩანთაში საპარსი ჩააგდო. _ შენ ხარ დიმიტრისთან ერთად კაიუტაში და კიდევ ჩემზე ეჭვიანობ?
_ შენ თავს ვფიცავარ, ჩვენ შორის არაფერი ყოფილა! _ თავი იმართლა ელდარმა.
_ ჰო, კარგი, კარგი, ვხუმრობ. ისე ვთქვი, შენ გასაღიზიანებლად.
_ ე. ი. არ შევმცდარვარ, ე. ი. მაქვს შანსი! _ ელდარი სიხარულით ცას ეწია.
_ რატომ მოკალი ჩემი ბიბი?
_ მე არ მომიკლავს, არა! განა ასეთად მიცნობ...
_ მართლა? _ ისევ ის კეკლუცი ნოტი კოკოს ხმაში.
დიმიტრის სიმწრის ოფლმა დაასხა. ახლა რომ ესენი შერიგდნენ და პირდაპირ მის თავზე განახორციელონ ამორალური ქმედება, სად მიდის?
_ გჯერა? კოკო, მითხარი, რომ გჯერა ჩემი, ეს ძალიან მნიშვნელოვნია...
_ მჯერა. შენ ამას არ იზამდი. ვხვდები ვისი გაკეთებულიცაა... ელდარ, გასწი ხელი, მეც ადამიანი ვარ...
_ კარს დავკეტავ. _ თადარიგი დაიჭირა წინდახედულმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საფუძვლიანად აპირებდა საქმეზე გადასვლას.
დიმიტრიმ სიკვდილი ინატრა. კიდევ კარგი კოკო არ აპირებდა დანებებას, როგორც ჩანს, ხელიდან დაუსხლტდა გახელებულ შეყვარებულს და ტახტის შორიახლოს გაჩერდა.
_ არ მომეკარო, ელდარ, შიდსი მაქვს! მე მალე მოვკვდები... ადიოს, მეგობარო, ადიოს...
სიჩუმე ჩამოვარდა. ესპადრელებიანი ფეხები სტოპ კადრში გაშეშდა. დიმიტრიმ მომუჭული ხელისგული პირში ჩაიდო, რომ არ ეყვირა.

_ _ _

სერგი ლეჟავა ადგილს ვერ პოულობდა. ჟურნალისტი თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ვერც სერგის თავგამოდებულმა სტვენამ გამოაგდო სამალავიდან, ვერც სამზარეულოში შეჭრის მცდელობამ. ამასობაში, იახტაზე კიდევ ერთ ამბავი მოხდა. რუსიკოს დღიური დაუბრუნეს. ცხადია, ხელიდან ხელში არა. ილუმინატორის ფანჯრიდან შეუგდეს. ყოველ შემთხვევაში, როცა რუსიკომ გაიღვიძა, დღიური ტუმბოზე დახვდა.
სერგი არ იყო მისტიკაზე მომართული ადამიანი, მაგრამ იახტაზე განვითარებული მოვლენების ფონზე სულ მამიდამისი ახსენდებოდა: გაძვალტყავებული თეთრთმიანი მოხუცი, რომელმაც გადასახლებიდან დაავადებული ღვიძლის გარდა ერთი ზეთში შესრულებული პორტრეტი ჩამოიტანა. პორტრეტზე აწ გარდაცვლილი ქალიშვილი იყო დახატული. ჭლექით მომკვდარა, იქ, გადასახლებაში. მამიდას ხელში დაულევია სული. უკანასკნელ დღეებში თურმე პორტრეტს თვალს არ აშორებდა, ეტყობა იმ დროში უნდოდა დაბრუნება, როცა ჯანმრთელად იყო, მდელოზე იჯდა, სუფთა ჰაერზე, ახალგაზრდა მხატვარს ეპრანჭებოდა, თავმომწონედ პოზირებდა...
მამიდა ამტკიცებდა, რომ წელიწადში ორჯერ, შობას და აღდგომას, ქალიშვილის აჩრდილი ნახატიდან გადმოდის, ჰაერში დაფარფატებს და მინდვრის ყვავილების სურნელებას აფრქვევს. სამწუხაროდ, საწყალი მამიდას გარდა ვერავინ-ვერაფერს ვერც ხედავდა და გრძნობდა. დასცინოდნენ.
ბავშვობის მოგონება სერგის სამზარეულოდან ტყვიასავით გამოვარდნილმა ელდარმა დაუფრთხო. ისე ჩაუქროლა, ვერც შენიშნა მოაჯირთან მდგარი ექიმი. ათიოდე წუთში მას კოკო მიჰყა, მხარზე გადაკიდებული ზურგჩანთით.
სერგი გაოგნებული მიაჩერდა უცნაურ მსვლელობას. თავში ფანტასტიკურმა აზრმა გაუელვა: ამ ორმა მოკლა დიმიტრი და ახლა ადგილიდან მიმალვას ცდილობს. ვინ იცის, ბარმენის ხაკის ზურგჩანთაში ჟურნალისტის მოჭრილი თავი ლაყლაყებს? სერგის სუნთქვა შეეკრა, მკვეთრად მოტრიალდა და ტორეადორის ხარივით ეძგერა სამზარეულოს კარს.
დიმიტრი ძნელაძე, ვითომც არაფერი, იატაკზე ჩაცუცქულიყო და დაკონკილ პაპირუსს ჩაჰკირკიტებდა, სადაც თავს იწონებდა იზიდა მთელი თავისი ღვთაებრივი ატრიბუტებით.
_ აი, საწოლის ქვეშ ვიპოვე. _ ახარა დიმიტრიმ და თითით მოსინჯა თხილისოდენა ნახვრეტი. _ აბა, თუ მიხვდები, რა დანიშნულებას ემსახურება ეს ხვრელები?
სერგიმ თავი გააქნია. რა დროის ხვრელებია, ლამის ცოცხლად მოკვდა.
_ იმიტომ, რომ სარკეში ანარეკლის სახით გამოჩნდეს.
_ რომელ სარკეში?
_ რომელიც მე-4 კაიუტაში ჰკიდია. იქ, სადაც სახლობენ პატივცემული დიანა კაკაბაძე და დემურ ამაღლობელი. _ აუხსნა დიმიტრიმ. _ დააკვირდი, ეს შედევრი ადამიანის სიმაღლისაა, სარკის ზედაპირზე მისი დამაგრება დიდ პრობლემას არ წარმოადგნს, ალაგ-ალაგ ნახვრეტების გაკეთება, მით უმეტეს. გახსოვს, დემურმა რომ ისტერიკა დაიმართა ხილვებთან დაკავშირებით? მაშინ სარკეზე შეხებისას თითები გამეწეპა და ემულსიის მაგვარი სუნი ვიგრძენი. წარმოიდგინე, სერგი, სიბნელეში რა ეფექტი ექნება სარკეზე გაკრულ იზიდას? გარედან თუ მთვარის შუქი ურტყავს, ხო საერთოდ... ჯიბეში ჩაისვამს ნებისმიერ იმპრესიონისტს.
სერგი თანდათან მოდიოდა აზრზე, დდიმიტრის გვერდით ჩაიკუზა, საჩვენებელი თითით ქაღალდის ფაქტურა შეამოწმა, ნახვრეტები მოსინჯა:
_ ვითომ კოკოს გაკეთებულია?
_ მარტო ვერ მოახერხებდა. აქ მთელი ბანდა მუშაობს.
_ კალვერას ბანდა.

_ კრისიც გვყავს, რამე რომ იყოს! _ გაეცინა დიმიტრის.
_ ვინ კრისი, კაცო?
_ ვინ და ავიაციის ინჟინერი.
_ ისე, მართლა ჩამოჰგავს. მაგრამ რა შუაშია?
_ მაგას გავარკვევთ.
დიმიტრი პაპურუსის ქაღალდის დახვევას შეუდგა. უცებ უკანა მხარეს დატანილი დამღა შენიშნა, სადაც მითითებული იყო მაღაზიის მისამართი. გამოდის, პაპირუსი შარმ-ელ შეიხშია ნაყიდი. ძალიან კარგი, შორს წასვლა არ მოუწევთ. ამ ზომის პაპირუსი იშვიათობაა და ფასიც კარგი ექნება. გამორიცხულია, გამყიდველს მყიდველი არ ახსოვდეს. ის მაინც ეცოდინება, უცხოელია თუ აქაური, ქალია თუ კაცი, ან როდისაა ნაყიდი, ქართველების ჩამოსვლამდე თუ მერე.
_ ჰო, მართლა, რუსიკოს დღიური მიუგდეს. _ გაახსენდა სერგის და დდიმიტრის რეაქციას აელოდა.
ჟურნალისტს დიდად გაკვირვებია.
_ ისევე, როგორც დონარა მიხაილოვნას, პროთეზი. მდაა, დაგვცინის, მწარედ დაგვცინის იზიდა ამონოვნა. _ თქვა ხალისიანად და დამტვერილი მუხლისთავები დაიფერთხა.
_ დროზე ავიწიოთ აქედან, სანამ კოკო დაგვდგომია თავზე. _ სერგიმ.
დიმიტრის ღიმილი ჩამოერეცხა. შუბლი მოისრისა, თითქოს არასასურველი ინფორმაციის წაშლა სურდა. უნებლიეთ მოსმენილი სხვისი საიდუმლო მასთან უნდა დამარხულიყო. არადა, სიამოვნებით მოიფხანდა ენას. კოკოს ხელთათმანებზე ზურგსუკან ყველა ჭორაობდა.
_ არ დაგვადგება. _:·ამოიოხრა დიმიტრიმ.
_ რატომ?
_ აგერ, გასაღებებიც დაუტოვებია. _ დიმიტრი სერგის ყურადღების გადატანა მაგიდაზე დაგდებულ გასაღებების აცმასზე სცადა. _ გამოსაჩენ ადგილზე... მოდი, ეს პაპირუსი დროებით აქ შევინახოთ, ჩვენ კი კაიუტებს შევესიოთ.
_ რუსიკოს დღიური ადგილზეა, სხვის ნომერში რაღა დამრჩენია?
_ ამ ლოგიკით, მე საერთოდაც ფეხი ფეხზე უნდა შემომედო და ჰაერში მესტვინა.
_ ეგეც მართალია. _ იუხერხულა სერგიმ. _ კაი, დროზე წავიდეთ, თორემ გამიგიჟდება რუსიკო.
_ არა, თუ გინდა, დარჩი... _ გაიპრანჭა დიმიტრი.
_ გეწყინა?
_ გეკადრება?
        როგორც იქნა, სამზარეულოდან გაეტიენ.
        პირველ რიგში მე-4 კაიუტას მიადგნენ. ყოველ შემთხვევაში, დააკაკუნეს. სიჩუმე. დიმიტრიმ საქმეში გასაღები გაუშვა.
საეჭვო კაუტა თითქმის ცარიელი დახვდათ, თუ არ ჩავთვლით დემურის ტყავის ჩემოდანს და კარადაში ობლად ჩამოკონწიალებულ მამაკაცის პერანგებს. სერგიმ ხმამაღლა დაუსტვინა:
_ დიკო დამტყდარა.
_ მასეთი პირი უჩანს. _ დაუდასტურა დიმიტრიმ და საბაზანოს კარი გამოაღო. პირსაბანის ოვალურ სარკეს პომადიანი ტუჩების ანაბეჭდი ამშვენეებდა. ე. წ. გამოსამშვიდობებელი კოცნა. სულ ეს იყო, რაც დარჩა თავქარიანი ქალიშვილისგან.
_ ეს დიკო და კოკო შეყვარებულები ხომ არ არიან? _ ივარაუდა სერგიმ.
_ შეყვარებულების რა გითხრა, მაგრამ შეკრულებს გვანან.
_ ნეტავ ის ბედოვლათი გამგებელი საქმის კურსშია?

_ თუ არ არის, მალე იქნება. შემდეგი.
მე-6 კაიუტაში, სადაც ალი და ვანო სახლობდნენ, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს და ფართხაფურთხით გადაინაცვლეს მე-2 კაიუტაში.
აქ ყველაფერი ძველებურად დახვდათ. უბრალოდ ინგლისელი ბაბუის ბოლო ვარიაცია ფრიდონს ტუმბოს უჯრაში პირუკუღმა ჩაეგდო. პროტესტის ნიშნად. სხვა, მეტ-ნაკლებად ხელმოსაკიდი ნივთი, რომელიც შეიძლება კვანძის გახსნაში დახმარებოდათ, აქ არ აღმოჩნდა.
იგივე სიტუაცია იყო დონარა ასათიანის კაიუტაში. პრინციპში, დონარას არაც განიხილავდნენ ეჭვმიტანილად.
დარჩა გოკა ზნამენსკი. ნაციონალური ჩამოსხმის კოვბოი მე-5 პალატიდან. ავიაციის ინჟინრის პირობაზე გოკას გარდერობი მეტისმეტად ბრენდულად გამოიყურებოდა. `ვერსაჩეს~, მაისურები, `რიბოკის~ ბოტასები, `კიტონის~ შორტები, `დურექსის~ პრეზერვატივები...
დიდი ამბავი! შავი დღისთვის დიმიტრიმაც წამოიყოლა ერთი შეკვრა პრეზერვატივი, მაგრამ ერთადერთი ობიექტი ვისზეც შეიძლებოდა შეკვრის საქმეში გაშვება, დიკო იყო და ისიც ერთის მაგივრად ორ კაცთან იწვა.
თუ სამთან? იქნებ ბისექსუალმა კოკომ ორივე მუტრუკს გადაუჯოკრა და დიკოსთან ერთად დაითესა? დიკომ შეიძლება არაფერი იცის მისი ავადმყოფობის შესახებ, სრულიად ქვეყნიერებაზე განაწყენებული კოკო კი მოქმედებს პრინციპით: ჩემს მერე წყალს წაუღია ყველაფერი. როგორც სერგის მიერ მოყოლილ ისტორიაში.
_ ეს რა არის? _ სააბაზანოდან სერგის დამაინტრიგებელი შეძახილი მოისმა.
დიმიტრიმ კარადის უჯრა შესწია, მაგრამ ისევ გამოაღო. რაღაც დახვეული ნაჭერი მოხვდა თვალში. გაშალა. მართკუთხა ხელნაკეთი ნოხი აღმოჩნდა. წითელი ბახრამით ერთ-ერთ გვერდზე. ამ ტიპის ნოხებს მუსულმანები ლოცვისთვის იყენებენ. სად გოკა, სად ლოცვა? მით უფრო მუსულმანთა წესით. სხვას თუ დარჩა.
_ დიმიტრი, სად დიკარგე?
დიმიტრიმ უჯრა შესწია და სერგისთან გაჩნდა, რომელსაც ხელისგულზე ციცქნა კოლოფი დაედო და გაკვირვებული უყურებდა მის შიგთავს.
_ ლინზები. _ ჩაილაპარაკა დიმიტრიმ. _ ცისფერი...
_ ვითომ გოკასია?
_ ჩემი არ არის.
_ რაში სჭირდება?
_ ნამდვილი ფერის დასამალად. აი, რაში.
გაჩუმდნენ. დიმიტრის გონებაში ალის ალეწილი ლოყები ამოტივტივდა, როცა გოკამ 500 დოლარის საფასურად საინტერესო ამბის მოყოლა სთხოვა. ალი და თევზი, ვანო და თევზი, ზაქარია და თევზი...
სადღაც კარი გაბრახუნდა. სერგი და დიმიტრი ერთიმეორის მიყოლებით გამოცვივდნენ კაუტიდან და პირდაპირ დემურ ამაღლობელს შეეფეთნენ. საბრალო გამგებელი საკუთარ თავს არ ჰგავდა: ყალყზე შემდგარი თმა, გადმოკარკლული თვალები, აფორაჯებული სახე და ამ ფონზე უცხო სხეულივით გაშვერილი სანთლისფერი ცხვირი. თითქოს მკვდარს მოაძვრეს და ცოცხალს მიამაგრეს.
_ ჩემი დიკო ხომ არ გინახავთ?
დიმიტრიმ და სერგომ სინქრონულად გააქნიეს თავები. დემურმა კი ქოშინით განაგრძო გზა. გოკას კაიუტასთან შედგა, კარის სახელურს დაეჯაჯგურა.
_ დიკო, გამოდი, ვიცი, რომ მანდ ხარ, დიკო... გააღე, ახლავე გააღე, თორემ ჩამოვიღებ კარს, იცოდე! _ დემურმა კარს მუშტები დაუშინა და წიხლიც მიაყოლა.

ამ დროს დერეფანში გოკა გამოჩნდა. არხეინად მოდიოდა, მოსეირნე ნაბიჯებით.... ხელში წყლის ბოთლს მოაქანავებდა. ღამის მიუხედავად მზის სათვალე ეკეთა: შავი რეიბანები. მის დანახვაზე დემურს ყბა ჩამოუვარდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა:
_ დიკო სად არის? _ გამოსცრა კბილებში.
_ მე რატომ უნდა ვიცოდე? _ გაუკვირდა გოკას.
_ არ უნდა იცოდე?
_ არა.
დემურმა მხრები ჩამოყარა, რაღაცნაირად მოტყდა, თითქოს თვალსა ხელს შუა დაბერდა, გაფშეკილი თმაც კი შეუთხელდა.
_ და რატომ ღელავ ასე? არც ისე გვიანაა, ღამის სამ საათამდე ცენტრი გუგუნებს, იქნებ მოვიდეს კიდეც... _ გოკამ ბოთლი მოიყუდა და ხმაურიანი ყლუპებით დალია.
_ მაგარი სიცხეა ხო იცი, ნეტა როგორ ცხოვრობს აქ ხალხი...
_ არა, არ მოვა. _ თავის გაჭირვებას ჩაუღმავდა დემური და ბარბაცით გაუყვა ვიწრო დერეფანს.

_ _ _

მაგიდის ცენტრში დანთებული სანდალოზის სანთელი ვანოს ფიქრისთვის განაწყობდა. ამჯერად ცოლი გაახსენდა. მის ფიქრებში არ იყო მონატრება. არც სიყვარული, არც სიძულვილი. ის მსჯელობდა. ცოლს რიმა ერქვა. ვანოს არ მოსწონდა მისი სახელი, არც მისი გლეხური ხელები მოსწონდა, არც ყოყმანა ხასიათი. უფრო სწორედ, უხასიათობა. რიმას უჭირდა პასუხის გაცემა ელემენტალურ კითხვებზე. ვთქვათ, ზღვაზე დასვენება ურჩევნია თუ მთაში, ყავა ურჩევნია თუ ჩაი, შემწვარი ქათამი თუ მოხარშული... რიმა ქმართან იწვა და ხვალინდელ სადილზე ფიქრობდა: ტოლმა ვაზის ფოთოლში ჯობია თუ კომბოსტოს ფოთოლში. ვანო ამას გრძნობდა და სექსუალურ დაუკმაყოფლობლობას განიცდიდა. თუმცა არასოდეს უფიქრია ღალატზე. აი, ახლა კი ფიქრობდა. ეს ფიქრი რუსუდან ლეჟავას გაცნობისთანავე აეკვიატა. ცალკე რომ დაენახა, ეგებ ზედაც არ შეეხედა, მაგრამ ეს ტანდემი _ რუსუდანი და სერგი _ სულს უფორიაქებდა. ვანოს სერგის ადგილზე უნდოდა ყოფნა. იმდენად უნდოდა, რომ წუხელ დაესიზმრა კიდეც. იმისთანა სიზმარი ნახა, გაღვიძება აღარ უნდოდა, მაგრამ ალი ისე ხვრინვდა, ვანოს სიზმარი კი არა, ალბათ ზღვაში თევზები დაფრთხო. ჩვენშ რომ დარჩეს, ვითომ, რით სჯობს ოხუნჯი ვენეროლოგი მას, ეშხიან მამაკაცს კავკასიური ჰაბიტუსით. არა, ვანოს ასი წელი არ სჭირდებოდა სხვისი ცოლი. უბრალოდ შურდა. ეს არ იყო შავი, ბოღმიანი შური, როცა ადრესატისკენ უარყოფით ენერგიას მიმართავ. ეს იყო ნორმალური მამრის უცნება ისეთივე სასურველი ყოფილიყო თავისი მდედრისთვის, როგორიც რუსიკოსთვის იყო სერგი, ორმეტრიანი ოყლაყი მზეზე დამწვარი ცხვირით. ადამიანი ლომი არ არის, მარტო თავისი გენეტიკის მატარებელი ნაშიერების გამრავლებაზე ფიქრობდეს, ადამიანს მოფერება უნდა, თავზე ხელის გადასმა, შეძახილი, რომ ის კარგია, კეთილი, ნიჭიერი, ერთადერთი და განუმეორებელი... რიმას ეს არ შეეძლო, მისთვის ცოლ-ქმრული ერთგულება იყო ამოსავალი წერტილი, დანარჩენი არ აინტერესებდა, მისი ტვინი ტოლმაზე იყო ორიენტირებული. მთავარია, იმ ტოლმის გასაკეთებელი ფული არ მოკლებოდა. რაც მთავარია, ვანოც რომ თავის ჭკუაზე მოაქცია... ეს ახლა აფხაკუნდა, უსაქმურობის ნიადაგზე, თორემ როდის აქეთია სხვის ქალებს უყურებდა?!
სანთელი დაიწვა, ვანომ მზერა სალონში შეკრებულ ჯგუფზე გადაიტანა.

ყველა შეიკრიბა, დიკოს გარდა. დიმიტრი ძნელაძემ კრება გახსნილად გამოაცხადა და დაიწყო:
_ ბატონებო და ქალბატონებო, ზეგ დილით მივემგზავრებით. ჩვენ განკარგულებაშია ხვალინდელი დღე და დღევანდელი საღამო. ალბათ ყველას აინტერესებს რა ხდება ჩვენ თავს, სად გაქრა ბარმენი კოკო და მოქალაქე დიანა კაკაბაძემ. ვერ დაგპირდებით, რომ დღეს ყველა კითხვას გაეცემა პასუხი, მაგრამ ვეცდები ვიყო თანმიმდევრული... იახტაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოითქვა უამრავი მოსაზრება, მათ შორის, მისტიკური ხასიათის. მე ჩემს ვერსიას მოგახსენებთ...
დიმიტრიმ მრავალმნიშვნელოვნი პაუზა გააკეთა. მზერა კუშტად მჯდარი დემურისკენ გაექცა, მაგრამ თავი აიძულა დროზე ადრე არ გაშიფრულიყო.
_ დავიწყოთ თავიდან. პირველმა, ვინც გვამცნო იზიდას საოცარი გამოცხადების ამბავი, იყო დიკო. ამ ქალმა ყველანი შეცდომაში შეგვიყვანა...
_ მე ის ჩემი თვალის ვნახე! _ წამოიძახა დემურმა, _ იზიდას ვგულისხმობ.
_ როდის ნახეთ, პირველსავე ღამეს?
_ არა, პირველად დიკომ ნახა. მე, მესამე თუ მეოთხე დღეს.
_ დიკომ შეცდომაში შეგიყვანათ. მას კონკრეტულად თქვენი შეშინება სურდა, ზოგადად კი პანიკის დათესვა მგზავრებს შორის.
_ ე. ი. ვიტყუები, არა?
_ არა. დიკოს პირველ ღამეს არაფერი უნახავს. ეს იყო ელემენტალური ტყუილი. ხოლო ის, რაც ნახეთ თქვენ, კარგად დადგმული ფარსი. _ ამ სიტყვებით დიმიტრიმ სამზარეულოში ნაპოვნი პაპირუსი დააძრო და ყველას თვალწინ გაშალა. _ ეს არის თქვენი მოლიცლიცე მოჩვენება?
საზოგადოება პირდაბჩენლი მიაჩერდა დაკონკილ პაპირუსს იზიდას გამოსახულებით.
_ ამ ნახატს არაჩვეულებრივი ეფექტი აქვს სიბნელეში. თუ სარკეზე გავაკრავთ და შუქებს გამოვრთავთ, სრულიად შესაძლებელია ახალგაღვიძებულმა ადამიანმა ცოცხალივით აღიქვას. დემურ, შეგახსენებთ, რომ იმ ღამეს გაურკვეველი მიზეზით გაგეღვიძათ და პირველი, რაც დაინახეთ, იყო სარკესთან მდგარი იზიდა. რა ხდება მერე... თქვენ და დიკო დაზაფრულები ტოვებთ კაიუტას და დახმარების სათხოვნელად გამორბიხართ მე-6 კაიუტაში. მაშინ, როდესაც გაცილებით მარტივი იყო გაგეღვიძებინათ კარის მეზობელი. ამის ნაცვლად თქვენ აკეთებთ წრეს, შედიხართ იახტის მარცხენა ფრთაში და რატომღაც მე და ელდარს გვიკაკუნებთ. სად არის აქ ლოგიკა? დიდი ეჭვი მაქვს, გრძელ გზაზე დიკომ დაგაკვალიანათ.
_ დავუშვათ. _ ნიშნის მოგებით დაეთანხმა დემური.
_ და რაში სჭირდებოდა ეს ფანდი?
_ ხო, რაში სჭირდებოდა?
_ დროის გასაყვანად. მას სჭირდებოდა დრო კაიუტაში დასაბრუნებლად და ნივთმტკიცების, ანუ პაპირუსის გადასამალად. რომ მოგვიანებით, ყველასთან ერთად განეხილა მორიგი სასწაული. ტირილი დერეფნის ტალანებში ინსპირირებული იყო, როგორც სხვა დანარჩენი.
დემური გულისგარეთ უსმენდა. ნუთუ დასრულდა მისი ბედნიერი დღეები, ნუთუ ამიერიდან ვერასოდეს ნახავს დიკოს, თვალებში არ ჩახედავს, ხერხემლის მალებს არ დაუკოცნის, მის გვერდით არ გაიღვიძებს... ნუთუ მისი ცხოვრება ისეთივე ნაცრისფერი გახდება, როგორც დიკოს გამოჩენამდე? რა საშინელებაა...
_ რა ვითარებაში გაიცანით დიკო? _ ჟურნალისტის შეკითხვამ დემური რეალობაში დააბრუნა. ძლივს ასწია ტყვიასავით დამძიმებული ქუთუთოები.
_ რაში გაინტერესებთ?

_ ვფიქრობ, შემოგზავნილია.
_ საკმაოდ ორაზროვან ვითარებაში გავიცანი. ოღონდ არ მკითხოთ სად და როგორ, ჩემი უბედურებაც მეყოფა.
_ ანუ, უშვებთ, რომ გაცნობაც ინსპირირებულია.
დემურმა უსიტყვოდ დაუქნია თავი. დიმიტრიმ განაგრძო:
_ აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მტერი გყავთ. უჩინარი მტერი, რომელიც ცდილობს სულიერად გაგტეხოთ. მან ჯერ დიკო მოგიგზავნათ, მერე კი ეს კრუიზი ჩააწყო, რომ პირადად დამტკბარიყო თქვენი დამცირებით.
_ დაუჯერებელია.
_ მაშინ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ლატარეა ორივემ მოიგეთ?
_ მე არ მომიგია, დიკომ მოიგო. მერე მივიდა სააგენტოში და სპეციალურად ჩემთვის იყიდა საგზური.
_ დიმიტრი, ვერ გავიგე საით მიგყავს? ეგრე ჩემს ოჯახზეც ორი საგზური გათამაშდა. რა მოხდა მერე? _ იკითხა სერგიმ.
_ თქვენამდეც მოვალ, პატივცემულო ექიმო, ჯერ ამ ბატონის თემა ამოვწუროთ. _ დიმიტრი ისევ დემურს მიუბრუნდა. _ მაინტერესებს, მიაქციეთ თუ არა ყურადღება ნახატს თქვენს კაიუტაში?
_ ზეპირად არ შემისწავლია, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს. თუ არ ვცდები მწვანესახიანი ტიპია ნამგალა წვერით. კიდევ სასწორი... სასტავი დგას კიბეზე...
_ ეს `ტიპი~ ოსირისია, `სასტავი~ _ გარდაცვლილთა სულები განაჩენის მოლოდინში.
_ მე რა კავშირში ვარ ამ ნახატთან?
_ ვიღაც თვლის, რომ ხართ. მინიშნება მოგცათ მოგცათ, მაგრამ თქვენ იგნორირება გაუკეთეთ. იგივე შეიძლება ითქვას ბატონ ელდარზე.
ელდარი ადგილზე შეხტა. არ ეგონა, ასე მალე თუ დადგებოდა მისი ჯერი. მეტიც, ამ გარჩევაში თავს მაყურებლად თვლიდა და სეირისთვის იყო განწყობილი. რა ნახატი? რას მიედ-მოედება ეს არამკითხე ჟურნალისტი?
_ თქვენს საწოლთანაც იგივე ნახატი ჰკიდია, _ აუხსნა დიმიტრიმ. _ დემურის არ იყოს, თქვენც ვერ ახსენით მისი სიმბოლური დატვირთვა.
_ ერთი წუთით, ერთი წუთით... _ საქმეში ჩაერია რუსიკო. _ არ მესმის, რის საფუძველზე ამახვილებთ ყურადღებას სურათებზე?
_ მათი შინაარსის საფუძველზე. ადამიანებს, ვისაც თევზი უკიდიათ, ინკოგნიტო რეჟისორი არაფერს ერჩის. თევზი, მოგეხსენებათ, დუმილის სიმბოლოა. ასწიეთ ხელი ვის საწოლთანაც თევზია.
ზაქარიამ, ალიმ და ვანომ ბეჯითი მოწაფეებივით ასწიეს ხელები.
_ ძალიან კარგი. სხვისი საიდუმლოს შენახვა მოძღვრის პირდაპირი მოვალეობაა, აქედან გამომდინარე, მამაოს ახსნა-განმარტებას ვერც შევბედავ. გადავდივარ ალიზე. _ დიმიტრი თვალებად ქცეულ ალის გამამხნევებლად გაუღიმა. _ შენ იცი რაღაც საიდუმლო...
_ არაფერიც არ ვიცი! _ გააწყვეტინა ალიმ. _ ერთი უბრალო კაცი ვარ, ჩემთვის ვცხოვრობ, არავისთვის არაფერი დამიშავებია.
_ ალი, არავინ გაძალებს საიდუმლოს გამხელას. უბრალოდ მიპასუხე: იყო თუ არა შენ ცხოვრებაში რაღაც ისეთი, რაც არასდროს, არავისთვის გითქვამს. ან გიბრძანეს, რომ არ გეთქვა. იყო თუ არა?
ალიმ პირი მომუწა და ჯიუტად გააქნია თავი. აშკარად იყო, მაგრამ ისე მიამიტად, ისე კომიკურად ტყუოდა, დიმიტრის შეეცოდა და ვანო თელიას მიუბრუნდა:
_ თქვენ?

_ ძალიან მნიშვნელოვანი მართლა არაფერი მახსენდება. _ გულწრფელად უპასუხა ვანომ. _ შეიძლება იყო კიდეც რაღაც, მაგრამ ისეთი წვრილმანია, სათქმელად არ ღირს. თუ თქვენს ლოგიკას მივყვებით, აქ იმდენად საიდუმლოს არსში კი არ არის საქმე, რამდენადაც ამ საიდუმლოს შენახვაში.
_ მაგარი ლოგიკაა, ჩემმა მზემ! _ ეწყინა ფრიდონს. _ გამოდის, ამ სამი კაცის გარდა, ყველანი ცოდვილები ვართ და ვერ გაგვიგია?! მე ამას ასე არ დავტოვებ, თბილისში ჩასვლისთანავე გავარკვევ, რას წარმოადგებს და რითი სუნთქავს ტურ-სააგენტო `გეო~, რომელიც დასვენების ნაცვლად გამოცდას უწყობს პატიოსან ტურისებს.
_ არავითარი სააგენტო `გეო~ არ არსებობს. _ გამოაცხადა დიმიტრიმ. _ მან შეასრულა დაკისრებული ფუნქცია, დაგეგმა ეს კრუიზი და დაიშალა.
_ როგორ თუ დაიშალა? რატომ? _ გაისმა კანტი-კუნტად.
_ არც სააგენტო არსებობს და არც ავიაციის ინჟინერი გოკა ზნამენსკი. _ ხმას აუწია დიმიტრიმ, რომ გაკვირვებული შეძახილები დაეფარა. _ ყოველ შემთხვევაში, ქალაქ თბილისში ასეთი პიროვნება არ არის რეგისტრირებული.
ყველამ ბარისკენ გაიხედა, იქ სადაც რამდენიმე წუთის წინ ზემოხსენებული გოკა ლუდს წრუპავდა. ცისფერთვალა კოვბოი სადღაც გაპარულიყო, ბარის დახლზე კი ფოტოსურათები ეყარა. უფრო სწორედ, ფოტომონტაჟი. ფრიდონის ბაბუის პორტრეტის პირველი, მეორე და მესამე ვარიანტი. პირველ სურათზე ინგლისელი დენდივით გამოწყობილ ბატონ ყარამანს ხელში ქოლგა ეჭირა, მეორეზე _ ანდრია პირველწოდებულის ორდენი, მესამეზე არაფერიც არ ეჭირა. სამი თითის კომბინაციას აჩვენებდა. ეს ჟესტი სხვა არაფერია, თუ არა ირიბი მინიშნება, რომ ფოტოებთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ხუმრობა იყო. ბოროტი ხუმრობა, მაგრამ მაინც. რაში დასჭირდა გოკას ეს ყველაფერი ან ბოლოს რატომ გაიშიფრა თავი, საიდუმლოდ რჩებოდა.
_ ესეც გამოსამშვიდობებელი სიურპრიზი ბატონი გოკასგან. _ დიმიტრიმ ფოტოები ფრიდონის წინ, მაგიდაზე დადო. _ რას იტყვით?
_ ვიღაცას ჩემი გაგიჟება უნდოდა, უბრალოდ არ მესმის, რა დავუშავე... ან ბაბუაჩემი რა შუაშია, ან ეს ორდენი? _ ფრიდონს ხველა აუტყდა, თვალი რუსიკოს მიმართულებით გააპარა, რომელიც შუბლშეჭმუხნული იცქირებოდა ერთ წერტილში.
ორდენის ხსენებაზე ვანო თელია გამოცოცხლდა, სკამიდან წამოიწია, მაგიდაზე გადაიხარა:
_ ეს ანდრია პირველწოდებულის ორდენია! _ წამოიძახა აღტაცებულმა. _ ამ ორდენმა ჩემს ხელში გამოიარა.
ყველამ ვანოსკენ მოღრიცა კისერი.
_ ამ ორდენმა ჩემ ხელში გამოიარა. _ დაბეჯითებით გაიმეორა ვანომ. _ სწორედ ამან და არა სხვამ. ერთი ალმასი გაფუჭებული ჰქონდა, ზუსტად ისე, როგორც აქ, ამ ფოტოზე.
_ უკაცრავად, თქვენთან როგორ მოხვდა? _ ძლივს გასაგონად ჰკითხა რუსიკომ.
_ კლიენტმა მომიტანა, ალმასი ჰქონდა გაფუჭებული და გამოცვლა უნდოდა. სამწუხაროდ ვერ მოვასწარი, კლიენტი მოულოდნელად გარდაიცვალა.
დიმიტრის ხელისგულები გაუოფლიანდა. ასე ახლოს არასოდეს ყოფილა კვანძის გახსნასთან.
_ ვინ არის კლიენტი, ვანო?
_ ვინაობის დასახელება არ შემიძლია. პროფესიონალური ეთიკა სიჩუმეს მავალდებულებს, მით უფრო, საქმე უნიკალურ ექსპონატს ეხება.
_ აკი, მკდარიაო? _ შემპარავად ჰკითხა ფრიდონმა.

_ ის მკვდარია, მაგრამ მისი ქვრივი ცოცხალია. როგორც კი კლიენტის გარდაცვალების შესახებ შევიტყვე, მას დავუკავშირდი და ორდენი გადავეცი.
_ მაპატიეთ, ვანო, ვერ გიცანით...
კისრები ამჯერად რუსუდან ლეჟავას მიმართულებით მოიღრიცა. ყველაზე კისერმოღრეცილად სერგი გამოიყურებოდა. ისე უყურებდა საკუთარ ცოლს, თითქოს პირველად ხედავდა.
_ მე გახლავართ ის ქვრივი. _ დააზუსტა რუსიკომ.
_ თქვენ? _ ვანო დაიბნა. შეუძლებელია, ეს ქალი დავიწყებოდა. ეს თვალები, სახის ოვალი, ტუჩები...
_ რა გასაკვირია, რომ ერთმანეთი ვერ ვიცანით, _ სუსტად გაიღიმა რუსიკომ. _ მაშინ დარდისგან ისეთი გამხდარი ვიყავი, თქვენ კი არა, დედაჩემი ვერ მცნობდა. რაც შეეხება ორდენს, მე ის აღარ მაქვს. იმ მარტივი მიზეზით, რომ ბატონ ფრიდონს მივყიდე.
პროფესორმა თავი მხრებში ჩამალა. წვერი უცახცახებდა.
_ უკაცრავად, _ ალუღლუღდა ვანო, _ მართლა ვერ გიცანით... თავშიც არ მომსვლია... ის ქალი ძალიან მოტეხილი მეჩვენა.
_ რას იზამ, დრო ყველაფრის მკურნალია. ნუ მებოდიშებით, ვანო, თქვენ თავისუფლად შეგეძლოთ ორდენის მითვისება, მაგრამ ეს არ გააკეთეთ, რისთვისაც მადლობა მომიხსენებია. თქვენი საქციელი გმირობის ტოლფასია... _ რუსიკოს ხმა გაებზარა. ტუჩების კანკალზე ეტყობოდა, სადაცაა ტირილი წასკდება. _ თქვენის ნებართვით დაგტოვებთ. სერგი, გამაცილე...
სერგი მზადყოფნით წამოხტა, მაგრამ წყვილის წასვლა დემურ ამაღლობელმა გააპროტესტა:
_ ბატონებო, ერთი წუთით, თუ შეიძლება... ქალბატონო რუსუდან, პირადად მე არანაირი შეხება არ მაქვს ორდენის ყიდვა-გაყიდვასთან. პირველად გავიგე მისი არსებობის შესახებ. მაგრამ ის უჩინარი მტერია თუ უჩინმაჩინი მეც მერჩის! ამას როგორღა ახსნით?
_ არ მაქვს ახსნა. მეც გაურკვევლობაში ვარ.
_ ერთი წუთით, ერთი წუთით... _ დემური საქმიანად წამოხტა სკამიდან და ცოლ-ქმარს აესვეტა. _ თქვენ იმ ადამიანის ქვრივი ბრძანდებით, ვისი ვინაობის დასახელებას ერიდება ე.წ. თევზი ვანო თელია. ბოლოს და ბოლოს, რა არის დასამალი, გაგვიმხილეთ მისი ვინაობა, იქნებ როგორმე დავკვალიანდეთ.
რუსიკო თვალებით სერგის დაეკითხა, თანხმობა მიიღო და ხმამაღლა, გარკვევით თქვა:
_ დავით წერეთელი.
მიტრიალდა და წავიდა. მას არ დაუნახავს, როგორ გამწვანდა დემურ ამაღლობელი, როგორ შეკრთა ალი ამოევი, როგორ გადაიწერა პირჯვარი მოძღვარმა ზაქარიამ. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი დაინახა დიმიტრი ძნელაძემ და სათანადო დასკვნებიც გამოიტანა.

_ _ _

იმ ღამეს დიმიტრის თვალი არ მოუხუჭავს. არ ეძინა ელდარსაც. მათი ფიქრები გოკა ზნამენსკის გარშემო ტრიალებდა. ვინ არის იდუმალი ავიაციის ინჟინერი და რა კავშირი აქვს მას გარდაცვლილ დავით წერეთელთან? სიტყვის დასველებას ორივე მხარე ერიდებოდა, ელდარს ეშინოდა კოკოზე არ წამოცდენოდა რამე, თავის მხრივ, არც დიმიტრი იწოდა კარტის ბოლომდე გახსნის სურვილით. ერთი ცხადია _ ალიმ და მამა ზაქარიამ რაღაც იცის, მაგრამ ცოცხალი

თავის არ გატყდებიან. არ გატყდება დემურიც, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. ელეთ-მელეთი მოუვიდა დავით წერეთლის სახელის გაგონებისას. გამოდის, იცნობდა. ქმარს იცნობდა, ცოლს _ არა.
დიმიტრიმ სიბნელეში გამკრთალ სურათს გახედა. თუკი დავუშვებთ, რომ ლოტოსი ნეიტრალურს ნიშნავს, გაუგებარია, რა დაჰკარგვიათ სპეც იახტაზე მას და დონარა ასათიანს? ისეთი პირი უჩანს, კიდევ ერთი ზარის გაშვება მოუწევს თბილისში. მაგრამ ვიდრე უშიშროება დავით წერეთლის იდენტიფიკაიას მოახდენს, გამგზავრების დროც მოვა. თბილისი შორია, შარმ ელ შეიხი კი ყურის ძირში. პაპირუსების რამდენი მაღაზია შეიძლება იყოს ერთი ხელის დადება კურორტზე? სამი, ოთხი, გაწი-გამოწიე ხუთი. დილიდანვე შეუდგება შემოწმებას.

_ _ _

დილაუთენია იახტაზე კოკოს შემცვლელი გამოცხადდა. ახალგაზრდა შავტუხა არაბი სახელად ოზი. ის რამდენიმე საქმეს ერთდროულად კეთებდა: სუფრას შლიდა, ჩაის ასხმდა, ყავას ადუღებდა და შეუჩერებლად ლაპარაკობდა თავისი დამტვრეული ინგლისურით:

_ პირველად ვემსახურები ქართველებს, რატომღაც მეგონა ავღანელებს ჰგავდით, თქვენ კი ესპანელებივით გამოიყურებით. მადამ, რატომ არაფერს მიირთმევთ?

დონარამ დიმიტრის მხარი გაჰკრა:

_ უთხარი, დამანებოს თავი, დამადგა თავზე მშობელ დედასავით...

_ გადაიღეთ რამე, ქალბატონო დონარა, თორემ ოზის ეწყინება.

_ ცივი წყალი დალიოს. დედა, რა დღეში ვართ? თვალი არ მომიხუჭავს მთელი ღამე. სამოგზაუროდ წამოვედი ჩემი ჭკუით. რას ვიფიქრებდი ჩემი უბადრუკი თავშესაფარი თუ მომენატრებოდა?! მართლია პროფესორი: უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია.

_ ხვალამდე მოითმინეთ, ქალბატონო დონარა. ხვალ უკვე სამშობლოში ვიქნებით. _ დაამშვიდა ვანომ, რომელიც მადას არ უჩიოდა. რაც დაჯდა, პირი არ გაუჩერებია. მთელი სუფრა გადაჭამა. მაშინ, როცა დიმიტრიმ ძლივს გადაყლაპა ერთი მოხარშული კვერცხი და ისიც ყელზე ედგა.

_ მე კი ვიქნები, მაგრამ ის ორი კაცი რომ გვაკლია, რა გულით ჩავჯდე თვითმფინავში? მატყუარაა თუ რაცაა, დიკო ახალგაზრდა ქალია, ჩვენიანი, იქნებ ჰქონდა მიზეზი? ჩვენ ხომ ყველაფერი არ ვიცით...

დემურს ლუკმა გადასცდა. დიმიტრიმ მხრზე ხელი დაჰკრა დ წასასვლელად მოემზადა.

_ ბატონებო, მე ორიოდე საათით დაგტოვებთ. იმედია, ახალ სიურპრიზებს არ დამახვედრებთ.

_ მეც წამოგყვები. _ თავი გამოიდო სერგიმ.

_ შენ აქაურობას მიხედე.

_ დარწმუნებული ხარ?

დიმიტრი თავის დაკვრით შემოიფარგლა და უკნმოუხედავად დატოვა სალონი.

_ საით გაგიწევია? _ დააწია დონარამ, მაგრამ ადრესატი უკვე ხმელეთზე იყო.

ყურიდან ცენტრამდე ფეხით მისვლაც შეიძლებოდა, მაგრამ დიმიტრი რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ მიხვდა: ტროპიკულ სიცხეს მისი ორგანიზმი ვერ გაუძლებს. მართალია უდაბნოს მხრიდან ნიავი უქიქინებს, მაგრამ თან მოაქვს ქვიშა. ასეთ დროს თავმოყვარე ეგვიპტელები სახლში სხედან და მზის ჩასვლას

ელოდებიან. რომ მერე სიგრილეში გამოეფინონ, თავიანთი ჩილიმებით, ნარდით, ჩაით, თხილეულით.
დიმიტრიმ ტაქსი დაიჭირა. პირველ რიგში ქალაქის ცენტრს მოინახულებს, იქ საფეხმავლო ხეივნის გასწვრივ რამდენიმე მსხვილი სავაჭრო ობიექტები და უამრავი წვრილ-წვრილი მაღაზიაა ადგილობრივი ნაწარმით.

ის იყო, ტაქსიდან გადმოვიდა, რომ ელიტური სავაჭრო ცენრის შესასვლელთან ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი. დიკო იყო. საკუთარი პერსონითა და `ზარას~ შავი პარკით ხელში. სახის დანახვა ჭირდა, რადგან თავზე ფართოფარფლიანი ფეტრის ქუდი დაეკოფსებინა, მაგრამ ერთი ხელის დადება კაბიდან გამომკრთალი გრძელი ფეხები ნამდვილად მისი იყო.
დიმიტრი აედევნა. ქალაქის ცენტრში ამ დროს არცთუ დიდი ხალხმრავლობაა. აქაურობა საღამოობით ცოცხლდება ხოლმე, მზის ჩასვლის მერე კი აქტიურ ფაზაში შედის. დიმიტრის უჭირდა ლავირება კანტიკუნტად მოარულ ადამიანებს შორის. საბედნიეროდ, დიკოს არც ერთხელ არ მოუხედავს. არხეინად მიირწეოდა, სულ ფეხებზე ეკიდა იახტაზე დატოვებული საყვარელი.
დიმიტრის ვარაუდი, რომ ქალიშვილი რომელიმე ფეშენებელურ სასტუმროში შეუხვევდა, არ გამართლდა. დიკომ სანაპირო ზოლზე განთავსებულ პუნქტებს მხარი უქცია და გეზი ქალაქის სიღრმისკენ აიღო, სადაც იწყებოდა კერძო ვილები. დიმიტრი ნაბიჯი შეანელა. იწყებოდა სახიფათო ზონა. პრაქტიკულად ცარიელ ქუჩაზე ძნელი იყო ვინმეს ზურგსუკან დამალვა. `ზურგის~ ფუნქციას ტროტუარზე ჩამწკრივებული პალმები ასრულებდა. ახალგაზრდა პალმები იყო, დაახლოებით ადამიანის სიმაღლის. ეტყობა, ახალი უბანია, ვერ მოასწრეს გაზრდა. ვილების დიზაინშიც უფრო თანამედროვე შტრიხები ჭარბობდა. თუმცა დიკო აღმოსავლური გემოვნებით აშენებულ ვილასთან შეჩერდა. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევიდა კარიბჭეში და ფერადი კენჭებით მოკირწყლულ ბილიკს გაუყვა.
დიმიტრი გაოგნებული იდგა თეთრ გალავანთან. ვის ეკუთვნის ეს შეიხის შესაშური სრა-სასახლე?
გაზონებს შორის გალაბეაში ჩაცმული მებაღე დაილანდა ფოცხით ხელში. აშკარად კარიბჭისკენ მოემართებოდა. დიმიტრიმ უკან დაიხია. აცალა, ვიდრე მებაღე ვილის ტერიტორიას დატოვებდა და მხოლოდ ამის მერე დაეწია.
_ უკაცრავად, ერთი წუთით...

მებაღე შეჩერდა, ხელი მოიჩრდილა. ასაკოვანი მამაკაცი იყო, პატრიარქალური, ინით შეღებილი წვერით.

_ ვისია ეს სახლი? _ ინგლისურად ჰკითხა დიმიტრიმ.

მებაღემ ვერ გაიგო. დიმიტრიმ ფრანგულად გაუმეორა, მერე რუსულად, მერე დაიბნა. წვეროსანი თავაზიანად უღიმოდა და ხმას არ სცემდა. დიმიტრიმ ხელ-ფეხი და მიმიკა მოიშველია. მებაღე, როგორც იქნა, ჩახვდა კითხვის არსს და ვილის მფლობელად შეიხ-საიდი დაასახელა.

შეიხ-საიდი ის მდიდარი არაბია, რომელიც გოკამ იახტის მეპატრონედ მოიხსენა. რა საქმე აქვს დიკოს მასთან? არა, გასაგებია, რა საქმე შეიძლება ჰქონდეს მსუბუქი ყოფაქცევის ლამაზ ქალიშვილს მდიდარ მამაკაცთან, და მაინც, სად ერეკლე, სად...
როგორც კი მებაღე თვალს მიეფრა, დიმიტრი გალავანზე აძვრა და ეზოში ჩახტა. ჩახტომით ჩახტა, მაგრამ ფეხის გამართვა ვერ მოასწრო. ეზოს სიღრმიდან გიგანტური ზომის შავი როტვეილერი დაიძრა. ჯერ ნელა მოდიოდა, რბილი, გამოზომილი ნაბიჯებით, მერე სიჩქარე განავითარა, მერე ნახტომებზე გადავიდა, მერე კი ჰაერში აიწია...

დიმიტრი გალავანს ეცა, ცალი ფეხის აწევა მოასწრო, მაგრამ წყეულმა ცხოველმა მეორე ფეხში ჩაავლო ბასრი კლანჭები და თავისკენ დაითრია. ხელმოსაჭიდის ძებნაში დიმიტრიმ ამაოდ მოფხოჭნა გალავნის კედელი. დამძიმებული სხეული კატასტროფულად ექაჩებოდა ქვევით.
ბალახებში გაგორდნენ. კაცი და ძაღლი. ვეფხვი და მოყმე. დიმიტრი სულ ახლოს ხედავდა როტვეილერის დაკრეჭილ კბილებს შორის მოცახცახე ვარდისფერ ენას, რომელიც მალე მისი სისხლით შეიღებება! თვითგადარჩენის ინსტიქტი კარნახობდა, რომ უნდა დაიყვიროს, მშველელს უხმოს, იწივლოს, იკივლოს, მაგრამ რომ არ შეუძლია?! ოხ, ეს თანდაყოლილი, ინტელიგენტური კუდაბზიკობა... მასთან სიკვდილიც კი უძლურია. სხვა გზა არაა, უნდა მოახრჩოს ეს მამაძაღლი ძაღლი. ყელი... სად არის ყელი? აგერ. მაგრამ მისი თითებში მოქცევა არც ისე ადვილია, გარშემოწერილობა არ ჰყოფნის.

ღრენისა და ქოშინის ფონზე ტაშის ხმა გაისმა. ძაღლმა თათები მოადუნა, მაგრამ მსხვერპლის გაშვება არც უფიქრია.

_ ყოჩაღ, ჟურნალისტო, ბრავო!

დიმიტრიმ თავი ასწია და გოკა ზნამენსკი დაინახა. გვერდს ურცხვად მომღიმარი დიკო კაკაბაძე უმშვენებდა.

_ გალბა ჩემთან!

ძაღლი მყისვე მოშორდა დიმიტრის ფეხს და პატრონის გარშემო დაბზრიალდა.
_ ერთი მაინც დაგეყვირა, შე კაცო, გინება მაინც არ იცი?! თუ სიკვდილი მოგენატრა?

დიმიტრი წამოჯდა, ნატკენი კოჭი მოისრისა. წარმოსადგენია, რა სანახავია... ნაომარი, დამცირებული, დამარცხებული... ტილოს თეთრი შარვალი მაინც არ ჩაეცვა... გამოიკაზმა, საუდის არაბეთის პრინცივით.

_ ადექი, ადექი, შინ შევიდეთ. _ გოკამ ხელით მისაპატიჟებელი ჟესტი გააკეთა.

დიმიტრის ისღა დარჩენოდა გაჭირვებით წამომდგარიყო და კოჭლობთ გაჰყოლოდა, უთავმოყვარეო ძაღლივით.

_ _ _

`შინ~, რბილად იყო ნათქვამი. დიმიტრი `ათას ერთი ღამის~ ზღაპარში აღმოჩნდა. კედლებზე სრულა იყო წარმოდგენილი არაბული ფოლკლორი. ფეხმორთხმით მჯდარი მრგვალსახიანი მამაკაცები; გადაბმულწარბიანი, მუცელმოშიშვლებული ქალები; ფაკირები, დერვიშები, მებადურები, ჯინები, ქურციკები, ფლორისა და ფაუნის სხვა წარმომადგენლები. ოვალური დარბაზის ცენტრში მოჩუხჩუხე შადრევანი გარეთ მობაბანე სიცხის ფონზე სიგრილის მყუდრო ასოციაციას ქმნიდა. კარის ღიობში დიკოს მოხდენილი ფიგურა გამოიკვეთა. მზის შუქი კეფაში ურტყამდა და რომელიღაც ზღაპრულ პერსონაჟს ამგავსებდა.
_ კაცებო, დალევს რამეს? _ იკითხა შინაურულად.
_ ჯერ არა. _ გოკას არც შეუხედავს, ისე უპასუხა. _ როცა დაგიძახებ, მერე შემოდი. კარი მიხურე და ეცადე, არავინ შემაწუხოს.
დიკოს არ სწყენია, ფრთხილად მიხურა კარი. დარბაზში თითქოს ჩამობნელდა. ლამის ჭერში ჩაშენებული ვიტრაჟიანი ფანჯრები მზის სხვებს ნაკლებად ატარებდა. გოკა შადრევნის მარმარილოს პარაპეტზე ჩამოჯდა და ურცხვი პირდაპირობით შეხედა დიმიტრის. აი, თურმე როგორი თვალები ჰქონია სინამდვილეში. კონიაკისფერი. მოყვითალო ლაქებით. როგორც ვეფხვს.
_ რას იტყვი, დიმიტრი?

_ კარგად მოწყობილხარ.
_ მაგას არ გეკითხები. საერთოდ რას ფიქრობ, რას გკარნახობს ინტუიცია?
_ ინტუიცია მკარნახობს, რომ დავით წერეთელი ცოცხალია და თავს რატომღაც შეიხ საიდად ასაღებს.
_ რატომ მოხდა ასე, ამაზე თუ გიფიქრია?
_ არა, ვერ მოვასწარი.
_ სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო. _ ამოიოხრა გოკამ. მის ოხვრაში არ იყო ჩვეული დამცინავი ნოტი.
_ რა არის სამწუხარო? _ დადარაჯებული ხმით იკითხა დიმიტრიმ.
_ ის, რომ სიმართლე იცი.
_ სიმართლის ცოდნა არასოდესაა სამწუხარო.
_ მაშინაც კი, თუკი ამ ცოდნის გამო სიკვდილი გელის?
დიმიტრიმ თვალი გაუსწორა მის ცივ, უაპელაციო მზერას. ასე იყურებიან დასაგესლად აღერილი კობრები. ნუთუ?
_ მე მელის სიკვდილი? _ მაინც გადაამოწმა.
_ ალაჰია მოწმე, მე ეს არ მინდოდა.
_ ალაჰი? _ გაუკვირდა დიმიტრის. _ ხომ არ მომესმა?
_ არა, არ მოგესმა. მე აღარა ვარ ქრისტიანი, არც ქართველი ვარ. ჩემმა სამშობლომ მოღალატედ გამომაცხადა. ბრიგადის პოლკოვნიკი დავით წერეთელი მოკვდა, მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოზე განისვენებს. ერთადერთი ადამიანი, ვინც სიმართლე იცის, კაი ხანია ცოცხლებში აღარაა. ასე რომ, ძალიანაც ნუ დამძრახავ.
დიმიტრის თვალწინ დაუდგა მე-5 კიუტაში ნაპოვნი სალოცავი ნოხი. აი, თურმე რა დანიშნულება ჰქონია... გამოდის, არ ტყუის ეს ცრუ შეიხი. სამწუხაროდ, არც ხუმრობს. რა გინდა, რომ ჰქნა? მუხლებზე ფორთხიალს ვერ დაიწყებს, შემიბრლეო. არც პირობის მიცემა გაჭრის. რატომ უნდა ენდოს ვიღაც ჟურნალისტს მართლმსაჯულებასთან მწყრალად მყოფი დევნილი? ერთადერთი გამოსავალი დროის გაყვანაა. როგორც ეს ბრძენმა შაჰზარადმა გააკეთა `ათას ერთი ღამიდან~. გამოვა, გამოვა. არ გამოვა და შეძლებისდაგვარად ღირსეულად დახვდება აღსასრულს. ყოველ შემთხვევაში, შეეცდება. სიკვდილი სულაც არაა მხარზე ცელგადადებული ჩონჩხი, რომ დაინახო და გული გაგისკდეს. თუ ფილოსოფიურად მიუდგები, საინტერესოც კია რა გველის იქ: ახალი სუბსტანცია თუ მარადიული სიცარიელე? დიდმა ფიზიკოსმა თქვა: სიკვდილი ძველი ვალივითაა, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გადაიხადო. ბრძენი კაცი იყო ალბერტი ბაბუა.
მეორე მხრივ, დიმიტრის გულწრფელად აინტერესებდა, რა კავშირში იყო მკვდრეთით აღმდგარი დავითი იახტაზე დატოვებულ ექსკურსანტებთან.
_ გეშინია? _ სულ ახლოს გაისმა გოკას შემპარვი ხმა.
თურმე პარაპეტიდან ადგომაც მოეწრო და დიმიტრის ზურგსუკან ატუზვაც.
_ როგორ უნდა მომკლა: კედელზე მიმაყენო, აუზში ჩამახრხო, ძაღლი მომიქსიო...
_ არჩევანის უფლება შენზეა. დრო გაქვს, შეგიძლია მოიფიქრო მეტ-ნაკლებად უმტკივნეულო ვარიანტი. მოდი, ჩამოვსხდეთ. _ გოკამ დაბალ, ლამაზად მოჩუქურთმებულ ტახტზე მიუთითა.
დიმიტრი დაემორჩილა. ხავერდის ბალიშებით შემოჯარულ ტახტზე `უმტკივნეულო ვარიანტებზე~ ფიქრი გაცილებით კომფორტულია.
_ სიკვდილის წინ პატიმარსაც აძლევენ კითხვის დასმის უფლებას...
_ რა თქმა უნდა. _ მზადყოფნით დაეთანხმა გოკა. _ მკითხე რაც გნებავს. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. დრო მოვა, მეც შემოგიერთდები. თუ ჩემი ისტორია ოდნავ მაინც შეგძრავს, იქნებ ადვოკატად დამიდგე მამაზეციერის წინაშე!

_ `ეს ამბავი რომ თვალის უპეებზე ნემსით დაიწეროს, შეგონება იქნება იმისთვის, ვინც შეიგონებს~. _ დიმიტრის ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი გაახსენდა.
რა კარგი იყო, იქ, ბავშობაში, წარმოსახვითი დერვიშებისა და ჯინების სამყაროში. ახლა კი ნამდვილი ჯინი უზის გვერდით. არჩევანის უფლებსაც კი აძლევს, თითქოს სასიკვდილოთ განწირული ადამიანისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მკვლელობის იარაღს.
_ დახლოებით ასეა. _ დაეთანხმა გოკა. _ მაგრამ გახსოვდეს, აღმოსავლურ ზღაპრებს არა აქვს ბედნიერი დასასრული.
_ აკი, მეფე შაჰრიარმა არ მოკლა შაჰზარადი?... ათას ერთი ღამე უსმენდა, უსმენდა, უსმენდა...
_ ჩემი ამბავი მოკლეა. ნახევარ საათში ჩავეტევი. გისმენ.
_ დავიწყოთ, თევზებით: ალი, ვანო, მამა ზაქარია...
_ არა, თავიდან დავიწყოთ...

გოკა-დავითის მონაყოლიდან:
იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბედნიერი ოჯახი. ქმარი, დავით წერეთელი ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა ბრიგადის მეთაურად. ცოლი, რუსუდანი, სახლში იჯდა და ბავშვს ზრდიდა. ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანაში ვითარება შეიცვალა. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი პოლიტიკური ბანაკი: სამთავრობო და ოპოზიციური. დათო, როგორც სამხედრო ჩინოვნიკი, სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა, რაც ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევდა. იყო გადმობრების მცდელობები, მაგრამ ბრიგადის მეთაური პოზიციებს არ თმობდა. შეფის შეხედულებას არ იზიარებდა მისი მოადგილე დემურ ამაღლობელი, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ არსებულ ხელისუფლებას წყალი აქვს შეყენებული და მომავალი ოპოზიციის მხარესაა. დავითს არ აინტერესებდა ვის მხარესაა მომავალი, ის თავის მოვალეობას ასრულებდა და მტკიცედ სწამდა: ჯარი არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ მოვლენებში. ამასობაში, დაპირისპირება მხარეებს შორის გამწვავდა. ქუჩაში მიტინგი ბობოქობდა, ოპოზიცია მთავრობის გადადგომას ითხოვდა, მთავრობა არ იმჩნევდა.
`გადადი ოპოზიციის მხარს და მეც გამოგყვები, შეიგნე, ამათი დღეები დათვლილია!~ 24 საათი ჩასჩიჩინებდა დემური.
დავითი დადარაჯებული უსმენდა. დემურს არასოდეს უმუშავია ძალოვან სტრუქტურაში. ბრძანება მისი დანიშვნის შესახებ ზემდგომი ინსტანციიდან მოდიოდა, იმდენად ზემდგომიდან, რომ მან, არცთუ ისე ხელწამოსაკრავი თანამდებობის პირმა, უარის თქმა ვერ გაბედა. გამოდის, დემური დესანტია, რომელიც ძალოვან სტრუქტურაში გარკვეული მიზნის მისაღწევად ჩანერგეს. ერთხელაც დათოს ნერვებმა უმტყუნა და საკუთარი მოადგილე კინწისკვრით გააგდო კაბინეტიდან. ინციდენტი ამით არ ამოწურულა. ნახევარ საათში გაცოფებული დემური უკან მობრუნდა და დათოს იარაღის მუქარით პოსტის დატოვება მოსთხოვა. კაბინეტში ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რა დროსაც დემურმა თავისი უფროსი დაჭრა. და აქ, დათო მიხვდა: ეს ადამიანი, არც მეტი, არც ნაკლები, მის მოსაკლავად იყო მოგზავნილი. ანუ საკითხი იდგა ასე: ან გადადგომა ან სიკვდილი. ადგა და მეორე სართულის ღია ფანჯრიდან გადახტა. ბედად ტროტუართან მიმდგარ ნაგვის მანქანაში ჩავარდა.
ასე გაიცნო ბრიგადის მეთაურმა დავით წერეთელმა ქურთი მენაგვე ალიხან ამოევი. ალიმ დაჭრილი პოლკოვნიკი შინ მიიყვანა, ჭრილობა შეუხვია, ანტიბიოტიკები ასვა და საიდუმლოს შენახვას დაპირდა.

მოვლენები იმაზე სწრაფად განვითარდა, ვიდრე დათოს წარმოედგინა. ხელისუფლება მოულოდნელად გადადგა, მართვის სათავეები ხელში აიღო ოპოზიციამ. ბრიგადის მეთაური დავით წერეთელი სამშობლოს მოღალატედ სცნეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს. მისი პოსტი დემურ ამაღლობელმა ჩაიბარა. გადაწყდა: დათო წერეთელი უნდა მომკვდარიყო. ასე სჯობდა მისთვისაც და მისი ოჯახისთვისაც. ამ ამბიდან მესამე დღეს ალიმ სასიხარულო ცნობა მოიტანა: ნაგავსაყრელზე გდია უცნობი მაწანწალს გვამი, რომელიც შესაძლებელია ბრიგადის მეთაურის გვამად გასაღდეს. გვიან ღამით დათომ ალის დახმარებით ავტოფარეხიდან თავისი კუთვნილი ავტომანქანა გამოაპარა. ჩასვეს შიგ დათოს ტანსაცმელში გამოწყობილი მაწანწალა, ბენზინი გადაასხეს და ხევში გადაუძახეს. მეორე დღეს მთელი თბილისი ლაპარაკობდა სამშობლოს მოღალატე მაღალჩინოსნის თვითმკვლელობაზე. დემურ ამაღლობელი წინ დ უკან არიგებდა ინტერვიუებს, ყოფილი უფროსის ლანძღვის ხარჯზე ცნობადი სახე ხდებოდა. დათომ მოახერხა საზღვრის გადაკვეთა და ვლადიკავკაზის გავლით მოსკოვში ჩააღწია. აქ მას ელოდა ცნობილი პლასტიკური ქირურგი ვასილ ზნამენსკი, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად მისი გარდაცვლილი მამიდის, ლიზიკოს, ქმარი იყო. ცხოვრების გაგრძელება თუ უნდოდა, მას გარეგნობა უნდა შეეცვალა. ცხვირის ოპერაცია სამედიცინო კუთხიაც იყო რეკომენდებული: ფანჯრიდან გადმოხტომისას დათოს ძგიდე დაუზიანდა და სუნთქვა უჭირდა. დანარჩენი, ექიმის მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. და მოახერხა კიდეც. სამიოდე თვის შემდეგ დევნილ პოლკოვნიკს არათუ საქართველოს უშიშროება, საკუთარი ცოლიც ვერ იცნობდა.
დარჩა მთავარი: სად უნდა დასაქმდეს ენერგიით სავსე 31 წლის კაცი? ვასილი სიამოვნებით მოაწყობდა თავის კლინიკაში, მაგრამ ცხონებული ლიზიკოს ძმისშვილი ისე შორს იყო მედიცინისაგან, როგორც თავად ვასილი სამხედრო საქმისგან.
ბედი თავისით მოადგა კარზე. პრინციპში, ვისთვის ბედი, ვისთვის უბედობა... სკინჰედებმა მძიმედ დაჭრეს მოსკოვში სტუმრად მყოფი ეგვიპტელი მაგნატის ვაჟი. უგონოდ მყოფი ყმაწვილი კლინიკაში მოათავსეს. გაკეთდა ურთულესი ოპერაცია, რომელსაც ვასილ ზნამენსიკი ხელმძღვანელობდა. კაიროდან საკუთარი თვითმფრინავის ჩამოფრინდა დაჭრილი ყმაწვილის მამა ჰასან იბნ საბჰა: წარმოსადეგი მამაკაცი ოქსფორდში მიღებული განათლებით, რომელმაც უპირველეს ყოვლისა ექიმი ზნამენსკი მოინახულა.
_ მთხოვეთ რაც გინდათ, ჩემი სიცოცხლე და ჩემი კაპიტალი თქვენ განკარგულებაშია.
_ როგორ გეკადრებათ...
_ მანქანა, იახტა, საფეხბურთო გუნდი, კორტები, ვილა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში... _ ჩამოთვლას განაგრძობდა მადლიერი ჰასანი.
და აქ ვასილს დათო გაახსენდა. როდემდე უნდა იცხოვროს გაურკვევლობაში უდანაშაულო ადამიანმა, იქნებ...
_ თუ შესაძლებელია, მინდა შეფობა აიღოთ ერთ ადამიანზე. მინდა გავარიდო აქაურობას. არ იფიქროთ, რომ კრიმინალია, ან რამე ასეთი. ის გარემოების მსხვერპლია. პოლიტიკური გარემოების. _ დაამატა ეფექტისთვის.
_ ალაჰს ვფიცავ, ისე მივხედავ, როგორც საკუთარ ძმას. _ იყო პასუხი.
ასე მოხვდა დათო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში. ჰასანმა შეასრულა დანაპირები. ის არა მხოლოდ ფინანსურად დაეხმარა დათოს, ახალი სახელიც უბოძა: შეიხ საიდი.

მას შემდეგ წლები გავიდა. ვასილ ზნამენსკი გარდაიცვალა, თან წაიღო დათოს საიდუმლო.~

_ ე.ი. მართალი ვყოფილვარ, გოკა ზნამენსკი ბუნებაში არ არსებობს. _ ჩაილაპარაკა დიმიტრიმ, როცა გოკად წოდებულმა მოყოლა დაასრულა.
_ რატომაც არა, არსებობს. ევროპაში შეიხ საიდის სახელით ჩემმა გამოჩენამ შეიძლება პრობლემები შემიქმნას. არც აღმოსავლური ჰაბიტუსი მაქვს, არც არაბული ვიცი სათანადო დონეზე. მაქვს სათადარიგი პასპორტი გიორგი, იგივე გოკა ზნამენსკის სახელზე, რომლითაც თავისუფლად შემიძლია გადაადგილება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მათ შორის, საქართველოში.
გოკა წამოდგა, კარი გამოაღო და ვიღაცას არაბულად გასძახა.
_ კაი ცივ შარბათს ხომ დალევ? _ ვითომც არაფერი, დაეკითხა დიმიტრის.
_ საწამლავით თუ?...
_ მოდი, წვინტლიანი სენტიმენტალიზმის გარეშე რა?... სულ არ მეხალისება შენი მოკვლა. ძალიანაც მომწონხარ. მართლა, მართლა... მაგრამ ჩიხში მომიწყვდიე და რა გიყო? მეც და საკუთარი თავიც. შენ რომ ცოცხლად გაგიშვა, მარტო ჩემს თავს კი არ ჩავიგდებ საფრთხეში, არამედ უდანაშაულო ადამიანებს: ჰასანს, ალის, მამა ზაქარიას...
_ მამა ზაქარია რა შუაშია?
_ მან ყველაფერი იცის. ვიდრე საქართველოს დავტოვებდი, აღსარებაზე ვიყავი.
_ მალე დაგვიწყებია საკუთარი აღმსარებლობა... წეღან ალაჰს იფიცებდი.
_ მე არ ვარ პირველი ქართველი, ვინც გარემოების კარნახით შეიცვალა აღმსარებლობა.
_ იმედს ვიტოვებ, რომ უკანასკნელი ხარ.
_ ვნახოთ, ვნახოთ, ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე.
თაღოვანი კარი უხმაუროდ გაიღო და დარბაზში შარბათით ხელდამშვენებული კოკო შემოვიდა, თავისი განუყრელი ხელთათმანებით. თეთრი, კიტელის თარგზე შეკერილი პერანგი ეცვა, ზევიდან დაკერილი ფართე ჯიბეებით. დიმიტრის არ ეგონა, კიდევ რამე თუ გააკვირვებდა. ეტყობა, სიკვდილმისჯილიც არ კარგავს გაკვირვების უნარს.
_ აი, ცხოვრებისეული პარადოქსის კიდევ ერთი გამოვლინება. _ ჩაიცინა გოკამ.
კოკომ არაბული წარწერებით ინკუსტრირებულ ტაბლაზე შარბათაინი ფიალები დააწყო და დიმიტრის გაუღიმა. არაფერი საერთო ვრუბელის დემონთან. ჰარამხანაზე მიმაგრებულ ხელის ბიჭს ჰგავდა.
_ იცანი? _ დაიკითხა გოკა, როცა კოკო თვალს მიეფარა.
_ რ დიდი ცნობა უნდა...
_ ეს ბიჭი ამსტერდამში ვიპოვე, გეების კლუბში მუშაობდა ოფიციანტად.
_ ე. ი. შენ ხარ ის ღვთისნიერი რუსი მანდილოსანი, რომელმაც გარდაცვლილი ვაჟიშვილს მიამსგავსა, არა?
_ აბა, ხომ არ გეტყოდა, ჩემი მფარველი ავიაციის ინჟინერი გოკა ზნამენსკიაო? ვიცი, რომ თქვენ შორის შედგა გულახდილი საუბარი. თვითონ მომიყვა.
_ კოკო რატომ ჩაერთო ამ ავანტიურაში?
_ კოკოს თავისი ანგარიში ჰქონდა კაცთან, რომელმაც ჯანმრთელი სოფლელი ბიჭი მეტრაკედ აქცია! მე კი ისე გავაკეთე, რომ გოთვერანი ელდარიც მოხვედრილიყო ჯგუფში. ვიცი, უფასო საგზურს დახარბდებოდა. რეპროდუქციაც ჩემი შერჩეულია. ვიფიქრე, ეგებ შეხედოს, დააკვირდეს, საკუთარ ცოდვებს

ჩაუღრმავდეს... საქმეში ხარ? კოკოს დანახვაზე ახალი დიხანიე გაეხსნა. _ გოკამ გაბრაზებულმა მოსვა შარბათი და ცარიელი ფიალა მაგიდაზე გაასრიალა. _ იცი, რამდენ პატარა ბიჭს გაუმრუდა ცხოვრება ამ გათახსირებულმა პროდიუსერმა? სიმღერის ჩაწერის ფასად ტრაკს თხოვდა, მაგრამ შერჩა, შერჩა! ეეჰ, ვერც კოკომ გაიმეტა... არადა, გეგმაში ჰქონდა მაგ ბლანჟიანი ყლირის შიდსით დასაჩუქრება. იმ გალექსილმა ვენეროლოგმა, სერგი ლეჟავამ შეუშალა ხელი, როცა ისტორია მოგვიყვა შიდსიანებზე. გახსოვს, იქ, ჩილიმბარში? ჰოდა, კოკოზე იმოქმედა ძალიან. განა ელდარი შეეცოდა, არა... ის ბიჭები შეეცოდა, ვისთანაც ეს ძღნერის ცისტერნა მომავალში საქმეს დაიჭერდა. კოკო გულჩვილი ბიჭია. რას იზამ, ყველას თავისი ნაკლი აქვს.

_ დიკო?

_ დიკოზე ზუსტად გამოთვალე. ქალები დემურის სუსტი წერტილია. დიკოსნაირი ნაშები ხო საერთოდ, სიზმარშიც არ უნახავს. რაო, რასა იქმს შეყვარებული გამგებელი, ტასკაშია? _ გოკა ხასიათზე მოვიდა. ეტყობა, ქალები არც მისთვის უნდა ყოფილიყო `მძიმე~ წერტილი.

_ შეყვარებული გამგებელი მიხვდა, რომ აჭამეს.

_ ჰა, ჰა, დიკომ მაგ თავგასიებულს კი არა, თავის დროზე მეც მაჭამა. მაგარი გაქნილი ქალია, მაგარი... დალიე, შარბათი, გაცივდება. მართლა მოწამლული ხომ არ გგონია?!

დიმიტრიმ ვერ მოითმინა და შარბათი მოსვა. ესიამოვნა. მინდვრის ყვავილებისა და ბავშვობაში ნაჭამი ატმის გემო ჰქონდა. ვინ იცის, ეს იყო უკანასკნელი გემო მის ცხოვრებაში...

გოკა კი ხალისიანად ყვებოდა დიკოსთან გაცნობის ისტორიას:

_ ...ობიექტის გასაცნობად მანქანის ქვეშ შევარდნა ჩვეულებრივი ტრიუკია. კინოში მაინც არ გინახავს? ვითომ შემთხვევით გადადის ქუჩას, ვითომ შემთხვევით ეჯახება მანქანას, ვითომ წაიქცევა, ფეხს იღრძობს... რა ხდება ამ დროს? გულგახეთქილი მამაკაცი გადმოდის მანქანიდან და რას ხედავს? მშვენიერი მანდილოსანი დახმარებას ითხოვს: ვაიმე, ვაიმე, ცემი საწყალი ფეხიიი.. ათიდან ცხრა შემთხვევაში მსგავსი ინციდენტი იწყება ბოდიშით და მთავრდება ლოგინით. ობიექტი, როგორც წესი, შეძლებული მამაკაცია, თორემ ჟანგიანი ჟიგულის პატრონი რას მოგცემს? აქეთ გამოგლანძღავს: თვალები სად გქონდაო? დიკოს კარგი ცხოვრება უყვარს, კარგ ცხოვრებას ფული უნდა, ფულისკენ მიმავალი გზა კი მდიდარ მამაკაცზე გადის. კიდევ რა უყვარს დიკოს? _ გოკა შუბლშეჭმუხნული ჩაფიქრდა. _ დიკოს უყვარს ხუმრობა. ბოროტი ხუმრობა. ძალიან შავი იუმორი აქვს, ძალიან. დაინახე, როგორ მოპარა პროთეზი საწყალ დონარას? მხოლოდ იმიტომ, რომ მან სხვისი თანდასწრებით შენიშვნა მისცა. კიდევ, რა?... ხო, დროგამოშვებით კოკაინს ყნოსავს. ვუშლით. ვცდილობთ, ვაკონტროლოთ. ამასწინათ, კოკომ მამასისხლად გადანახული წამალი გადაუდო, დიკო ადგა და ბიბი მოკლა. აი, ასეთი საძაგელი გოგოა.

_ მე მეგონა ბიბი ელდარის მოკლულია.

_ თავიდან ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ მერე დიკო გამოტყდა. მოინანია, ასე ვთქვათ. კოკოს დასავის უყვარს დიკო. აპატია.

_ შენც გიყვარს?

_ ვინ, დიკო? _ გოკა დაიჯღანა. თითქოს ცხვირთან აყროლებული ხორცი მიუტანეს.

_ რატომ გაგიკვირდა?

_ მე მკვდარი ვარ, დიმიტრი! ვინ თქვა მიცვალებულის სიყვარული?!

_ მიცვალებულის პირობაზე მშვენივრად გამოიყურები. სიკვდილის შემდეგ თუ ადამიანი ასეთ სამოთხეში ხვდება, დაუყოვნებლივ მოიყვანე სისრულეში განაჩენი. _ დიმიტრიმ აღტაცებული მზერა მოავლო მოხატულ დარბაზს.

_ ჰა, ჰა, _ გადაიხარხარა გოკამ. _ არის ამაში სიმართლის მარცვალი.

_ მე რაღას მერჩოდი, მე? ან დონარა რა შუაშია?

_ დონარა თავშია, ძმაო, თავში! იდეა დონარას ტელევიზორში გამოჩენამ მიკარნახა. გადაცემა იყო მოხუცთა თავშესაფარზე. ვუყურებ და რას ვხედავ? დონარა ასათიანი, მამაჩემის თაობის კერპი, რომანსების დედოფალი, თავშესაფარში ცხოვრობს. საშინლად მომინდა რაღაც სიკეთე გამეკეთებინა მისთვის, გამემხიარულებინა, სიცოცხლის ხალისი დამებრუნებინა... მაგრამ როგორ? ჩემი სახელით ხომ არ დავპიჟებდი ეგვიპტეში? მაშინ მომივიდა აზრად ლატარეის გათამაშება. დონარას, ალი და მამა ზაქარიაც ზედ მოვაყოლე. არც მათ აწყენდათ ეგვიპტეში გაშრიალება. ამ ფაციფუცში ვიყავი, რომ ისრაელში, ნაცნობი კოლექციონერის ბინაში, ჩემი ოჯახის რელიქვია, ანდრია პირველწოდებულის ორდენი აღმოვაჩინე. ორდენი, რომელიც ვანო თელიას შეტყაპუნებული მეგონა! პატარა მოკვლევა ჩავატარე და პროფესორ კენჭაძეზე გავედი. მერე კი ჩემს ცოლზე...

_ გასაგებია. _ ჩაილაპარაკა დიმიტრიმ და ისევ შარბათს დაეწაფა. _ და პროფესორს რაღას ატერორებდი ფოტოებით?

_ სურვილი, ჩემი ჩანაფიქრი მისტიკურ სამოსელში გამეხვია, უფრო საინტერესოდ მეჩვენა, ვიდრე პრიმიტიული მეთოდით სამაგიეროს გადახდა. თანაც არ მინდოდა უდანაშაულო ადამიანებიც დამეფრთხო. ბატონმა კენზაძემ ისარგებლა რუსიკოს გაჭირვებით და მიზერულ ფასად შეიძინა ორდენი. ესეც არ იკმარა და მისი გადაგდება განიზრახა. კოლექციონერი კი არა, პირწავარდნილი ვაჭარია. ათმაგად გაყიდა ჩემი ორდენი. აი, ბაბუა მართლა პროფესიონალი ჰყოლია, უწესიერესი კაცი. მაპატიოს მისმა სულმა, რომ ასე უდიერად მოვექეცი, მაგრამ არ ვნანობ. მთავარია, ფრიდონი წამოეგო.

_ წიგნი საკუთარ თავს შეუგდე?

_ კი. `ჟიტანი~ _ დონარას, სელინჯერი _ მე. საერთო აჟიოტაჟის შესაქმნელად და ეჭვის გასაფანტად.

_ ვინ ეჭვიანობდა, რო?

_ თუნდაც შენ. როგორ ფიქრობ, საიდან მოხვდი ამ კრუიზში?

_ საიდან მოვხვდი? _ ყურები ცქვიტა დიმიტრიმ.

_ მინდოდა იახტაზე ერთი ობიექტური დამკვირვებული მაინც ყოფილიყო. მაინტერესებდა, რამდენად გავთვალე დრამატურგია. შენმა გამჭრიახობამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. გუშინ, როცა საჯაროდ დაიწყე კარტების გახსნა, მივხვდი, რომ დამენძრა. ნიკიტა გავაფრთხილე და მოვტყდი. შენ საშიში კაცი ხარ, დიმიტრი...

_ ვინ მოგცათ ჩემზე რეკომენდაცია?

_ ნუ გავიწყდება, რომ ძალოვან სტურუქტურაში ვმუშაობდი. ვიცი შენი ისტორია. როცა მე ეს უბედურება დამემართა, შენ საფრანგეთში იყავი. გავაგრძელო?

დიმიტრიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ეს თემა მისთვისაც ტაბუდადებული იყო.

_ დავაკმაყოფილე შენი ცნობისმოყვარეობა თუ კიდევ დაგრჩა კითხვები?

_ გარეგნობის შეცვლა მესმის, მაგრამ ხმა? ცოლმა როგორ ვერ გიცნო ხმაზე?

_ ამ რთულ კითხვაზე მარტივი პასუხი მაქვს. _ არხეინად უპასუხა გოკამ. _ ხმა ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას დავკარგე. დიაგნოზი: ხმის ფუნქციის მოშლა

ნერვული სტრესის ფონზე. შარშანწინ კი ინსულტმა მგლიჯა. გადავრჩი, მაგრამ ლოყაზე ნერვი დამიზიანდა. რუსიკოს შემთხვევაში, ეს მინუსები ხელსაც კი მაძლევდა. ამისთანა სატანისტური ღიმილით ყოფილი ცოლი კი არა, თავად სატანა ვერ მიცნობდა. ჰა, ჰა!

_ რაში გჭირდებოდა რუსიკოს ჩართვა ამ სპექტაკლში, ის ხომ შენი შვილის დედაა?

_ ის კია ჩემი შვილის დედა, მაგრამ მე არაფერ შუაში ვარ? თვითონ ხომ გახდა მადამ ლეჟავა, ესეც არ იკმარა და ბავშვს მამის გვარი დაუკარგა, ისიც ლეჟავაზე გადაიყვანა. წერეთელს რომ ლეჟავაზე გადაიყვან, რატომ ღმერთი არ გაიცინებს?! ისე მოიქცა, თითქოს არასოდეს ვყოფილვარ მის ცხოვრობაში. წამშალა, ხაზი გადამისვა, გამაქრო...

გოკამ სიმწრით გააკრაჭუნა კბილები. წამოხტა, აღელვებულმა დასცა ბოლთა:

_ რასაც ახლა გეტყვი, არავისთვის მითქვამს. შენ ფაქტობრივად ცოცხალი გვამი ხარ, ამიტომ გავრისკავ. _ გოკა შედგა, გაოფლილ შუბლზე ხელი ჩამოისვა, ზევიდან ჩამოხედა `ცოცხალ გვამს~. _ რუსიკო ის ადამიანია, რომელმაც ორჯერ დამმარხა. იცი, დიმიტრი, რას ნიშნავს ორჯერ სიკვდილი?

არა, დიმიტრიმ არ იცოდა რას ნიშნავდა ორჯერ სიკვდილი. ამას რომ მიხვდე, მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა მოკვდე.

_ ორჯერ სიკვდილი ორჯერ დავიწყებას ნიშნავს. დავუშვათ, ერთხელ მოვკვდი. კაი, ჩამდე კუბოში, სასაფლაოზე გამაქანე, ქელეხში შილაფლავით გამოსკდი... დავუშვათ. მე ეს მოვინელე, მაგრამ მერე რა გააკეთა? ადგა და გათხოვდა! ერთ წელიწადში ჩემი სიკვდილიდან! ახლა რა გამოდის? ჩემი შვილი სხვა კაცს ეძახის მამას! ჩემი თამთა, რომელიც აი, ამხელა მახსოვს! _ გოკამ იატაკიდან მანძილი მოზომა და ისე მიაჩერდა, თითქოს მართლა ცოცხალ ბავშვს ხედავდა. _ ჰა, რას იტყვი? _ მიუბრუნდა დიმიტრის.

_ შენ ახლაც გიყვარს რუსიკო.

გოკამ ისე შეხედა, თითქოს ცოცხლად შეჭმას უპირებდა. მერე უცებ მოეშვა, ჩაიფუშა. ზუსტად ისეთი გამოეტყველება ჰქონდა, როგორც დემურს, როცა დიკოს გაქრობის ამბავი შეატყობინეს. სხვათა შორის, გოკამ ახარა.

_ არა, არ მიყვარს, უბრალოდ, უბრალოდ...

_ უბრალოდ ვერ აპატიე, რომ უშენოდ არის ბედნიერი. _ მიეხმარა დიმიტრი.

გოკა დადუმდა. დიმიტრისაც ამოეწურა კითხვები. ჯალათს ამინდზე ხომ არ დაუწყებს მუსაიფს? დაუწყებდა, მაგრამ რა ხეირი? კაცი თავისიანებს არ ინდობს და მას დაინდობს?!

გოკამ კომპაქტური მინი-ბარის ქვედა სექციიდან არყის ბოთლი ამოაძრო და სქელძირიან ჭიქებში ჩამოასხა.

_ რუსიკოს გაუმარჯოს თავის ქმარ-შვილით. _ ჭიქა ასწია და გადაჰკრა. რაღაცნაირი შემგუებლური ხმა ჰქონდა, როგორც აღსარებაზე მისულ ადამიანს, რომელსაც ბოლომდე ვერ გაუთავისებია ცოდვების სიღრმე დ ახლა მოძღვრის შეფასებას ელოდება. გოკამ ისევ დაისხა და მოყოლა განაგრძო. ასე იცის, დაგროვილმა სათქმელმა, ერთ მშვენიერ დღეს ამოხეთქავს:

_ რუსიკო იყო ამ კრუიზის მოწყობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი. მინდოდა ჩემი თვალის მენახა, როგორ ცხოვრობს უჩემოდ. ხმები მომდიოდა, გადასარევად არისო. არ მინდოდა დაჯერება, მეთქი, როგორ? ის ხომ ჩემთან იყო ბედნიერი? თურმე ვცდებოდი. რუსიკო არასოდეს ყოფილა ჩემთან ასეთი ლაღი, დამოუკიდებელი, საინტერესო, სასურველი... თურმე საერთოდ არ ვიცნობდი! მე ის მიყვარდა. მე ის მიყვარდა როგორც მომხიბვლელი ქალი, როგორც ჩემი შვილის დედა, დიასახლისი... ეჭვიც არ შემპარვია, რომ ყველაფრით კმაყოფილია. როცა

მისი გათხოვების ამბავი გავიგე, გავცოფდი. წარმოვიდგინე, რომ მისი რჩეული ვიღაც თავქარიანი დონ ჟუანია. უფულო, უმუშევარი, უტვინო! წინასწარ ვერ ვიტანდი. და უცებ, ეს ვენეროლოგი არ შემრჩა? ეს მოუქნელი სპილო გაკრეჭილი სიფათით! ვიფიქრე, ამას ვაწყევლინებ დაბადებას. (პაუზა) არ გამოვიდა. დასწყევლოს ღმერთმა, მე ის მომეწონა! მე მომეწონა მისი იუმორი, მისი გახსნილობა, მისი ურთიერთობა ჩემს ცოლთან, ჩემს შვილთან... არ დაგიმალავ, რუსიკოც მომეწონა. ჰმ, ჩემმა სიკვდილმა მის წისქვილზე დაასხა წყალი: გალამაზდა, გაიფურჩქნა, მუშაობა დაიწყო... ის შედგა, როგორც ქალი და როგორც პიროვნება. მაინც არ მინდოდა დაჯერება, ბოლო წუთამდე ვიმედოვნებდი, რომ მე, უცნობი გოკა ზნამენსკი შევძლებდი მის ოჯახურ იდილიაში ჩაფურთხებას. კაიუტაში ბუს სურათი დავკიდე, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენს საძინებელში ეკიდა. მინდოდა გავხსენებოდი, მოვნატრებოდი... ასეც მოხდა, გავახსენდი, მაგრამ ვაი რომ სულ სხვა კუთხით. ეს ჩანდა მისი ნაწერიდან... ვიცოდი, რომ დის სიკვდილის მერე დღირს წერდა და დროებით ავწაპნე. მაშინ მივხვდი: ჩემმა მატარებელმა კაი ხანია ჩაიარა, ის ფეხმძიმედაა. ის შვილს ელოდება კაცისგან, რომელიც უყვარს. გოკამ მორიგი ჭიქა გადაჰკრა დადდიმიტრის თვალებში ჩახედა. ასე იყურებიან საკუთარ თავზე გაბრაზებული ადამიანები. და ბრძოლაში დამარცხებული ამბიციური მთავარსარდლები.

ეს ფინალია, მიხვდა დიმიტრიმ. გოკა ისე შორს წავიდა თავის აღსარებაში, გამორიცხულია აქედან ცოცხლი გაუშვას.

_ შენ დღეს უნდა მოკვდე დიმიტრი, ხვალ და ზეგ მე ამას უბრალოდ ვერ შევძლებ.

_ გასაგებია.

_ შენით იზამ თუ მე მოგეხმარო?

_ რა იარაღი გაქვს?

_ ამერიკული `გლოკი~.

_ იყოს.

_ აქ არა, ქვევით, სარდაფში.

_ კარგი.

_ რა კარგი?

_ იყოს სარდაფი.

გოკა მხედრული ნაბიჯით წავიდა კარისკენ. დიმიტრი კოჭლობით გაჰყვა.

_ _ _

პატარა საკურორტო ქალაქში კი სეზონი გრძელდებოდა _ მზეს ეფიცხებოდნენ სითბოს დანატრებული ტურისტები, ჩილიმის წუწნიდნენ რამზეს დიდის გადაგვარებული შთამომავლები, სინას მთას ლაშქრავდნენ დაუღალავი მორწმუნეები, ეკატერინეს მონასტრის ეზოში ყვაოდა მაყვლიანის მოვარდისფრო-იასამნისფერი ბუჩქი...

დასასრული